



# მასწავლებელი

№4(53).2018

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა



## ნათო ინგოროვსა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**  
ნათო ინგოროვსა

**რედაქტორები:**  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**  
გიორგი მაჩაბელი,  
მანანა რატიანი,  
მარიკა სიხარულიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**  
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**  
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**  
მამუკა ტყეშელაშვილი

**კორექტორი:**  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**  
ანა ჯანელიძე, თამაზა დოლიძე, გიორგი ნოზაძე, მაია მენაბდე, მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, ქეთევან ოსიაშვილი, ნინო კაპანაძე, მარიამ გოდუაძე, ლელა კოტორაშვილი, ნათია ფურცელაძე, ნესტან რატიანი, ირმა კახურაშვილი, მაკა სახურია

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:  
თბილისი, გმირ კურსანთა ქ. 1,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook. Geo. ავტორი: კობა კურტიანიძე. ყველა უფლება ავტორისაა.

ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უზუსტობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1  
8-374

WWW.TPDC.GE

ყველამ, ვინც სკოლაში ვასწავლით, ვიცით, რომ ბავშვი ცნობისმოყვარე და ფანტაზიორია, თუმცა ისიც არაერთგზის გვითქვამს, რომ შემოქმედებითი თუ კრიტიკული აზროვნება განსაკუთრებული და იმავითი ნიჭია.

ხშირად მიფიქრია: ასეთი დამოკიდებულებით უფროსები სკოლას მხოლოდ ინფორმაციის დაგროვებისა და ათვისების ადგილად ხომ არ ვაქცევთ? იმის იმედად ხომ არ ვართ, რომ ნიჭი არ დაიკარგება, თავის გზას იპოვის, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვე, მხოლოდ ერთეულებისთვის?

იმ აზრსაც ხომ დიდი ხანია შევეგუეთ, რომ შემოქმედებითი უნარები კარგი რამაა, მაგრამ ისინი სასკოლო პროგრამის მიღმა უნდა განვივითაროთ მოზარდებმა...

კოლეგები, სავარაუდოდ, შემეკამათებინ: „ეს ხომ ჩვენც ვიცით, მაგრამ...“ – და ჩამოთვლიან უამრავ მიზეზს, რატომაც ვერ ახერხებენ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გაღვივებას და განვითარებას თითოეული მოსწავლისთვის მის შესაძლებლობათა შესაბამისად.

მოსწავლეები კი, დამიჯერეთ, აუცილებლად მასწავლებლებს

დაგვდებენ ბრალს – იტყვიან, რომ ჩვენ ვერ შევძელით, რომ სკოლაში ამაზე არავინ ზრუნავდა... გამოცდილებაც მაქვს – სტუდენტები ხშირად მესაუბრებიან გულისტკივილით.

ალბათ იმასაც მეტყვიან, რომ პრობლემის განსაზღვრაში ყოჩაღები ვართ, მაგრამ გადაჭრა?!

ამ პრობლემის გადაჭრის გზებისა და ხერხების თაობაზე საკვებით ვეთანხმები ტონი ვაგნერის, განათლების ცნობილი მკვლევრის, მოსაზრებებს და მინდა, თქვენც გაგიზიაროთ.

ვაგნერი ამბობს, რომ ტრადიციული სწავლება ეფუძნება მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევების აღიარებას, რაც კარგია, თუმცა ინოვაცია გუნდური თამაშია, ამიტომ მასწავლებლები, რომლებსაც ინოვაციების გაზრდა სურთ, წაახალისებენ გუნდურ მუშაობას, აძლევენ მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტ გუნდურ დავალებას. ინოვაციით დაინტერესებული მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეები აქციონ არა მომხმარებლებად, არამედ შემქმნელებად.

მისივე თქმით, ტრადიციული სწავლება წაახალისებს ვიწრო სპეციალიზაციას, ინოვაციას კი ინტერდისციპლინური

სწავლება სჭირდება, ამიტომ მასწავლებლები, რომლებიც ინოვაციურებს ზრდიან, მხოლოდ ერთ საგანზე კი არ არიან ფოკუსირებული, არამედ თავიანთი საგნის სწავლებისას ეხებიან ბევრ სხვა სფეროსაც და მათი დახმარებით ცდილობენ პრობლემის გადაჭრას“.

ამაშიც დავეთანხმებით ვაგნერს და ვალიაროთ, რომ ჩვენი სასწავლო გარემო და შეფასების სისტემა სჯიან შეცდომებისთვის, რაც მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ნაკლები რისკის გაწევისკენ უბიძგებს, ინოვაცია კი დაკავშირებულია რისკთან, შეცდომებთან, რეფლექსიასთან. ეს ყოველივე იციან ინოვაციით დაინტერესებულმა მასწავლებლებმა და შეცდომებსაც წაახალისებენ.

როგორ გარდავექმნათ სასკოლო სისტემები ტრადიციულიდან თანამედროვედ?

ვაგნერის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევთანხმდეთ სწავლების მთავარ მიზნებზე, იმაზე, რომ სკოლა მოსწავლეებს უნდა უვითარებდეს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრის უნარებს. მეორე – უნდა გვექონდეს შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც სწორედ ამ მიზნების მიღწევას შეაფასებს.



## მოსაზრება

# 4

### თამთა დოლიძე ბედიაწიგნიერება სკოლაში

მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან, რადგან ინფორმაციის ხარისხიანად დამუშავებას, სანდოობის განსაზღვრას და, ამასთან, ახალი ინფორმაციის შექმნას სწორედ ზემოაღნიშნული უნარები უზრუნველყოფს.

# 10

### მაია მენაბდე სივარდი უწყვეტად სწავლაში

ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაცია ჩვეულებრივ იკითხება, მეტიც – დამატებითა და გვეხმარება კიდევ ტექსტის უკეთესად გაგებაში.

# 20

### ნათია ფურცელაძე კითხვა ნიშანთა სისტემით

როგორ ვასწავლოთ წაკითხვის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს. ერთ-ერთია ყველასთვის ნაცნობი მეთოდი – კითხვა ნიშანთა სისტემით, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის წასაკითხად ნებისმიერ საგანში, სწავლების სამივე საფეხურზე.

ნეტან რატიანი

# 28

### როგორ მოვაგვაროთ მოსწავლეები უხმო სქესის ანაღონისთვის

სანამ ლექსის შრეებზე დაშლას და ამ შრეებში მწერლის სათქმელის ამოცნობას შევასწავლიდეთ მოსწავლეებს, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ლექსების შესწავლა საინტერესოა ვერსიფიკაციული კუთხითაც.

ანა ჯანელიძე

# 48

### სწავლებლის წიგნების მნიშვნელობა აქტიური ასაკის ბავშვებისთვის

სურათებიანი წიგნები ბავშვებისთვის პირველი შეხებაა ლიტერატურასთან, ბუნებრივად სამყაროსთან ზოგადად წიგნიერებასთან. შესაბამისად, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის პოლიტურული განვითარებისთვის. ასაკობრივად შესაბამისი წიგნები ხელს უწყობს ბავშვის მეტყველებისა და კომუნიკაციის, სენსორულ, სოციალურ-ემოციურ და შემეცნებით განვითარებას, წიგნიერების საწყისი უნარებისა და წიგნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ირმა კახურაშვილი

# 54

### ბავშვების ბედნიერებისთვის

შვილების ლიდერებად აღსაზრდელად მშობლები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. თუმცა, არსებობს უნიკალური და მარტივი ფორმულები იმისათვის, რომ ბავშვებმა თავი ბედნიერად და ფსიქოლოგიურად ჯანსაღად იგრძნონ.

## პრობლემა

# 17

### მაკა სახურია დაუწვავი დაუწვავი

მთავარი, რამაც, ჩემი აზრით, ტექსტს მკითხველისკენ გზა უნდა გაუკავოს, დამაჯერებლობაა. დამაჯერებლობა ამბების, ემოციების, სახეების.




## ბანათების ფსიქოლოგია

# 36

### ქეთევან ოსიაშვილი ბავშვების კონფლიქტები – გამოწვევი მიზეზები და აღქმის გზები

თუ არ გვინდა, ბავშვი საკუთარ თავში ჩაიკეტოს, გულში ჩაიხვიოს წყნა ყველასა და ყველაფრის მიმართ, გახდეს აგრესიული და ადრე თუ გვიან კონფლიქტში ჩართულ მხარედ მოგვევლინოს, ვერიდოთ მის გაკიცხვას და საყვედურებს სხვების თანდასწრებით, მაშინაც კი, როცა ის მართალი არ არის.



### ინტერვიუ

ნინო კაპანაძე

# 23

## საზანი „მელა საფოფალოვა“ და მისი კარიკალები

ახალი სასწავლო გეგმა ორ ნაწილად იყოფა: სტანდარტად და წლიურ პროგრამად. სტანდარტი ყველასათვის სავალდებულო მოთხოვნებს მოიცავს, წლიური პროგრამა კი სარეკომენდაციო ხასიათისაა და ამ მოთხოვნების რეალიზების ერთ-ერთ გზას აჩვენებს.

ინტერნეტგაზეთი  
www.mastavlebeli.ge

განათლება -  
თავისუფლებაა!

ინტერნეტგაზეთი  
WWW.MASTAVLEBELI.GE

27-30

### ჩასუხი

მაია ფირჩხაძე

# 13

## ჯგუფური საფუძვლი იტორიის გაკვეთილები

მასწავლებლის საქმიანობა გაკვეთილებზე მხოლოდ ცოდნის გადაცემითა და კონტროლით არ შემოიფარგლება – მას სხვა აქტივობების მოშველიებაც უხდება წარმატებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მისი ერთ-ერთი ამოცანაა დროის ეფექტური გამოყენებაც. როგორც ცნობილია, ტრადიციული საგაკვეთილო საქმიანობის პირობებშიც კი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის მასწავლებელს საშუალოდ მხოლოდ 2 წუთი რჩება.

მარიამ გოდუაძე

# 39

## კითხვის სწავლა-სწავლების საკვანძო მიზანი – კოორდინაცია და კომუნიკაცია

მდიდარი ზეპირი ენა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მათთვის ნაცნობი სიტყვები წერილობითაც დაისწავლონ. მომდევნო წლებშიც ბავშვის ზეპირი ენა უფრო მდიდარი, ვიდრე მისი წერითი კულტურა. კვალიფიციურ და კომპეტენტურ მკითხველად ის მხოლოდ 13 წლისთვის ყალიბდება.

მაია ჯალიაშვილი

# 42

## მოსწავლე და მასწავლებელი – ურთიერთობის ათიკა

ბულინგის მსგავსად თანაბრად შეიძლება იქცნენ მასწავლებელიც და მოსწავლესაც, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა არც ერთი მხარე არ აღმოჩნდეს არც მჩაგვრელი და არც დაჩაგრული.

გიორგი ნოზაძე

# 45

## ჩემოვინაა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კვლევის დაგეგმვისა და წარმართვისთვის

ვინაიდან პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს სკოლებსა და საკლასო ოთახებში გარკვევით, რა ხდება და რა შედეგი მოაქვს პედაგოგიურ ჩარევას, რათა პოზიტიური გავლენა მოახდინოთ გამოკვლეულ სასკოლო გარემოში საგანმანათლებლო ცვლილებებზე, უფრო აქტუალურად ისეთი კვლევების ჩატარება გვესახება, როდესაც მასწავლებელი კლასისა და სკოლის საჭიროებებით ხელმძღვანელობს.


### გამოსილება

ლელა კოტორაშვილი

# 7

## შეაჯამებ ჩემი ქვეყნის პირადი წილი

გადავწყვიტე, საგაკვეთილო პროცესშიც დამენერგა პირადი წილების ტრადიცია. თავდაპირველად რაჭველ მოსწავლეებთან ვაგაჩაღე მიმოწერა. ოცდაორივეს სათითაოდ მივწერე. მიზნად დავისახე, სასაუბრო თემად ჩემი ახალი მასწავლებლური გამოცდილება და უნივერსიტეტის ამბები მექცია.





თამთა ლომიძე

# მედიაწიგნიერება სკოლაში

მედიაწიგნიერების უნარები გულწრფელად უნდა გავაზრდებოდეთ ბავშვებს, განვიხილოთ მათი ცხოვრებაში მედიის როლი, გავაჩვენოთ მათ, როგორ უნდა იყოს მედიის გამოყენება სწავლის და ცხოვრების სხვა სფეროებში.

მედიაწიგნიერების როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციის შესახებ საკმაოდ ხშირად საუბრობენ. ბევრი სტატია, ბლოგი თუ რჩევა წამიკითხავს იმაზე, თუ როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს ინფორმაციის ზღვაში საჭირო მასალის მოძიება-გადამოწმებისა და გააზრება-გამოყენების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარები. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების პროცესში ყველა ზემოხსენებული კომპეტენციის გაუმჯობესებას ვცდილობთ, წიგნიერებასთან დაკავშირებული კვლევები (მაგალითად, PIRLS) მოწმობს, რომ მოსწავლეებს ყველაზე მეტად ინფორმაციული ტექსტების გააზრება-დამუშავება უჭირთ. ფაქტია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მხატვრული ტექსტები ჭარბობს, სხვა საგნები კი, მიზეზთა გამო, ორიენტირებული კითხვის უნარებზე ისევე არამზადდებიან, როგორც ეს მშობლიური ენის მასწავლებლებს მოეთხოვებათ. ამ ვაკუუმის შესავსებად ხშირად სხვადასხვა დამხმარე ნაბეჭდო თუ ელექტრონულ რესურსს ვიყენებ, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული მასალა არცთუ ისე ბევრ დროს გვიტოვებს დამატებით ტექსტებზე სამუშაოდ.

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მედიაწიგნიერებას ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციად ასახელებს. ესგ-ის მიხედვით, მოსწავლეებს მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული აკადემიური უნარ-ჩვევები ყველა საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს. მედიაწიგნიერების უნარები მულტიმედიატექსტების გაგება-გააზრებას, ინტერპრეტირებას, გამოყენებას და შექმნას გულისხმობს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მედიასივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირება, ინფორმაციის გადარჩევა-გადამოწმება და კრიტიკულად შეფასება. მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან, რადგან ინფორმაციის ხარისხიანად დამუშავებას, სანდოობის განსაზღვრას და, ამასთან, ახალი ინფორმაციის შექმნას სწორედ ზემოაღნიშნული უნარები უზრუნველყოფს. ბოლო წლებში მედიაწიგნიერების პოპულარიზაციის მიზნით

აქტიურად იმართებოდა არასამთავრობო თუ სამთავრობო საგანმანათლებლო ცენტრების მიერ ორგანიზებული კონფერენციები, ტრენინგები და კონკურსები. მაგალითად მოვიყვან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ჩატარებულ კონკურსს „ციფრული და მედიაწიგნიერება სკოლაში“ (2013), ტრენინგს „მედიაწიგნიერების თეორიული ასპექტები და პრაქტიკული გაკვეთილები“ (2016), კონფერენციებს „კრიტიკული მედიაწიგნიერება – 2016“ და „დემოკრატიული სკოლა და მედიაწიგნიერება – 2017“ („კავკასიური ქსელი ბავშვებისთვის“ (CNC)) და ა.შ. თუმცა ალბათ უფრო მასშტაბური ინტერვენცია და დროსა საჭირო, რომ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგები მოსწავლეთა წიგნიერების უნარებზეც აისახოს. ჩემი აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მეტი დრო უნდა ეთმობოდეს მედიაწიგნიერების დონის ამაღლებას. სახელმძღვანელოების მასალების პარალელურად შეგვიძლია გამოვიყენოთ ის ინტერნეტ- თუ ბეჭდური რესურსები (კითხვის უნარების დახვეწას



და ტექსტის სიღრმისეულად გააზრებაზე ორიენტირებულ ტესტები), რომლებიც ჩვენს აღსაზრდელებს საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობას მიაჩვენს. თუმცა პირადად მე, საკმაოდ დატვირთული კურსულუმის გამო, ზემოაღნიშნულ უნარებზე ორიენტირებას კლუბური მუშაობის დროს უფრო ვახერხებ.

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არაფორმალური განათლების კერების არსებობა რომ საკმაოდ ეფექტურია, ამაზე აღარ ვისაუბრებ. კლუბური მუშაობა მოსწავლეებს სავალდებულო სასწავლო პროცესისგან მოწყვეტის საშუალებას აძლევს და იმ განცდას უქმნის, რომ გაკვეთილების დასრულების შემდეგ დაგეგმილი აქტივობები მათ განტვირთვასა და განაღებებს ემსახურება. ეს კი კლუბის შინაარსსა და აქტივობების მრავალფეროვნებაზე დამოკიდებულია. მართალია, არაფორმალური შეხვედრები სტანდარტულ გაკვეთილს არ უნდა დაემსგავსოს, მაგრამ ისინი გარკვეულწილად მაინც დაეყრდნობა მონათესავე დისციპლინას. კლუბური სისტემა სკოლის ერთიანი აკადემიური მიმართულების ნაწილია და საგაკვეთილო პროცესის დროს

აქცენტირებულ უნარებს მიღმა დარჩენილი შესაძლებლობების გამოვლენას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ჩემი კლუბი მოსწავლეებს ქართული ენის გაკვეთილებზე მიღებული კომპეტენციის გაუმჯობესებაშიც ეხმარება და მედიაწიგნიერებასაც პირდაპირ უკავშირდება.

„ცნობის ფურცლის“ იდეა მეზუთე კლასის ერთ-ერთ შემავამებელ პროექტზე მუშაობის დროს დამეზადა. „დავითის და გოლიათის“ ისტორია დაძველებულ ფურცლებზე რეპორტაჟების, სტატიების ან დღიურების სახით უნდა „გადაგვეწერა“, მერე კი გაზეთად აგვეკინძა და სკოლაში გაგვევრცელებინა. გაზეთში „გამოქვეყნებულ“ ისტორიებს ავტორები სკოლის რადიოში გამოაცხადებდნენ. ზემოაღნიშნულმა პროექტმა მოსწავლეების და სასკოლო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ახალ სასწავლო წელს კი ჩვენს სკოლას ახალი კლუბის სახით „ცნობის ფურცლის“ რედაქცია შეემატა.

კლუბის წევრებმა უურნალებ თავად იმუშავეს. მათ ერთად ჩაატარეს რამდენიმე სასკოლო გამოკითხვა და შედეგების მიხედვით შეარჩიეს რუბრიკები

და გასაშუქებელი თემები სტატიებისა და ინტერვიუებისთვის. ყოველი სემესტრის ბოლოს „ცნობის ფურცლის“ ერთი ნომერი გამოდიოდა. უურნალს მოსწავლეებთან ერთად დიდი ინტერესით კითხულობდნენ უფროსებიც. ღია კარის დღეებზე ის ერთგვარი გიდის როლს ასრულებდა, რადგან

### რედაქციის წევრნი

**გამარჯობა, მკითხველი!**  
 წარმოგიდგინოთ ათაბაგის სკოლის უფროსის მეორე ნომერი. ნელს ჩვენს რედაქციას კოლეგის დახმარებით ასლი წერილი შეესტა და განსხვავებული მიღების შედეგად უფროსის პირველ ნომერში შევიტანეთ. ამ ნომერში ისიღივო ქაოსივებს ათაბაგის სკოლის ცხოვრებიდან, მოგსწავლის და ენციკლოპედიას დაგაჩუქებს. არც შეცნობ შეცნობები, სკოლის და სივრცის მოგვარების დაგვიწყობს. ჩვენს უფროსის? ვამუშაობდით და მოგვით და სივრცის ვისივებს ვისტრუქობ!

**ბელინიზი** ბენიანი-  
 ბის კონსერვატიული  
 და კავშირები უკრაინის  
 კონსერვატიული და  
 შიდა მხარეებით  
 აზროვნებასთან,  
 ჩაღბან ინფორმაცია  
 სინის ხარისხიანად  
 და მუშაობას,  
 სანდოობის  
 განსაზღვრას და,  
 ამასთან, ახალი  
 ინფორმაციის  
 შექმნას სწორად  
 გათვალისწინებული  
 უნარიები უზრუნველყოფს.

სტუმრები სკოლის ცხოვრების შესახებ ყველაზე მეტს სწორედ ამ ბეჭდური გამოცემის საშუალებით იგებდნენ. კლუბის ინიციატივით, სკოლაში ფონტების კონკურსი გაიმართა, გამარჯვებული შრიფტით კი ჟურნალის მეორე ნომერი გავაფორმეთ. გარდა სკოლის დღიურისა, „ცნობის ფურცელში“ იბეჭდებოდა პატარა მეცნიერთა ბლოგები, მოგზაურთა ჩანაწერები, ნორჩ შემოქმედთა ზღაპრები, სტატიები ხელოვნებაზე, დიდ შესვენებაზე თავშესაქცევი კროსვორდები და სხვა თავსატეხები. ეს იყო ძალიან შრომატევადი, საპასუხისმგებლო და საინტერესო თავგადასავალი, რომელიც მოსწავლეებს სწორედ იმ უნარ-ჩვევების დახვეწაში ეხმარებოდა, რომლებზეც ზემოთ საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე.

სკოლის ჟურნალზე IV-VI კლასების მოსწავლეები მუშაობენ, უფრო პატარები კი მედიაწიგნიერების საწყის უნარებს ეუფლებიან და ხელნაწერ წიგნებს ამზადებენ. უკვე ხუთი წელია, ზემოაღნიშნულ კლასებში ხელნაწერ კრებულებს ვქმნით. მოსწავლეებს საშინაო დავალებად მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებს თანაბრად ვაძლევ და მათზე მუშაობის სხვადასხვა ხერხს ვთავაზობ. სასწავლო წლის განმავლობაში მათი „შთაბეჭდილების სკივრები“ იცვება საყვარელი მოთხრობების/ზღაპრების ილუსტრირებული შინაარსებით, კომიქსებით, პერსონაჟებთან მიწერილი წერილებით, საყვარელი კერძების რეცეპტებით, ისტორიული, სპორტული თუ სხვა სფეროსთან დაკავშირებული

სიახლეებით, ცნობილი ამბების უცნობი გაგრძელებებით, რომლებსაც თავად იგონებენ და წიგნის თანაავტორები ხდებიან და ა.შ.

მომავალ წელს კიდევ ერთი პროექტის - სკოლის რადიოს განხორციელებას ვაპირებ. ამჯერად კლუბური მუშაობის მიზანი რადიოგადაცემების მომზადება და სკოლის ტერიტორიაზე გავრცელება იქნება. იმედი მაქვს, ეს ახალი ინიციატივა, სკოლის ჟურნალთან ერთად, მოსწავლეთა წიგნიერების დონეს კიდევ უფრო აამაღლებს.






# შემაჯაბეზად წერად ქსეული პირადი წერილები

წერილებისადმი მეგობრის სიყვარული და ამერიკელი ენათმეცნიერის ჯონ ვარინერის გრამატიკის სახელმძღვანელო იქცა სასწავლო პროცესის პირადი წერილებით გამრავალფეროვნების მიზეზად.

მეგობარს ოთახის კედლები გადავსებული აქვს ღია ბარათებითა და წერილებით. სტუმრად მისულს საგულდაგულოდ მაჩვენებდა თითო-ეულს. ასე გამაცნო გოგო, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში ველოსიპედით დაქრის და ჩემს მეგობარს იქაურ მზესუმზირებზე უყვება. მეტი არაფერი ვიცი მის შესახებ. ისიც საკმარისია, მზესუმზირას ყვავილებზე რომ წერს.

ჯონ ვარინერის მწვანეყდიანი წიგნი 1965 წელს არის გამოცემული. აქ თავმოყრილია მარტივად დაწერილი წერილები წერითი, ზეპირმეტყველებითი თუ კითხვის უნარ-ჩვევების განსავითარებლად. სავარჯიშოები ავებულება მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების მიხედვით და ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა ვაქციოთ გრამატიკა ლიტერატურად. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით შემდეგმა თავმა მიიქცია: „წერილების წერა – მეგობრული წერილები, სოციალური შენიშვნები, საქმიანი წერილები“.

ეპისტოლარული ჟანრი ყოველთვის მიზიდავდა. პირად წერილებში ასახული დამოკიდებულებები, ერთი მხრივ, აადვილებს მათი ავტორების შემოქმედების გააზრებას, მეორე მხრივ კი ადამიანური გამოცდილების თანაზიარად ვაქცევს.



მაგალითად ბევრი მიმოწერა შემიძლია მოვიყვანო, რომლებსაც პერიოდულად ვუბრუნდები ხოლმე. ვაჟა-ფშაველა „კაი ყმის“ ჰონორარის გამორთმევას რომ ავალებს სანდროს – ამის ამოკითხვისას დარდით ამევსო გული. ნიკოლოზ ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან ხშირად მახსენებს თავს შემდეგი ფრაზა: „ვინც მალალის გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია“. ან ის, როგორ ცდილობს გრიგოლ რობაქიძე, შტეფან ცვაიგს და ევროპულ დიასპორას გააცნოს ქართული ლიტერატურა. პირადი წერილებიდან გავიცანი კონსტანტინე

გამსახურდის პირველი ცოლი, რებეკა ვაშაძე, და მისი ინტელექტითა და ემანსიპირებულობით აღფრთოვანება არ მინელდება. ვან გოგი თავის ძმას, თეოს, ფილოსოფიურ აზრებთან ერთად გამოლუული ყავის შესახებ რომ სწერს, ლიტერატურა მგონია. ლექტორმა პლატონის „სახელმწიფოს“ წაკითხვა დაგვავალა და ზუსტად იმ დროს ამოვიკითხე, ჯონ კუტზეე პოლ ოსტერისადმი მიწერილ წერილში რა მარტივად განმარტავს პლატონისეული გამოქვაბულის იდეას. ბოლოს კი ასტრიდ ლინდგრენისა და სარა შვარტის ახლახან თარგმნილი მიმოწერა უნდა ვახსენო. ვფიქრობ, ყველა მასწავლებლის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს შვედი მწერლის ჰუმანურობით სავსე წერილები, რომლებშიც ის გასაკვირად ახერხებს ძნელად აღსაზრდელი მოზარდის პრობლემების გათავისებას. ასტრიდის სარასადმი მიმართვამ კი – „სარა, ჩემო სარა, აბა, ჰე და აბა, ჰო“ – შეუძლებელია, გულგრილი დაგტოვოთ.

ერთი სიტყვით, გადაწყვიტე, საგაკვეთილო პროცესშიც დამენერგა პირადი წერილების ტრადიცია. თავდაპირველად რაჭველ მოსწავლეებთან გავაჩაღე მიმოწერა. ოცდამეორეც სათითაოდ მივწერე. მიზნად დავისახე, სასაუბრო თემად ჩემი ახალი მასწავლებლური გამოცდილება და უნივერსიტეტის ამბები მექცია. მაგალითად, როგორ ახსენა ჩემმა ლექტორმა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრაზა „ოლივერ ტვისტიდან“, ან როგორ მოიყვანა ქვიქვივისა და ისმაილის გაცნობა რომანის ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდის მაგალითად, ან როგორია თანამედროვე მედიათეკაში სტუდენტური ცხოვრება.

წერილები საქართველოს ფოსტით გავგზავნე. თვითონაც მიპასუხეს და ახლა უკვე მეორე ეტაპზე ვართ. მიმოწერა დისტანციური სწავლების ერთ-ერთ გზად აღვიჩიე, პროექტის სახე მივეცი და სახელიც მოვუფიქრეთ: „მიმოწერილი მთა და ქალაქი“.

თუ მე ქალაქის ამბებზე ვწერ, ისინი სოფლის ცხოვრების შესახებ მიყვებიან და ამგვარად, მოზარდი გოგო-ბიჭების ცხოვრებას კვლავ თვალს ვადევნებ.



ბავშვებთან პირადი მიმოწერა ხელს უწყობს:

- ურთიერთობის დათბობას;
- წერილი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- საკუთარ ემოციებზე დაკვირვებას;
- შემეცნებითი სამყაროს გამდიდრებას;
- მნიშვნელოვნების განცდის გაღვივებას;
- ხელნაწერი წერილების კულტურის განვითარებას;
- ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას.

მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში ერთ-ერთ საკითხად გამოტანილია პირადი წერილები. შესაბამისად, მოსწავლეები უნდა იცნობდნენ წერილის წერის თავისებურებებს. რამდენიმე გაკვეთილი დავუთმე პირადი წერილის ინსტრუქციების სწავლებას, რისთვისაც სწორედ ჯონ ვარინერის ზემოხსენებული სახელმძღვანელო დავიხმარე.

მამ ასე, წერილის სტრუქტურა მოიცავს:

1. ზედა მარჯვენა კუთხეში – ადრესატის (გამგზავნის) მისამართს;
2. მის ქვემოთ – ადრესატის (მიმღების) მისამართს;
3. მარცხენა მხარეს – ცალკე გამოყოფილ მიმართვას;
4. ძირითად ტექსტს;
5. დამშვიდობებას.

ერთი სიტყვით, გაღვაწივით, საბაკვეთილო პროცესშიც დამენერგა პირადი წერილების ტრადიცია. თავდაპირველად რაჭველ მოსწავლეებთან გავაჩაღე მიმოწერა. ოცდამეორეც სათითაოდ მივწერე. მიზნად დავისახე, სასაუბრო თემად ჩემი ახალი მასწავლებლური გამოცდილება და უნივერსიტეტის ამბები მექცია. მაგალითად, როგორ ახსენა ჩემმა ლექტორმა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრაზა „ოლივერ ტვისტიდან“, ან როგორ მოიყვანა ქვიქვივისა და ისმაილის გაცნობა რომანის ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდის მაგალითად, ან როგორია თანამედროვე მედიათეკაში სტუდენტური ცხოვრება.





წერილისადმი  
მეგობრის სიყვარული  
და ამერიკელი  
ენათმეცნიერის  
ჯონ ვარინერის  
ბნამასიკის  
სახეობის ვანალო  
იქცა სასწავლო  
პროცესის პირადი  
წერილებით გამრავალფეროვნების  
მიზნად.

თვითონ წერილის წერისას სასურველია გავითვალისწინოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

1. წერეთ იმის შესახებ, რაც წერილის ადრესატს დააინტერესებს. როგორც კარგი მკითხველი ითვალისწინებს აუდიტორიას, ასევე წერილის დამწერს უნდა ახსოვდეს იმ ადამიანის ინტერესები, ვისთვისაც წერს. გაიხსენეთ, რაზე საუბრობთ ერთად ყოფნისას.
2. თავი აარიდეთ ზოგად საუბარს. რაც უფრო მეტ დეტალზე გაამახვილებთ ყურადღებას, მით უფრო საინტერესო და ცოცხალი გამოვა წერილი. მაგალითად, მისწერეთ კაშკაშა ყვითელი პეპლის შესახებ, რომელმაც ზუსტად იმ დროს ჩაგიფრინათ თვალწინ, როცა სკოლის ფანჯარასთან გულნატკენი იდექით.
3. თავი შეიკავეთ სხვაზე საუბრისგან, რაც ქორაობას ემსგავსება. ხშირად გვიჩნდება საერთო მეგობრებზე საუბრის სურვილი და ამ დროს კრიტიკასაც გამოვუჩვენებ ხოლმე. ამგვარი საუბარი წერილის ხასიათს გააფუჭებს.
4. სასურველია, წერილი კითხვებით არ დავიწყოთ, რათა მკითხველი არ დავაბნოთ.
5. უპასუხეთ კითხვებს. თუ საპასუხო წერილს წერთ, აუცილებელია გახსოვდეთ, რაზე გაამახვილა ყურადღება წერილის ავტორმა, რათა შესაბამისი პასუხი გაუგზავნოთ.
6. დაწერეთ შთამბეჭდავი ბოლო აბზაცი. როგორც მოთხრობის ან არგუმენტირებული ესეის წერისას ვაქცევთ დიდ ყურადღებას დასკვნით ნაწილს, პირადი წერილიც ასევე მოითხოვს საინტერესო შეჯამებას. მოულოდნელი დამშვიდობების ნაცვლად დასვით კითხვა, რომელზე პასუხის მიღებასაც საპასუხო წერილში ისურვებდით.

ისევე ჩემს მეხუთეკლასელებს დავუბრუნებდი. ზემოთ აღწერილი ინსტრუქციის ყველა დეტალის გათვალისწინებით, მათ წერილები მისწერეს ყაჩაღის ასულ რონიას, ბებიებს, ბაბუებს და დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, ბოლოს კი ერთად შევიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები. შემაჯამებელ წერაზე ბავშვებმა წერილები მისწერეს ორ უფროსკლასელ გოგონას – მარიამსა და თამარს, რომლებიც მანამდე სკოლაში რაჭიდან გვსტუმრობდნენ.

შეფასების კრიტერიუმები ასეთი გამოგვივიდა:

**წერილის მახასიათებლები:**

- 🍏 ადრესატის მისამართი – 1 ქულა;
- 🍏 ადრესანტის მისამართი – 1 ქულა;
- 🍏 მიმართვა – 0.5 ქულა;
- 🍏 დამშვიდობება – 0.5 ქულა;

**წერილის ძირითადი ტექსტი:**

- 🍏 მინიმუმ 4 აბზაცი – 1 ქულა;
- 🍏 ენობრივი გამართულობა – 1 ქულა;
- 🍏 მხატვრული ხერხის (ეპითეტი/შედარება) გამოყენება – 1 ქულა;
- 🍏 მდიდარი ლექსიკა – 1 ქულა
- 🍏 რეკომენდაცია (მინიმუმ ერთი წიგნი ან ფილმი) – 1 ქულა;
- 🍏 არგუმენტი (წიგნის საჭიროება) – 1 ქულა;
- 🍏 ემოციური მხარე – 2 ქულა.

შემოწმებისას ცალკე ვწერდი განმავითარებელ კომენტარებს. დამშვიდებული შეცდომების შესახებ უკუკავშირით წერილობით დავუბრუნე, თვითონ წერილები კი პირვანდელი სახით დავტოვეთ. ყოველ წერილს სათითაოდ გადავუღე სურათი და ასე შევინახე, როგორც შემაჯამებელი ნამუშევრები. ორიგინალები სკოლის ადმინისტრაციას ჩავაბარეთ და ჩვენი სკოლის სახელით უწერის სკოლას გავუგზავნეთ. წერილებმა მშვიდობით ჩააღწიეს რაჭაში და ახლა ჩვენ ველით პასუხებს.

მოსამზადებელმა სამუშაომ, შეფასების ვალდებულება კრიტერიუმებმა, განწყობისთვის ჩართულმა კლასიკურმა მუსიკამ ბავშვებს ათქმევინა, რომ შემაჯამებელი წერისას არ ლელავდნენ - დამახასიათებელი შფოთვის ნაცვლად სიხარულს დაესადგურებინა მათ გულელებში.

სცადეთ თქვენც!



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. John E. Warriner, English grammar and composition, 1965, writing letters, გვ. 299-300



აინა მენაბლე

# სიპური უხელოების ცყვობაში

ფედატონივით

პატარებს უამრავი მავნე ჩვევა აქვთ, მაგალითად, კალმის ლეჭვა (შუა გაკვეთილზე უცებ ამოღებდათ ხოლმე პირი მელნით და წყალზე გაშვებას ზმუილით ითხოვენ), საშლელეზის ღრუნა, მოწონების ნიშნად გოგონებისთვის თმების დაწიწნა, საკლასო სამუშაოს შესრულების მაგიერ ქალაქის თვითმფრინავების კეთება და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ყველაზე მავნე ჩვევა მაინც შეცდომის ფრჩხილებში ჩასმა მგონია!

მთელი ჩემი ორატორული ნიჭის გამოყენება მჭირდება, რომ ავუხსნა, რატომ არ შეიძლება შეცდომის ფრჩხილებში ჩასმა. ვარწმუნებ, რომ ფრჩხილებში ჩასმული ინფორმაცია ჩვეულებრივ იკითხება, მეტიც – დამატებითი და გვეხმარება კიდევ ტექსტის უკეთესად გაგებაში. ამაში რომ დავარწმუნებ, მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება: ფრჩხილებში ჩასმულ შეცდომას საგულდაგულად აფერადებენ კალმით, რომ მე ვერ ამოვიკითხო! მერე მე ვიწყებ ახსნის ახალ ეტაპს – შეცდომა არ გააფერადონ, არც ღრუბლები დაახატონ და არც მზეები, უბრალოდ, ხაზი გადაუსვან და წერა განაგრ-

ძონ. რატომღაც ვერ იფერებენ, რომ ასე მარტივად შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება და კორექტორებს მოიმარჯვებენ ხოლმე. როცა აღმოაჩინენ, რომ თურმე კორექტორებსაც ვებრძვი, რადგან დროის კარგვა მგონია (უსასრულოდ ეხვეწებიან ერთმანეთს, მათხოვეო; მერე კორექტორის პატრონები უსასრულოდ იქექებიან ჩანთასა თუ პენალში; ძლივს რომ იპოვიან, გამოყენების თაობაზე გრძელ რჩევა-დარიგებას მოაყოლებენ ხოლმე), სასოწარკვეთილები, საწყალობელი თვალებით შემომხედავენ – ჩემი ახირებულობის გადაძვივდა, ლამის საერთოდ უარი თქვან შეცდომის დაშვებაზე. საბოლოოდ, ხანგრძლივი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ხატობით, ვანგრევთ ტრადიციას, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და შეცდომას ფრჩხილებში აღარ სვამენ! ვაჰა! ამოცანა N1 შესრულებულია.

ამოცანა N2 – თითქმის ყოველთვის, როცა მე -5 კლასში ვსვამ კითხვას, როდის ვწერთ ორწერტილს, პასუხი ურყევა: „ჩამოთვლისას“. და მეც დაუყოვნებლივ ვეპასუხები: „როგორ გეკადრებათ?! ეს

ისეთივე შეცდომაა, როგორც ის, რომ სპილოს სამი ფეხი აქვს!“ აქ ჩუმდებიან, პირი ღია რჩებათ და თვალები უფართოვდებათ. განსაკუთრებით ყოჩაღი და თამამი პირველი ელდის შემდეგ დაფაცურდება: „როგორ არა, მას, აი, მაგალითად: „თაკომ ჩანთაში ნივთები ჩაალაგა: წიგნი, რვეული, კალამი...“ მეც დაფაცურდები და უკან ვუბრუნებ იმავე წინადადებას ერთი სიტყვის გამოკლებით: „თაკომ ჩანთაში ჩაალაგა წიგნი, რვეული, კალამი...“ ჩამონათვალი დარჩა, მაგრამ ჰოი, საოცრებაც, ორწერტილი გაქრა! ღმერთი, რჯული, მე არ მომიპარავს! მე მხოლოდ „ნივთები“ ჩავიჯიბე“. ეს თამამი მანამდე გრძელდება, სანამ არ აღმოაჩინენ, რომ თავიდათავი გამაერთიანებელი/ განმაზოგადებელი სიტყვაა და არა ჩამონათვალი. თავიდან ამ ფოკუსის შემდეგ გულდამშვიდებული ვბრუნდებოდი ხოლმე შინ, მაგრამ მერე გამოცდილება მაჩვენა, რომ როგორ მეკადრება?! კიდევ ბევრჯერ მომიწევს მსგავსი ფოკუსების ჩატარება, სანამ ამ მარტივ წესს დაიმახსოვრებენ. იმიტომ, რომ რასაც ჩემამდე სწავლობდნენ, სწავლობდნენ ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპით –

„აქედან ვერ ამოშლი!“ (მას- სოვს, ბებიჩემი მეუბნებოდა, გამრავლების ტაბულა ისე უნდა იცოდე, ღამით რომ გაგაღვიძონ და გკითხონ, უპასუხო. არადა, ახალგაღვიძებულს კი არა, ფხიზელსაც მიჭირდა ყოველგვარი ცხრილის, ტაბულის, წესის დახეპირება, მაშინ როცა მოთხრობისა თავისუფლად შემეძლო. ვინ იცის, რამდენჯერ გამტეხია ძილი გამრავლების ტაბულაზე დარდით!)

ჩემი შვილი მესამე კლასში რომ გადავიდა, ერთ-ერთი „დამნაშავე“ მაშინ აღმოვაჩინე. მის სახელმძღვანელოში ერთი სახალისო ლექსია – ავთანდილ არაბიძის „სასვენი ნიშნები“ (ბავშვებისა და სიტყვის კაცის გაბაასება). ჰოდა, გამალეებით რომ იხეპირებდა ამ ლექსს, ერთი სტროფი მომხვდა ყურში:

„იქ კი, სადაც ჩამწერივდება  
სიტყვის ჩამონათვალი,  
ორწერტილი ბეზოსავით  
დარაჯად დგას სათვალთ“.

აჰა, წარმოიდგენენ, დაიხეპირებენ და მიდი, უმტკიცე მერე, რომ ჩამონათვალი არ შველის ორწერტილის ბეზობას!

სხვა წესმაც მიიქცია ყურადღება:

„– ეს ვის შვენის ბრძანებები –  
ხმამალალი, მახვილი? –  
ასე რომ ჰკავს მწყემსის კომბალს,  
ნიშანია ძახილის“.


მორიგი ამოცანაც არ ამოვხსენი?! რამდენიმე დღის წინ ასეთი ჯგუფური დავალება ჰქონდათ: მოეფიქრებინათ რ წინადადება, რომელშიც ძახილის ნიშანს სწორად გამოიყენებდნენ.

იმუშავა ჯგუფმა გულდასმით, ფუსფუსით, თავაუღებლად და ცოტა ხნის შემდეგ დაფაზე რ წინადადება ეწერა, ექვსივე ბრძანებას გამოხატავდა – ესეც მეორე ტიპური შეცდომა, რომლის აღმოფხვრაზეც არანაკლები ოფლის ღვრა დამჭირდება და ნაირ-ნაირი ფოკუსის ჩატარება იმაში დასარწმუნებლად, რომ ძახილის ნიშანს მაინცდამაინც გენერლები არ იყენებენ, ის ნებისმიერ ემოციას იტევს და ძალიან საჭირო რამეა.

სამაგიეროდ, სხვა სასვენი ნიშანს სწავლობენ „ორმაგი სტანდარტით“:

„– ვთქვათ და სიტყვა  
დაგვეკარგა,  
შველის საქმეს სატირელს  
რომელიმე ძმათაგანი –  
ან დეფისი, ან ტირე“.

რას გულისხმობს „ძმობაში“ პოეტი? იმას, რომ დეფისი და ტირე „ძმები თუ არიან, რამ გაყო“ – ანუ სინონიმებია? თუ ძმები არიან და ბავშვს რომელიც უფრო მოეწონება, ის გამოიყენოს? საერთოდაც, ამ ტირე-დეფისის განსხვავების ამბავი მე თავის ტყუილად ატკივება, თითქმის გამოწოვილი პრობლემა და უფრო მეტიც, ბავშვებზე ძალადობა მგონია. არა, მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ მართლწერისათვის სრულიად არაფრის მომცემია და, ფაქტობრივად, არც კი განსხვავდება. უბრალოდ, რაღაცას ვიგონებთ და კიდევ უფრო ვირთულებთ საქმესაც და ცხორებასაც ჩვენ, ფილოლოგები. ამის კარიკატურად ინტერნეტში ნაპოვნი ეს ფოტოც გამოდგება, რომელშიც დეფისი სასვენი ნიშანია, ხოლო ტირე – პუნქტუაციური.



არ იფიქროთ, თითქოს ყველა ცოდვა ამ სახალისო ლექსს ავკიდებ. უბრალოდ, მაგალითად მომყავს და იმის თქმა მინდა, რომ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ზოგადად, ასეთი ტენდენციაა დაწყებით საფეხურზე, რომელსაც არასწორ ცოდნამდე მიჰყავს მოსწავლე.

არც ის დამაბრალოთ, აბუქებსო – უკვე მესამე კლასის სტანდარტში გარკვევით წერია: „სათანადოდ იყენებს სასვენი ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, მრავალწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს)“. ტირე-დეფისი გამორჩენიათ.

ამ შეცდომებს, ასე თუ ისე, ადვილად მოეველება ხოლმე. უფრო რთულია იმის ახსნა, რომ მძიმე და-სთანაც შეიძლება დაწეროთ, ხოლო რომ-ის წინ ყოველთვის არ იწერება. მძიმის წერა ხომ ისედაც მძიმე მისია და ტვირთია. ამ შემთხვევაში ნამდვილად რთულია, აუხსნა მოსწავლეს, რომელმაც ჯერ არც ჩართული იცის, არც რთული ქვეწყობილი წინადადება, რატომ შეიძლება დაიწეროს პირველ შემთხვევაში მძიმე და არ დაიწეროს მეორეში. თუმცა

ჩაღასას  
ვიგონებთ და  
კიდევ უფრო  
ვირთულებთ  
საქმესაც და  
ცხორებასაც  
ჩვენ,  
ფილოლოგები.  
ამის პერიკაპტურად  
ინტერნეტში  
ნაპოვნი  
ეს ფოტოც  
გამოდგება,  
როგორც დეფისი  
სასვენი ნიშანია,  
ხოლო ტირე –  
პუნქტუაციური.



**ფრჩხილებში  
ჩასმული  
ინფორმაცია  
ჩვეულებრივ  
იკითხება, მაშინ  
– ღამათბობითია და  
გვეხმარება კიდევ  
ტექსტის უკეთესად  
გაგებაში.**

თავში წესის არასწორად ჩაბეჭდვას, ვფიქრობ, სჯობია, უბრალოდ, ვუთხრათ, რომ ამ შემთხვევებს მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ისწავლიან. ასეთ დათმობებზე წასვლა ხშირად უწევს მასწავლებელს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გრამატიკის თანმიმდევრული სწავლება სრულფასოვნად ვერ ხერხდება.

ჰო, აქამდეც მინდოდა აღმენიშნა, რომ ზემოთ მოყვანილი ლექსი ერთ ძალიან მნიშვნელოვან წესს ასწავლის ბავშვებს: რომ „მრავალწერტილი“ სამ წერტილს გულისხმობს და არამც და არამც – წერტილთა ლეგიონს! ცოდვა გამხელილი სჯობია, ამ

უცნაურობას პატარები უკეთესად იჯერებენ, ვიდრე დიდები. განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში გამოირჩევიან ამ სასვენი ნიშნის სიყვარულით, სათქმელის ბოლოს უსასრულოდ ამწვრივებენ წერტილებს, რომელთა რიცხვიც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მრავალმნიშვნელოვანია სათქმელი, ან კიდევ რამდენ რამეს ინახავენ გულში და თავს იკავებენ გამომზეურებისაგან. თუმცა ზოგჯერ მგონია, ამ წერტილების უკან დგას „ზოოტოპიის“ პერსონაჟ ზარმაცასავით ზანტი და ნელი ადამიანი, რომელსაც, უბრალოდ, წერტილის ღილაკიდან ხელის ალება გვიან ახსენდება...





მაია ურიძე

# ჭეხური სამუშაო ისტორიის გაკვეთილები

მასწავლებლის საქმიანობა გაკვეთილზე მხოლოდ ცოდნის გადაცემითა და კონტროლით არ შემოიფარგლება – მას სხვა აქტივობების მოშველიებაც უხდება წარმატებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მისი ერთ-ერთი ამოცანაა დროის ეფექტური გამოყენებაც, როგორც ცნობილია, ტრადიციული საგაკვეთილო საქმიანობის პირობებშიც კი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისთვის მასწავლებელს საშუალოდ მხოლოდ 2 წუთი რჩება. ეს დრო მეტისმეტად ცოტაა მოსწავლის კონკრეტული, ინდივიდუალური საჭიროებების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის. ვითარება განსაკუთრებით რთულდება, როცა კლასში ყველამ იცის პასუხი, მაგრამ მეტწილად პასუხობენ „აქტიურები“. ასეთ პირობებში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი თანდათან პასიური ხდება და სწავლის მოტივაცია ეკარგება. გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მოსწრების სხვადასხვა დონეც: ზოგი სუსტია, ზოგი – საშუალო, ზოგი – საკმაოდ წარმატებული, – და საბოლოოდ კლასში არასასურველი ურთიერთობები ყალიბდება.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა ჯგუფური მუშაობის დროს, რომელიც თითოეულ მოსწავლეს აძლევს შანსს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ცოდნა და უნარები. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები უკეთესად გაიზრდებიან სასწავლო მასალას, ინაწილებენ როლებს, გეგმავენ მოქმედებას, უმაღლდებთ მოტივაციას, გრძნობენ თანაკლასელების მხარდაჭერას და უფრო გამბედავები ხდებიან.

უამისოდ ზოგიერთ მოსწავლეს (მაგალითად, შედარებით სუსტებს) საერთოდ უჭირს საგაკვეთილო საქმიანობაში ჩართვა. პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შედარებით დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მიმართ „ძლიერები“ ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობენ და ეხმარებიან ძლიერი მხარის წარმოჩენაში.

რაც მთავარია, მუშაობის დროს ჯგუფი რამდენიმე დავალებას იღებს, რომელთა შესრულებაშიც ჯგუფის თითოეული წევრი მონაწილეობს და მთლიანობაში კლასის ყველა მოსწავლე განვითარების თანაბარ პირობებში ხვდება.

ასეთი შემოქმედებითი და ინტელექტუალური აქტივობების შედეგად მოსწავლეებს უმაღლდებთ მოტივაცია, ეუფლებათ წარმატების განცდას და საკუთარი თავით და, საზოგადოდ, სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეგრძნება (სასურველია, ჯგუფური სამუშაოს ხანგრძლივობამ არ გადააჭარბოს 10-15 წუთს – ამის შემდეგ ბავშვები უკვე იღლებიან).

ჯგუფურ სამუშაოს იყენებენ დავალებებისა და სავარჯიშოების შესასრულებლად, ცოდნის განსამტკიცებლად და გასამეორებლად, ახალი მასალის შესასწავლად და სხვ.

**რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობას ისტორიის გაკვეთილზე? აქაც რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა:**



მასწავლებლის საქმიანობა გაკვეთილზე მხოლოდ ცოდნის გადაცემითა და კომუნიკაციით არ შემოიფარგლება – მას სხვა აქტივობების მოშველიებას უხდება მანამაშობი სანსაზღო განაწილს შესაქმნელად, მისი ერთ-ერთი ამოცანაა დროის ეფექტური გამოყენებას, როგორც სწავლის, სწავლის საგანგებობის საქმიანობის პირობებში კი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მასწავლებლის საუბარზე მხოლოდ 2 წუთი რჩება.

● **ორგანიზაციული მხარე** – პრობლემური ამოცანის წამოჭრა (პრობლემური სიტუაციის შექმნა), მოსწავლეებისთვის დავალების მიცემა, ჯგუფში მუშაობის დაგეგმვა, მოვალეობათა განაწილება, ჯგუფის წევრების მიერ დავალების შესრულება, შედეგების განხილვა, საერთო შედეგების შეჯამება და წარდგენა;

● **მასწავლებლის საქმიანობა**: ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, აცნობს მუშაობის წესებს და შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლეებს უბიძგებს მუშაობისკენ, კოორდინირებას უწევს ჯგუფში მოვალეობათა განაწილებას, წამოჭრილი მოსაზრებების, ჰიპოთეზების, ვერსიების განხილვას, ეხმარება დასკვნების გამოტანაში, სთავაზობს დავალების შესასრულებლად საჭირო მასალას. ის მხოლოდ საქმიანობის წარმმართველია, ხელმძღვანელი, მუშაობაში ჩაერთვება მამინ, როცა ეს მართლა აუცილებელია, უკანასკნელ ეტაპზე კი შეაჯამებს შედეგებს, გააანალიზებს დავალების შესრულების დონეს და მოახდენს რეფლექსიას.

● **მოსწავლელის საქმიანობა**: განაწილდებიან ჯგუფებად, ემზადებიან საგაკვეთილო საქმიანობისთვის, ჯგუფის შიგნით ინაწილებენ როლებს, ირჩევენ ლიდერს, წამოაყენებენ ჰიპოთეზას, აყალიბებენ სასწავლო ამოცანის ამოხსნის ვერსიებს, კრიტიკულად აფასებენ შეთავაზებულ ვარიანტებს, აანალიზებენ ახალ ინფორმაციას, იცავენ პოზიციებს, ასრულებენ დავალებას, იძენენ თანამშრომლობითი მუშაობისა და არგუმენტირების გამოცდილებას, განიხილავენ შედეგებს, საჭიროებისამებრ ეკითხებიან მასწავლებელს და ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის თვითკონტროლს.

● **კომუნიკაციური უნარების განვითარების მიმართულებით**: მოსწავლეებს უყალიბდებათ სწორი დამოკიდებულება მასწავლებლისა და თანაკლასელების მიმართ; ავლენენ ჯგუფური მუშაობისა და ზოგადად ისტორიისადმი ინტერესს; სწავლობენ სხვისი აზრისა და პოზიციის გაზიარებას, საკუთარი აზრისა და პოზიციის ფორმულირებას; სხვადასხვა რესურსის გამოყენებით იფართოებენ ცოდნას, წერენ პრეზენტაციებს, ანოტა-

ციებს, უვითარდებთ ზეპირი და წერიტი მეტყველების, არგუმენტირების, საერთო გადაწყვეტილების მიღების, მონოლოგის აგების, სასწავლო ამოცანის ამოხსნის, გადაწყვეტილებაზე კონტროლის, კვლევისა და ინფორმაციასთან მუშაობის, საქმიანობის დაგეგმვის, კორექტირების, შეფასებისა და დაფასების უნარები.

● **ჯგუფური მუშაობის დროს იყენებენ სხვადასხვა მიდგომას, რომელთა შორისაც** შედარებით ეფექტურად მიიჩნევა ჯგუფური გამოკითხვა და დისკუსია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი მოცემული მიდგომების გამოყენებით.

**ჯგუფური გამოკითხვის მაგალითები**

**XI კლასი, თემა – „სახელმწიფოს წარმოშობა“**

ჯგუფებისთვის დასმული კითხვები შეიძლება იყოს ასეთი:

● **1-ლი ჯგუფისთვის**: „ჩამოთვალეთ სახელმწიფოს ფუნქციები; რას ნიშნავს პოლიტიკური რეჟიმი? რით განსხვავდება სახელმწიფოს მმართველობის ფორმები ერთმანეთისგან? დაასახელოთ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის კომპონენტები“ და ა.შ.

● **მე-2 ჯგუფისთვის**: „რა არის პოლიტიკა? რით გამოირჩევიან პოლიტიკური მოღვაწეები? დაახასიათეთ პოლიტიკური პარტიის ფუნქციები“ და ა.შ.

**XII კლასი, თემა – „პირველი მსოფლიო ომი“**

აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფური სამუშაო, რომელიც უკავშირდება ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთის, ბულგარეთის, რუსეთის, აშშ-ის, საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთის ერთმანეთისადმი დამოკიდებულებებს. ჯგუფებისთვის მიცემული დავალებები შეიძლება იყოს ასეთი:

- რომელ ბლოკში შედიოდა ჩვენი ქვეყანა? რა იყო ამ ბლოკის მიზანი?
- როგორი იყო ამ ომისადმი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულება? შეიცვალა თუ არა ეს დამოკიდებულება წლების შემდეგ?

- ყველაზე მეტად რომელი ისტორიული პირები დაგამასოვრდათ ამ ომიდან? რომელ მათგანს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის?
- რომელი ძირითადი ბრძოლები გადაიტანეს ჩვენმა ჯარისკაცებმა? რა შედეგით დასრულდა ისინი?
- რა ძირითადი შედეგით დასრულდა ომი ჩვენი ქვეყნისთვის? და ა.შ.

ჯგუფური გამოკითხვა ეფექტურია ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებზე მუშაობისას. მაგალითად, ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლისას (VII კლ.) მოსწავლეებს სამუშაოდ შეგვიძლია შევთავაზოთ თემა „სოლონის რეფორმები“. თითოეული ჯგუფი იღებს ტექსტს სოლონის კანონების შესახებ (პლუტარქეს მიხედვით) და კონკრეტულ დავალებებს. კითხვები შეიძლება ასეთი იყოს:





ჭგუფური  
მუშაობისას  
მასწავლებელს  
შეუძლია  
ბამოიყენოს  
ისეთი  
დავალებები,  
რომლებიც  
შეაჩივრებს  
ფართოდ  
ბამოაქვეყნოს  
მოსწავლე-  
თა ცოდნის დონას  
და ხელს შეუწყობს  
მათი  
აზროვნების  
გაფართოებას და  
ბანვითარებას.

- რა იცით სოლონის საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ?
- შეგიძლიათ დაასახელოთ სოლონის მიერ მიღებული კანონები?
- რატომ შემოიღო სოლონმა კანონი, რომელიც კრძალავდა ღარიბი მოქალაქის მონად გაყიდვას?
- რატომ აკრძალა სოლონმა ვაღში მყოფი ბერძნის მონად გაყიდვა და ყველა მონად გაყიდული ბერძენი სამშობლოში რატომ დააბრუნა?
- რატომ გააუქმა არქონტ დრაკონის ყველა კანონი, გარდა იმ კანონისა, რომელიც მძიმე დანაშაულს – მკვლელობას ეხებოდა?
- რისთვის შემოიღო სოლონმა კანონი, რომლის თანახმად, ყველა ათენელს შეეძლო სამართლის ძიება?
- რა მიზნით აკრძალა გარდაცვლილთა აუგად მოხსენიება?  
და სხვ.

მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეისწავლის ყველა საკითხს, ის ჩამოაყალიბებს თავის თვალთახედვას სოლონის რეფორმების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს ჯგუფს და მისი დასკვნა კიდევ უფრო განზოგადოს, მერე კი გამოკითხოს ჯგუფი.

შეიძლება, ჯგუფური აქტივობის დროს მასწავლებელმა რამდენიმე მიდგომა ერთდროულად გამოიყენოს. მაგალითად, XI კლასში ძველი ბერძნული პოლისების შესწავლისას (ათენი და სპარტა) მოსწავლეებს შეუძლიათ მოახდინონ ათენისა და სპარტის ბუნებრივი პირობების, სამეურნეო საქმიანობის, მმართველობის ფორმების შედარებითი ანალიზი. ამისთვის მოსწავლეები ჯგუფში სწავლობენ ათენისა და სპარტის მმართველობის სისტემებს, ამზადებენ საერთო პასუხს, შემდეგ ლიდერები წარმოადგენენ პასუხებს კლასის წინაშე, მასწავლებელი კი ჯგუფური გამოკითხვით კიდევ უფრო აამაღლებს თითოეული მოსწავლის მოტივაციას და გამოავლენს მათ ცოდნას, მერე კი განზოგადებს მოცემულ ინფორმაციას, ყურადღებას გაამახვილებს რომელიმე დეტალზე, მაგალითად, პოლისებისთვის დამახასიათებელ ცხოვრების

დეტალებზე და ცოდნისა და უნარების გამტკიცებისთვის შესთავაზებს ახალ დისკუსიას თემაზე „სად უფრო სასურველი იქნებოდა ცხოვრება – ათენში თუ სპარტაში?“

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ისეთი დავალებებიც, რომლებიც შედარებით ფართოდ გამოავლენს მოსწავლეთა ცოდნის დონეს და ხელს შეუწყობს მათი აზროვნების გაფართოებას და განვითარებას. მაგალითად, განზოგადების კავებით ზე მასწავლებელს შეუძლია, კლასი დაეყოს ჯგუფებად და სამუშაოდ შესთავაზოს თემები: „საქართველო XX საუკუნის ბოლოს“ და „საქართველო XXI საუკუნის დამდეგს“. დავალების შესასრულებლად მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სახელმძღვანელოს ტექსტი, დაასახელონ ისტორიული პირობები, გაიხსენონ თარიღები, საზოგადოებრივი მოძრაობები, მიზეზები, შედეგები და სხვ., ბოლოს კი წარმოადგინონ პრეზენტაცია, დისკუსიის ეტაპზე კი წინ წამოსწიონ ამ პერიოდებში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები: „გამოყოფოდა თუ არა საქართველო დსთ-ს ქვეყნებს?“; „დასავლეთი თუ ჩრდილოეთი?“ და სხვ.

ჯგუფური სამუშაოს შესაძლებლობები ძალიან ფართოა და რაც უფრო ხშირად გამოვიყენებთ მას მასწავლებლები, მით უფრო მეტად დავეხმარებით მოსწავლეებს ინდივიდუალური თვისებების გამოვლენასა და სრულყოფაში, სწავლისას მაღალი შედეგების მიღწევაში.







მაკასახუჩია

# დაუჭერიბელი დამაჭერიბლად

„არც ერთი ნამდვილი ამბავი არ არის გამოგონილ ამბავზე უფრო ნამდვილი“, – ეს სიტყვები უილიამ სომერსეტ მოემს ეკუთვნის და გამოგონილი ამბის მნიშვნელობაზე დაგვაფიქრებს. ვინაიდან ბავშვი ბუნებით მემბოხე და პროტესტის მოყვარულია, უმნიშვნელოვანესი კლასიკური ტექსტების სწავლების დროსაც კი მსმენია კატეგორიული მიუღებლობის გამოხატველი ფრაზები: „მე ამ ნაწარმოებს არ ვისწავლი!“, „ვინ გამოაცხადა ის კლასიკური და უკვდავ ქმნილებად?“, „თუ თქვენ გგონიათ, რომ მოვლენაა, ჩემთვის გაუგებარი, უფერული და მიუღებელია!“, „მოძველებულია მისი სამყარო და თანამედროვეობას ჩამორჩენილია მისი ღირებულებები!“, „ხომ მაქვს უფლება, რომ ასე წავიკითხო?“

მოსწავლეს რომ ტექსტისადმი ნდობა და ინტერესი დაეუბრუნო, მთელი ჩემი ლიტმცოდნობითი უნარების მომველიება მჭირდება ხოლმე. ვიწყებთ საუბარს: რა აქცევს ტექსტს უკვდავ ქმნილებად? რა ნიშანთვისებები უნდა ჰქონდეს მას?

რომელი კომპონენტების წყალობით ჩაითვლება ღირებულ ნაწარმოებად? რასაკვირველია, ტექსტების შეფასების უამრავი კრიტერიუმი არსებობს, მაგრამ ამჯერად ერთ ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას. ტექსტის იდეური, სახეობრივი და სტილური მახასიათებლების ყოველი კომპონენტი უმაღლესი ოსტატობით თუ არ არის შესრულებული, ტექსტი კლასიკურ მწერლობაში ადვილს ვერ დაიმკვიდრებს. კლასიკური ნაწარმოები უზადლო და ამიტომაც უეჭველ ღირებულებად მოგზაურობს დროში.

მთავარი, რამაც, ჩემი აზრით, ტექსტს მკითხველისკენ გზა უნდა გაუკაფოს, დამაჯერებლობაა. დამაჯერებლობა ამბების, ემოციების, სახეების. იმისთვის, რომ წერის ხელოვნების საიდუმლოს ვეზიაროთ, ხშირად ვასრულებთ ხოლმე სხვადასხვაგვარ წერით სავარჯიშოს. ბავშვების საყვარელი აქტივობაა „ფანტაზიორები და რეალისტები“, სადაც ინტერესების მიხედვით ირჩევენ ფანტაზიორის ან რეალისტის ტექსტს და თხზავენ ამბებს.

ერთ-ერთი ასეთი საკლასო აქტივობის დროს:

– ანა, შენ სავსებით დამაჯერებელი, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბებს დაუჯერებლად ჰყვები, – ვეუბნები ლიმილით ჩემს მოსწავლეს (სახელი შეცვლილია).

– რატო, მაასწ? აბა, როგორ მოგყვებ?

– რას გთხოვდა დავალება? გახდი ფანტაზიორი ან რეალისტიო, ხომ? შენ აირჩიე ფანტაზიორი, არა? და რას ჰყვები? იმას, რაშიც არაფერია ფანტასტიკური, დაუჯერებელი, ზებუნებრივი, რაც ყოველთვის ხდება და ყოველთვისაც შეიძლება მოხდეს... თანაც ჰყვები ისე, რომ ყალბია, დაუჯერებელი, არ მწამს, არ მჯერა, ასე არ ხდება, რაღაც სხვანაირადაა და ასეთი მთხრობელი მინდა გავაჩერო...

– აბა, როგორ უნდა ვწერო, მასწავლებლო? – სვეფსისი იპყრობს ანას.

– გახსოვს რუსთველი? დევები არსებობენ? ქაჯები არსებო-

ნამდვილი ამბის  
გადმოცემა  
საბავშვო  
ქრონიკაში  
შეიძლება ეფექტურად,  
ქაღალდზე და  
მაინსერიგებლად,  
მაგრამ ის საღვთო  
და ორდესადაც  
ვილასა  
გადახდება,  
ხოლო მხედრის  
გამომგონილი  
ამბავი  
უნივერსალურია,  
გადრეულია,  
გამომგონილია და  
უამრავ ადამიანს  
შეიძლება  
გადახდეს.



ბთავეანი,  
ჩამას, ჩემი  
აზრით, ტექსტს  
მკითხველისკენ  
გზა უნდა  
გაუკაფოს,  
ღამაჭანიბლობაა.  
ღამაჭანიბლობა  
ამბებნის,  
ემოციების,  
სახეების.

ბენ? ვინმე დღეს დააღამებს და  
ღამეს გაათენებს? ვინმე მოლს  
მოისხამს და ქაჯთა ქალაქში  
გადაფრინდება? 300 მეომრით  
ვინმე აიღებს 19 ათასი მცვე-  
ლისგან გალავანგამაგრებულ  
ქალაქს? ვინმე ხელით დაახრ-  
ჩობს ვეფხვს? ვინმეს ღირსება  
სამი ათასი ჯორჯიდებული  
დარჩეული თვალ-მარგალიტი?  
ვინმესთვის დაუდგამთ თავზე  
ერთობილი ლალის გვირგვი-  
ნი? ან ვინმესთვის უჩუქებიათ  
ბატის კვერცხისოდენა მარ-  
გალიტი? ან მტრედის კვერც-  
ხისოდენა ათასი მარგალიტი  
შეიძლება აჩუქო ვინმეს? ვინმეს  
უნახავს, მარგალიტის თვალი  
ისე ანათებდეს, რომ ბნელ ღა-  
მეში მზატვარს ხატვა შეეძლოს?

ვინმეს უნახავს თვალ-მარგალი-  
ტით გამოჭედილი 40 ოთახი? ან  
შეიძლება, თვალ-მარგალიტს  
არიგებდე და არ აკლდებოდეს?  
ვინმეს ამოუესია ხევი ნაგლეჯი  
თმებით? ვინმეს მეკობრეების  
გემი მარტოს დაუღეწავს?  
ვინმეს ათი დღის სავალი სამ  
დღეში გაუვლია? ვინმეს ვინმე  
თავისი სილამაზით დაუბნედა?  
ვინმეს გაუნათებია თავისი  
სილამაზით ბნელ ღამეში  
კლდოვანი ნაპირი? ვინმეს ჰქო-  
ნია „ტანი ალვა, პირი – მანგი“?  
ვინმე ყოფილა „პირი – ელვათა  
მკერთომელი“? ვინმეს მათრახით  
მკერდამდე გადაუფხრეწია  
ადამიანი? ვინმეს სამასი მეომ-  
რით ოცდაათათასიანი არმია  
დაუმარცხებია? ვინმეს ჰყოლია

ათმილონიანი ჯვარი? არა?  
რუსთველის გვერა? თუ ასეთ  
დაუჯერებელ ამბებს ჰყვება,  
რატომ გვერა? რატომ ენდობი?  
ააა, დამაჯერებლად ჰყვება?  
ისე ჰყვება, რომ ეჭვს ვერ  
შეიტან? მაშინ, შენც რამე ისეთი  
მიტხარი, ისეთი დამაჯერებე-  
ლი, მე რომ მინდა. აბა, გამოიცა-  
ნი, რისი დაჯერება მსურს, რაზე  
დავხუჭავ თვალებს და ვიტყვი:  
„ღმერთო, დიდებულო!“ – და  
სადღაც იმიერეთში გადაფ-  
რინდები... უბრალოდ, მომიყევი  
დაუჯერებელი დამაჯერებ-  
ლად! მაფიქრებინე, რომ ეს ასეც  
უნდა ყოფილიყო! შენ გგონია,  
ოდესმე რუსთველის ფანტასტი-  
კურ ამბებში ეჭვი შემპარვია?  
არასოდეს! ჩემთვის ავთანდილი



და ტარიელი ბევრად უფრო რეალური გმირები არიან, ვიდრე ათასი მეფე, რომელთა შესახებაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ უამრავ უტყუარ ამბავს ჰყვებიან. ჩემთვის ყველაზე დიდი პოლიტიკოსი ავთანდილია. ის აწესებს ყველაფრის საზღვარს, მას სჯერა, რომ ნესტანს იპოვის, ტარიელისთვის იპოვის, მაშინ იპოვის, როცა ეს თვით ტარიელსაც არ სჯერა! იპოვის და გაზაფხულიც დაუდგება სამყაროს! აი, ასეთი ამბები მინდა!

– ოჰ, ასე წერა რომ შემეძლოს, მასწ, მაშინ რუსთველი მე ვიქნებოდი.

– აჰა, ანუ გგონია, რომ რუსთველისებური ნიჭია საჭირო საიმისოდ, რომ მკითხველი ალაფრთოვანო? აქ არ ცდები, ჩემო კარგო, მაგრამ ყველა ხომ რუსთველი ვერ იქნება?! ამიტომ რა ვქნათ? კაცობრიობამ წერა შეწყვიტოს? კონსტანტინე გამსახურდია თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში, „ლანდებთან ლაციცში“, მამას ასე იხსენებს: კატეგორიულად აცხადებდა, ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ქართველმა არაფერი უნდა წაიკითხოს, რადგან რაც კარგი იყო, ამ ორმა წიგნმა ყველაფერი თქვაო. კი მოსწრებულად უთქვამს სვიმონ გამსახურდიას, მაგრამ მისთვის არც შვილს დაუჯერებია და ვერც ჩვენ დავუჯერებთ. მერე რა, თუ რუსთველური მოელვარე ნიჭი არ დაგვანათლა განგებამ – კიდევ არსებობს გზები საიმისოდ, რომ მკითხ-

ველისთვის მიმზიდველად და საინტერესოდ ვწეროთ.

– მასწავლებლო, აბა, მითხარით, რა არის საჭირო, რომ რაღაც განუმეორებელი, საყვარელი, შთამბეჭდავი დავეწერო?

– ბევრი რამ, ანა, ჩემო ძვირფასო, ბევრნაირი უნარი, ბევრნაირი ხელოვნება. ზოგი – ისეთი, რომლის დასწავლაც შესაძლებელია, ზოგი – ისეთი, რასაც ვერანაირად ვერ ისწავლი, თუ თან არ დაგყვება დაბადებიდან, მაგრამ არსებობს ერთი საიდუმლო ხერხი: მთავარია, გაიზარო, რის თქმა გინდა, რამე მნიშვნელოვნის, დამაფიქრებლის... ხოლო როცა ასეთ სათქმელს იპოვი და იდეას დაუკავშირებ, თბრობისას გულწრფელობაა ის მთავარი სამკაული, რაც შენს ტექსტში მკითხველს მიიზიდავს. არსებობს ასეთი მიმართულება – ცნობიერების ნაკადი, რომლის მიმდევარ მწერალთა ტექსტებშიც შეუღამაზებლად არის გადმოცემული გმირის ფიქრები, სულის მღვდლვარება, შინაგანი მონოლოგები. რაც ადამიანურია, რაც ადამიანის სულში, გულსა და გონებაში გამოივლის, ყოველთვის საინტერესოა მკითხველისთვის, რადგან მწერლობა უპირველესად რეფლექსიაა, მწერლის მიერ სამყაროს აღქმა და თავისებურად გააზრება, მისი დაკვირვებების და დასკვნების გადმოცემა. ყოველ გმირში ჩვენ ვართ, გმირები ჩვენნაირები არიან და ჩვენ მათნაირები ვართ, გმირში ყოველთვის საკუთარ თავს ვხედავთ, მას ვაზომებთ, მას ვადარებთ ჩვენს გარეგნობას, ქცევას, ცხოვრების

გზას, აზრებს, ფრანებს, საყვარელ მანერებს... თუ მწერალმა შეძლო, გულწრფელად გადმოცემა სათქმელი, თუ სიყალბემ არ გაიჟღერა და გმირი თავისი ცხოვრებით მკითხველამდე მივიდა, ის გამარჯვებული რჩება, მის ტექსტს მკითხველი უსათუოდ მიიღებს და შეიყვარებს. გავიხსენოთ ჯემალ ქარხაძის, ოთარ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის ტექსტები – რა ღრმად ჩადიან გმირის ფსიქიკაში, ცნობიერისა თუ არაცნობიერის რა უღრმესი პლასტებიდან იღებენ მის ხასიათს.

არ ვიცი, ჩვენი ეს დიალოგი რამდენად დაეხმარება ანას, გულწრფელად გადმოსცეს თავისი სათქმელი ან დაუჯერებელ ამბავს დამაჯერებლად მოუყვეს მკითხველს, მაგრამ მთავარი უკვე გავიზრეთ – რომ მხატვრული ტექსტი ვერ იტანს სიყალბეს, არასოდეს აპატიებს ავტორს ყალბ ფრანას, სახეს ან სიუჟეტს. ისე კი, იცოცხლე, შეუძლია, ფანტაზია გალაკტიონივით შორეული პლანეტების ელვარე ნაპირებისკენ გააქროლოს, სადაც უნდა, უდაბნო გააჩინოს და სადაც მოისურვებს, უდაბნოს ხვატში ოაზისი ააკამოს. მთავარია, ეს გამონაგონი არ ასცდეს მიზანს, მწერლის ჩანაფიქრისკენ სვლა ბუნებრივი და ძალდაუტანებელი დინამიკით მიმდინარეობდეს. ნამდვილი ამბის გადმოცემა საგაზეთო ქრონიკაშიც შეიძლება ეფექტურად, ძალიან დამაინტრიგებლად, მაგრამ ის სადღაც და ოდესღაც ვიღაცას გადახდება, ხოლო მწერლის გამოგონი-

ლი ამბავი უნივერსალურია, ზედროულია, ზესივრცულია და უამრავ ადამიანს შეიძლება გადახდეს. უამრავი ადამიანი იმ ამბავსა და მის გმირში საკუთარ თავს ხედავს და მსოფლმხედველობას იფართოებს მისი დახმარებით. ეს პერსონაჟი შემდგომ არქეტიპად გვრჩება და ხშირად შეგვახსენებს კიდევ თავს. აღარც მასსოვს, რომელ კლასში წავიკითხე ჯექ კონდონის „მარტინ იდენი“ და მერე არასდროს მივბრუნებოვარ, მაგრამ მარტინი მუდამ ისეთი ახლობელი და „ჩემია“, მუდამ ახალი, გაუხუნარი, დაუვიწყარი, სულის უღრმეს შრეებში ფესვებგადგმული... ამიტომაც არის მწერლობა ჯადოქრობა, ლოგოსის მაგია ამიტომაც გვიყვარობს და გვაკეთილშობილებს. თუ ერთხელ გემო გავუგეთ, ის ჩვენი ცხოვრების მთავარი მასწავლებელი ხდება.

– მასწავლებლო, საიდან დავიწყო ამგვარად წერის „დამუღამება“? – ვერ ისვენებს ანა. როგორც ჩანს, ცხრა მუზიდან რომელიღაცა – ან კალიოპე, ან ევტერპე, ან ერატო, ან მელპომენე, ან თალია – მის სულსა და გონებას შეხიზნებია. წერის სურვილი კი ისეთი მწველი და დაუოკებელია, ვულკანური სტიქიონივით ბოლოს მაინც ამოიფრქვევა. მე კი იმაზე ვოცნებობ, რომ წლების მერე ცნობილმა მწერალმა თქვას, წერის სურვილი ჩემმა ქართულის მასწავლებელმა გამიღვივაო.





ნათია შვაჩავაძე

# კითხვა ნიშანთა სისტემით

როგორ ვასწავლოთ წაკითხვის გააზრება? ამისთვის ბავშვი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა კითხვების დასვლა. როგორ ვასწავლოთ წაკითხვის გააზრება? ამისთვის ბავშვი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა კითხვების დასვლა. როგორ ვასწავლოთ წაკითხვის გააზრება? ამისთვის ბავშვი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა კითხვების დასვლა.

ჩვენი მოსწავლეები ყოველდღე კითხულობენ.

კითხულობენ გავრცელებულ, ამოცანების პირობებს, ლექსებს, ახალგამოცემულ თუ ძველ წიგნებს, ერთმანეთის წერილებს. ტექსტებს ხვდებიან სახლში, სკოლაში, ქუჩაში, აბრეშუბზე, მაღაზიებში, ყველგან.

და მთავარი ამ დროს ის არის, თუ როგორ იგებენ, იაზრებენ და შემდეგ იყენებენ წაკითხულს. ჩვენ კი, მასწავლებლებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ, როგორ იკითხონ და გამოვემუშაოთ ტექსტის გააზრების, ინფორმაციის დახარისხების უნარები. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან როცა მოსწავლეები სკოლაში ახერხებენ წაკითხულის გააზრებას, შემდეგ უადვილდებათ სწავლა უნივერსიტეტში, საქმეს იოლად ართმევენ თავს სამსახურში, აღარ უჭირთ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა.

როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა კითხვების დასვლა. როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ადვილი გზაა კითხვების დასვლა.

სასურველია, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ რამდენიმე სიმბოლო.

მაგალითად:

- 🔵 გაუგებარი სიტყვა - ?
  - 🔵 ნაცნობი ინფორმაცია - +
  - 🔵 მნიშვნელოვანი ცნობა - !
- და ა.შ.

ეს ნიშნები მკითხველებმა უნდა გამოიყენონ ტექსტზე მუშაობისას. სიმბოლოები შეიძლება ვცვალოთ გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით. ინფორმაციის ამგვარად დახარისხება უფრო საინტერესოს ხდის კითხვის პროცესს და ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ წაკითხულს. „მთავარია, შერჩეული

სიმბოლოები გვაძლევდეს საშუალებას, გავიგოთ, რა გაიგეს მოსწავლეებმა, რა ვერ გაიგეს, რა დარჩა ბუნდოვანი, რა მოეწონათ ან არ მოეწონათ. ამგვარი მიდგომა ეხმარება მოსწავლეს არა მარტო ტექსტის უკეთ გაგებასა და სწავლაში, არამედ ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრასა და გამოხატვაშიც. ეს ყოველივე კი აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს აქტიურ მკითხველად მისი ჩამოყალიბებისათვის“ (კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 80).

რამდენიმე თვის წინ მოსწავლეებთან ერთად ერთგვარი სამკითხველო ექსპერიმენტი წამოვიწყე სწორედ ნიშანთა სისტემით.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს მოსწავლემ მითხრა, ბოლოს წიგნს როცა ვკითხულობდი, არ მომწონდა

და ვალიარებ, ფურცლებს ვტო-  
ვებდით. ჩვეულებრივი ამბავია,  
არ გამკვირვებია, პირიქით, გა-  
მახარა მისმა გულწრფელობამ.  
წიგნით დაინტერესება არ არის  
ადვილი და უამრავი რამის გა-  
მოგონება გვიწევს, თუ გვინდა,  
რომ ბავშვებმა სიამოვნებით  
იკითხონ. იმ წუთიდან დავიწე-  
ყე ფიქრი, რა შეიძლებოდა  
გამეკეთებინა, რომ მომდევნო  
წიგნი, განურჩევლად იმისა,  
მოეწონებოდა თუ არა, მისთვის  
საინტერესო ყოფილიყო, არა  
მხოლოდ ტექსტი – კითხვის  
პროცესიც.

ასეთი რამ მოვიფიქრე: ბავშვებს  
შევთავაზე, წაგვეკითხა ისეთი  
წიგნი, რომელიც მანამდე არც  
ერთ ჩვენგანს არ გვეკონდა  
წაკითხული, მოგვეფიქრებინა  
ნიშნები, სიმბოლოები მხოლოდ  
ამ ტექსტისთვის, კითხვისას  
ფურცლებზე გადაგვეტანა და  
ამგვარად გამოგვებატა ჩვენი  
ემოციები, შეხედულებები.  
წაკითხვის შემდეგ შემთხვევითი  
შერჩევის მეთოდით გაგვეცვა-  
ლა წიგნები და დავკვირვებო-  
დით ერთმანეთის განცდებს,  
შთაბეჭდილებებს. ჩემი მიზანი  
არ ყოფილა, ჩემს მოსწავლეებს  
მხოლოდ მოსწონებოდათ ან არ  
მოსწონებოდათ წაკითხული  
ამბავი, მინდოდა, მიმხედარიყვ-

ნენ, რომ წიგნი, ისევე როგორც  
ცხოვრება, იქმნება დეტალების-  
გან, რომლებიც უწყურადლებოდ  
არ უნდა დავტოვოთ, მსურდა,  
გაეაზრებინათ ის, რასაც კით-  
ხულობდნენ, ეს კი დავკვირვების  
გარეშე შეუძლებელია.


ჩემი წინადადება, როგორც  
ერთგვარი გამოწვევა, მიიღო  
მოსწავლეთა აბსოლუტურმა  
უმრავლესობამ. სამი კლასის  
60-მდე მოსწავლიდან მხოლოდ  
ერთმა არ მოინდომა ამ ექს-  
პერიმენტში მონაწილეობა.

მეხუთეკლასელებს შევთავაზე  
ანე-კატარინე ვესტლის „ანტო-  
ნის პატარა საჩუქარი“, რადგან  
პირველი სამი ნაწილი უკვე  
წაკითხული გვეკონდა. ბავშვებმა  
ნიშანთა სისტემას კითხვის ენა  
დაარქვეს.





შექმტის ბააზრების, ინფორმაციის დახარისხების უნარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჩაღბან როსა მოსწავდეები სკოლაში ახარხებენ მუკითხულის ბააზრებას, შუბდეუ უადვილდებათ სწავლა უნივერსიტეტში, საქმეს იოლაღ ართმევენ თავს სამსახურში, აღარ უჭირთ სხოვნებისაუღი პრობლემების ბაღაჟრა.



შევეთანბდით, რომ, თუ რომელიმე ჩვენგანს მოუნდებოდა, საერთო სიმბოლოებთან ერთად, ინდივიდუალური ნიშნებიც მოეფიქრებინა. ასე გაჩნდა საოცარი მინიშნებები, ილუსტრაციები – ბავშვების ფანტაზიას ხომ საზღვარი არ აქვს.

მეშვიდეკლასელებმა წაიკითხეს სარა პენიპეკერის „პაქსი“ (პაქსის სიმბოლოები) და ლინდა მალალი ჰანთის „თეფი ხეზე“ (კითხვის ემოციები).

კითხვა ნიშანთა სისტემით ჩემთვის ნაცნობი მეთოდი იყო პროგრამული ნაწარმოებების სწავლებისას, წიგნი კი ამგვარად მოსწავლეებთან ერთად პირველად წავიკითხე. პროცესიც და შედეგიც იმაზე სასიამოვნო და შთაბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ვცდილობდი, უყურადღებოდ არ დამეტო-

ვებინა არც ერთი გვერდი, არც ერთი ეპიზოდი, ფრაზა, სიტყვა.

ასევე იყვნენ ბავშვებიც. მათი წაკითხული წიგნების ფურცელამ გამაბედნიერა. რომ იცოდეთ, რამდენ რამეს ამჩნევენ, რამდენ რამეზე ფიქრობენ ეს პატარა/დიდი ადამიანები.

მათი თქმით, ხშირად წაუკითხავთ ჩქარ-ჩქარა, ზოგჯერ – უყურადღებოდ, ამ მეთოდით კითხვის დროს კი უფრო ჩაუღრმავდნენ წიგნს.

მოსწავლეებს ვთხოვე, შთაბეჭდილებები დაეწერათ. წერილები ერთმანეთზე საინტერესოა, მე ბევრ რამეზე დამაფიქრა (სამომავლოდ რომ გავითვალისწინებ) და კარგად მაჩვენა, თუ რა მოჰყვა შედეგად წიგნების კითხვას ნიშანთა სისტემით.

არანაკლებ ეფექტური აღმოჩნდა მეორე ეტაპი, როცა ერთმანეთს წაკითხული წიგნები გავუცვალეთ. ერთი მხრივ, ეს იყო ტექსტის სიღრმისეულად გააზრების კიდევ ერთი გზა, მეორე მხრივ კი ერთმანეთის უკეთ გაცნობისა და დაახლოების საშუალება.

ვაკვირდებოდი, რას მიაქციეს ყურადღება კითხვისას ჩემმა მოსწავლეებმა, ბავშვები კი მეგობრებისა და მასწავლებლების განცდებს ეცნობოდნენ (ჩემ გარდა, წიგნი დასახელებული კლასების დამრიგებლებმა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმაც წაიკითხეს). საინტერესო იყო იმის გაგება, რომელი ქცევა აღმოჩნდა ჩვენთვის მიუღებელი, რომელი სიტყვები მოგვეწონა, რას გავითვალისწინებდით და ბევრი სხვა რამ.

ლიტერატურას აქვს საოცარი ძალა და ამ თავგადასავალმა ემოციურად კიდევ უფრო დაგვაკავშირა, ეს კი დღეს განსაკუთრებით გჭირდება. როცა მასწავლებელმა იცის, რა ახარებს მოსწავლეს, ეცნობა მის გამოცნებას ან, პირიქით, ბავშვი ხედავს, როგორ კითხულობს მისი პედაგოგი და რა აფიქრებს, მათი ურთიერთობა უფრო ჰარმონიული ხდება.





ესაუბრა ნინო კაპანავაძე

# საგანი „მე და საზოგადოება“ და მისი კურიკულუმი

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფენისთვის) დაინერგება. სექტემბრიდან მესამე-მეოთხე კლასებში ახალი საგანი – „მე და საზოგადოება“ შემოდის.

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის კურიკულუმის განვითარების ექსპერტი ნიკოლოზ სილაგაძე ახალი საგნის სტანდარტსა და წლიურ გეგმაზე, პროცესის ხელშეწყობ აქტივობებსა და გასათვალისწინებელ რისკებზე გვესაუბრა:

– ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ხანგრძლივი და მრავალწინაგოვანი პროცესია. ამ პროცესში სისტემურ, სასკოლო და საკლასო ოთახის დონეზე სხვადასხვა პრობლემა იკვეთება, თუმცა მთავარ გამოწვევად პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა რჩება. სპეციალისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ სკოლის სისტემა XIX საუკუნიდან მომდინარეობს, მასწავლებლები XX საუკუნიდან მოდიან, მოსწავლეებს კი შეძენილი ცოდნა XXI საუკუნისთვის სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციასა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს გუნდური სულიკვეთება, მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა და ერთმანეთის ნდობა ექნებათ, იოლი არ არის, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამ მხრივ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ. თუ სკოლაში XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი ტოტალიტარული პრინციპები მეფობს და წამყვანია გარე მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორები (ნიშანი, გამოცდა, კარიერული წინსვლა, დოკუმენტების აღრიცხვა და სხვა), ძნელი წარმოსადგენია, მოსწავლეებმა გაითავისონ ის ჰუმანური და დემოკრატიული პრინციპები,

რომლებსაც „მე და საზოგადოება“ და ყველა სხვა სასკოლო საგანი გვთავაზობს. ახალი სასწავლო გეგმის, ისევე როგორც საგან „მე და საზოგადოების“ მთავარი მისია სწორედ სასკოლო კლიმატის გარდაქმნაა. თუ ამ მხრივ სწორი პრიორიტეტები გვექნება, განათლების სისტემაში არსებული სხვა პრობლემებიც შედარებით უმტკივნეულოდ გადაიჭრება.

## რა ძირითად პრინციპებს ეფუძნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა?

– მოსწავლეზე ორიენტირება იყო და რჩება ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარ პრინციპად. ახალ სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია სწავლა-სწავლების პრინციპები, რომელთა გაუთვალისწინებლად მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება ვერაფრით მოხერხდება. ეს პრინციპები ყურადღებას ამახვილებს ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის წინარე ცოდნა, აქტიური სწავლა, პირობისეული ცოდნა, ცოდნათა ორგანიზება, სწავლის სწავლა და სხვა. სასწავლო პროცესში სწორედ ამ ცნებებზე ორიენტირება გვაძლევს შესაძლებლობას, აქცენტი დავსვათ მოსწავლის ინდივიდუ-



ქართულ ენასა და  
 რუსულ ენაში  
 და „მე და სა-  
 გომობაში“  
 სამომბლოს სხვადასხვა  
 სხვადასხვა რა-  
 კონსტრუქციას  
 ბა. ქართული უფრო  
 მეტად ასახავს  
 სამომბლოს  
 სიყვარულს, „მე და  
 საგომობა“  
 კი – სამომბლოზე  
 ზრუნვას.

ალურ წინსვლასა და მისი შემოქმედებითი პოტენ-  
 ციალის გამოვლენაზე. მეორე პრიორიტეტული  
 ამოცანაა სასკოლო კურსულუმების განვითარე-  
 ბა. ახალი სასწავლო გეგმა ორ ნაწილად იყოფა:  
 სტანდარტად და წლიურ პროგრამად. სტანდარ-  
 ტი ყველასათვის სავალდებულო მოთხოვნებს  
 მოიცავს, წლიური პროგრამა კი სარეკომენდაციო  
 ხასიათისაა და ამ მოთხოვნების რეალიზების  
 ერთ-ერთ გზას აჩვენებს. ამ გზას იმდენი ალტერ-  
 ნატივა შეიძლება ჰქონდეს, რამდენი სკოლა და  
 მასწავლებელიცაა. ჩვენი სურვილია, ეროვნულ  
 სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ყველა სკოლამ  
 თავად შექმნას და თანდათანობით განავითაროს  
 საკუთარი კურსულუმი, რომელშიც ეროვნული  
 სასწავლო გეგმის მოთხოვნების რეალიზების  
 ერთ-ერთი ორიგინალური გზა იქნება ნაჩვენები.

**კიდევ რა საკითხებს მოიცავს სასკოლო კური-  
 კულუმის შექმნა-განვითარება?**

– ცხადია, სასკოლო კურსულუმის შექმნა-განვი-  
 თარება მხოლოდ დამატებითი საგანმანათლებ-  
 ლო მომსახურების შეთავაზებას, ცალკეული საგ-  
 ნებისთვის დასასწავლ საკითხთა ორიგინალური  
 ნუსხის შექმნას ან ეროვნული სასწავლო გეგმის  
 ადმინისტრაციული შინაარსის მოთხოვნების  
 სკოლასთან ადაპტირებას არ გულისხმობს. კური-  
 კულუმი, თავისი შინაარსით, მიზანზე ორიენტი-  
 რებული პროგრამაა. აქ მთავარი იმის დაზუს-  
 ტებაა, რა მიზანს ისახავს სკოლა და რას აკეთებს  
 თითოეული პედაგოგი ამ მიზნის მისაღწევად. რაც  
 უფრო მკაფიოა დასახული მიზნებისა და სასკოლო  
 სივრცეში დაგეგმილი ფორმალური თუ არაფორ-  
 მალური აქტივობების (მათ შორის – სწავლებისა  
 და შეფასების ფორმების) კორელაცია, მით უფრო  
 გამართულია კურსულუმი. აქვე ისიც უნდა  
 ითქვას, რომ კარგი კურსულუმი ერთბაშად არ  
 იქმნება. იგი ყოველწლიურად იხვეწება სკოლაში  
 დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე. სასიცოცხ-  
 ლოდ მნიშვნელოვანია, მასზე მუშაობის პროცეს-  
 ში სასკოლო თემის რაც შეიძლება მეტი წევრი  
 იყოს ჩართული. განათლების მეცნიერებებში  
 გამოიყენება ტერმინი „კურსულუმის განვითარ-  
 ება“, რომელიც თავისი ეტიმოლოგიითაც კი  
 კურსულუმის დახვეწის პროცესის უწყვეტობასა  
 და ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებს. ამ ეტაპზე

ეროვნული სასწავლო გეგმის მისია სასკოლო  
 კურსულუმების განვითარების პროცესისთვის  
 საწყისი იმპულსის მიცემაა. მთავარი საკუთარი  
 სასკოლო კურსულუმის განვითარების პროცეს-  
 სის უზრუნველყოფაა და არა კურსულუმების  
 სრულყოფილება.

**რით განსხვავდება სასკოლო კურიკულუმი  
 საკითხთა ჩამონათვალისგან, როგორც სწი-  
 რად აღიქვამენ ხოლმე?**

– საკითხთა ჩამონათვალი არის დოკუმენტი, რო-  
 მელიც ამა თუ იმ საგნის კონტურებს გვიჩვენებს.  
 საგნობრივ საკითხებს, ცხადია, კურსულუმშიც  
 შევხვდებით, მაგრამ ისინი მის მთავარ ელემენტს  
 არ წარმოადგენს. კურსულუმისთვის მთავარი  
 მოსწავლის პიროვნული განვითარების გზის ჩვე-  
 ნებაა. ეს გზა აქ სასწავლო მიზნების სახით აღიწე-  
 რება. თემები, საკითხები, საკლასო და არასაკლა-  
 სო აქტივობები, რესურსები, დავალების ტიპები,  
 სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები და  
 სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სხვა  
 ელემენტები კი სწორედ ამ მიზნების შესაბამი-  
 სად შეირჩევა. ამდენად, კურსულუმი, თავისი  
 ბუნებით, ძალიან დინამიკური და განვითარებადი  
 დოკუმენტია, განსხვავებით საგნობრივ საკითხთა  
 ჩამონათვალისგან, რომელიც თაობიდან თაობას  
 ზოგჯერ უცვლელადაც კი გადაეცემა. ჩვენ  
 მიჩვეული ვართ, სწავლა-სწავლების პროცესი  
 გაავივივოთ სახელმძღვანელოში ან სილაბუსში  
 მოცემული საკითხების თანმიმდევრობასთან,  
 რაც, კურსულუმის განვითარების თვალსაზრი-  
 სით, შემაფერხებელი ფაქტორია.

საკითხთა ჩამონათვალსა და კურსულუმს შორის  
 არსებული განსხვავებების გამოსაგვეთად ერთი  
 შედარების მოყვანა შეიძლება. წარმოვიდგინოთ  
 მასწავლებელი, რომელიც სასწავლო პროცესის და-  
 გეგმისას მთავარ ღერძად სახელმძღვანელოს ირ-  
 ჩევს ან საგნობრივ საკითხთა ჩამონათვალს იყენებს  
 და მეორე მასწავლებელი, რომელიც ჯერ ფურცელ-  
 ზე დაწერს მკაფიო გრძელვადიან მიზანს, რომელიც  
 პასუხს გასცემს კითხვას: რისთვის ვასწავლი ამა თუ  
 იმ საგანს? – და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოწერს, რას  
 გააკეთებს (რა რესურსებს გამოიყენებს, რა აქტივო-  
 ბებს განახორციელებს) წლის განმავლობაში მიზნის




მისაღწევად. ასეთი მასწავლებლის ხელში, ცხადია, სახელმძღვანელო ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) რესურსად იქცევა, სასწავლო პროცესი კი – კურიკულუმის განვითარების პროცესად.

თუმცა ყველაფერი, რა თქმა უნდა, ასეთი მარტივიც არ არის. სასწავლო მიზნების ფორმულირებისას და ამის მიხედვით საგნის შინაარსის სტრუქტურირებისას არაერთი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. კერძოდ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ მიერ ფორმულირებული მიზნობრივი ორიენტირების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქტივობების თანხვედრას სწავლა-სწავლების 5 პრინციპთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ

იერარქიული დალაგების კუთხით იცვლება. აქ მკაფიოდაა ფორმულირებული მიზნები, რომელთა მისაღწევადაც ეს საგანი ისწავლება. ისინი უშუალოდ გამომდინარეობს ზოგადი განათლებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან. შესაბამისად, მათზე ორიენტირება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე ორიენტირებასაც ნიშნავს:

- დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი თავის საზოგადოების წევრად აღქმაში;
- ხელი შეუწყოს სოციალიზაციასა და თვითგამოხატვის უნარის განვითარებაში;
- გააცნობიერებინოს, რომ უშუალო გარემოზე ზრუნვით იწყება სამშობლოს სიყვარული და სხვა.



ჩვენი კურიკულუმი თანხვედრაში უნდა იყოს სკოლის პრიორიტეტებთან, სხვა მასწავლებლების საკლასო კურიკულუმებთან.

სწორედ ამიტომ პირველ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პედაგოგებსა და სკოლებს ბევრ საყრდენ ორიენტირს სთავაზობს სასკოლო კურიკულუმის განვითარების დასაწყებად. ამ ორიენტირების ჩამონათვალი ყველა საგანში სხვადასხვანაირია. მაგალითად, საგან „მე და საზოგადოების“ შემთხვევაში პედაგოგი გათავისუფლებულია სირთულეებისგან, რომლებიც მიზნების

აქვეა მოცემულია შედეგები, რომლებიც ამ მიზნებს უფრო მეტად აკონკრეტებს, მერე კი შემოთავაზებულია თემები, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს და რომლებშიც დასახული მიზნების რეალიზება უნდა მოხდეს. მაგალითად: ჩემი ოჯახი; სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები; გარემო, რომელშიც ვცხოვრობ; სად და როგორ ვიღებ განათლებას; მედია და ინფორმაცია; მე და ჩემი ქვეყანა.

**მაშასადამე, სტანდარტი იმგვარადაა აგებული, რომ პედაგოგი ავტომატურად მიდის**

**კითხვამდე: რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ესა თუ ის თემა დასახული მიზნების მისაღწევად გამოვიყენო?**

– ამ კითხვაზე პასუხის გასაადვილებლად ეროვნულ სასწავლო გეგმაში ექვსივე თემასთან მიმართებით მოცემულია საკვანძო კითხვები. საკვანძო კითხვა (Essential Question) არის უნიკალური საგანმანათლებლო ინსტრუმენტი, რომელიც სასწავლო თემებს მიზნებსა და შედეგებთან აკავშირებს და სასწავლო პროცესში მიზნობრივი ორიენტირის როლს ასრულებს. ამასთან, ის მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებასაც იძლევა. მასადაამე, შემოთავაზებული საკვანძო კითხვები სტანდარტში შუალედურ სასწავლო მიზნებს განასახიერებს. სასწავლო პროცესში მათი გამოყენება სტანდარტის მიზნებსა და შედეგებზე მუშაობასაც ნიშნავს. საგაკვეთილო პროცესში აქტივობები ამ კითხვებზე ორიენტირებულად უნდა წარმართოს.

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისთვის, რომ მოსწავლე ამ კითხვებზე დააფიქროს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა უნდა გააკეთოს მან იმისთვის, რომ თემის სწავლა-სწავლება მიზნების შესაბამისად წარმართოს? ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის წლიურ პროგრამაში ის აქტივობებიცაა შემოთავაზებული, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელს საკვანძო კითხვების პროვოცირება შეუძლია. ეს აქტივობები, რა თქმა უნდა, სარეკომენდაციოა. ისინი მხოლოდ ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც მასწავლებლებს სხვა მსგავსი აქტივობებისა და დავალებების მოფიქრებაში დაეხმარება. თუ პედაგოგი შემოთავაზებულ წლიურ პროგრამას გაჰყვება და მოინიშნავს, წლის განმავლობაში რომელი აქტივობა რომლით ჩაანაცვლა, ეს ჩანაწერი საფუძვლად დაედება მისი სასკოლო კურსულის განვითარებას. ამდენად, „მე და საზოგადოების“ წლიური პროგრამა სასკოლო კურსულის განვითარების ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს. ჩვენ ველით, რომ პედაგოგები პირველ ეტაპზე „მე და საზოგადოების“ წლიურ პროგრამაში შემოთავაზებულ აქტივობებსა და დავალებებს თავიანთ პრაქტიკაში აპრობირებული აქტივობებით ჩაანაცვლებენ. მეორე ეტაპზე მათ შესაძლოა შეცვალონ

ან სხვაგვარად გადააჯგუფონ საკვანძო კითხვები თემის ფარგლებში, შემდგომ კი შესაძლოა თემებიც თავად შეარჩიონ და, მიზნების შესაბამისად, შინაარსის სტრუქტურირების რთული პროცესიც საკუთარ თავზე აიღონ. თუმცა ამ ცვლილებებს ასე უცებ არ ველით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ეტაპზე კურსულუმის განვითარებისთვის საწყისი იმპულსების მიცემაც საკმარისი იქნება.

**ახალი გეგმის დანერგვის პროცესში ახალ საგანს გამორჩეული ადგილი უკავია. რა მზარდამჭერი აქტივობები იგეგმება ამ მიმართულებით?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მე და საზოგადოების“ შემთხვევაში (სხვა საგნების მსგავსად), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებს სტანდარტთან ერთად წლიურ პროგრამას სთავაზობს. მომზადებულია ასევე გაილაინი, რომელიც დეტალურ ინსტრუქციებს შეიცავს წლიური პროგრამის საფუძველზე სასკოლო კურსულუმის განსავითარებლად. ამასთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გამართავს ტრენინგებს, რომლებიც სწორედ სასკოლო კურსულუმის განვითარების მექანიზმებში გარკვევას ისახავს მიზნად. აქვე აღვნიშნავ, რომ ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში მომზადდა რესურსების მთელი წყება, რომლებიც დანერგვის პროცესს ერთიორად გააადვილებს. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

**რას გვეტყვიტ მასწავლებელთა გადაზომადებაზე საგნობრივი ცოდნის მიმართულებით?**

– საგან „მე და საზოგადოების“ თავისებურება ის არის, რომ მისი შინაარსის სწავლება არ მოითხოვს სპეციალურ საგნობრივ ცოდნას. პირველი-მეოთხე კლასების მოსწავლეებთან ოჯახის, სკოლის, ჯანსაღი ცხოვრებისა თუ უსაფრთხოების შესახებ საუბარი ნებისმიერ განათლებულ ადამიანს შეუძლია. ამ საკითხების აღქმა არც მოსწავლეებისთვის წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. აქ პრობლემა არაა საგნის რთული შინაარსი, არამედ სასწავლო პროცესის მიზნობრივად, სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებულად წარმართვა. მიუხედავად



ახალი სასწავლო  
გეგმა ორ  
ნაწილად იყოფა:  
სტანდარტად და  
მდიური პროგრამად.  
სტანდარტი  
ყვედასათვის  
სავალდებულო  
მოთხოვნებს  
მოიცავს, მდიური  
პროგრამა კი  
საინჟინერო-ტექნიკური  
ხასიათისაა და  
ამ მოთხოვნების  
ჩაბრუნების  
ერთ-ერთ გზას  
არჩევნებს.

ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „მე და საზოგადოების“ შინაარსის აღქმის გასაადვილებლად სთავაზობს პედაგოგებს რესურსებს. ზემოთ ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ვახსენე. ის, მეთოდოლოგიური რეზიუმეებთან ერთად, პედაგოგებისთვის განკუთვნილ რესურსებსაც მოიცავს კონფლიქტების მართვის, ჯანსაღი ცხოვრებისა და საგნისთვის აქტუალურ სხვა საკითხების შესახებ.

**როგორ მოხდება დანერგვის მონიტორინგი?**

– როგორც წესი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ატარებს დანერგვის მონიტორინგს. ეს თვისებრივი კვლევაა. მონიტორინგის პროცესი გულისხმობს სკოლებში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას და დანერგვის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას სპეციალურად შექმნილი კითხვარების საშუალებით. ამას მოსდევს რეკომენდაციების ჩამოყალიბება ეროვნული სასწავლო გეგმის განსავითარებლად. აქვე აღვნიშნავ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი არის სკოლის დახმარებასა და წინსვლაზე და არა ვინმეს შემოწმებაზე ან დასჯაზე ორიენტირებული პროცესი. ზემოხსენებული ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში დაკვირვების ინსტრუმენტი უფრო მეტად დაიხვეწა. „მე და საზოგადოების“ დანერგვის პროცესის მონიტორინგი განახლებული ინსტრუმენტებით ჩატარდება.

**რადიკალური და სუსტი მხარეების გამოყოფით „მე და საზოგადოების“ სწავლების სასტარტო ეტაპზე?**

– ძლიერ მხარედ მიმაჩნია საგნის კურიკულუმის იმგვარად აგება, რომ მისი სწავლა-სწავლება ორგანულად ეწერება დაწყებითი საფეხურის სპეციფიკაში – თითქოს „მე და საზოგადოება“ არც კი იყოს ახალი საგანი. ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში მიმდინარე პილოტირების პროცესმა აჩვენა, რომ ამ საგნის სწავლა-სწავლება და მის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა სავსებით შეესაბამება საქართველოს სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ სირთულეებსაც ვვლით. მე პირადად სამ პოტენციურ საფრთხეს გამოვყოფდი:

- არასწორად დაგეგმვის შემთხვევაში „მე და საზოგადოება“ შესაძლოა გადაიქცეს წესების კრებულად, რომელთა დასწავლასაც მოსწავლეს მოსთხოვენ;
- არასწორად გააზრების შემთხვევაში საგანი შესაძლოა იქცეს აქტუალური თემების (გარემოს დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა) შესახებ თეორიულ სწავლებად;
- არასწორად დაგეგმვის შემთხვევაში საგანი შესაძლოა იქცეს სახალისო თამაშების ნაკრებად, რომელთა მიზანიც ბუნდოვანია.

„მე და საზოგადოების“ ყველა მასწავლებელს ვთხოვ, ამ საფრთხეებზე სწავლა-სწავლების პროცესის დაწყებამდე იფიქრონ. ამგვარი შეცდომების დაშვებით საგანი ძირეულად ასცდება საკუთარ მიზნებს.

**დაწყებით საფეხურზე, კერძოდ, მესამე-მეოთხე კლასებში, ეროვნული სასწავლო გეგმა სხვადასხვა საგანში ერთსა და იმავე საკითხებს მოიცავს. მსგავსია მიზნებიც. ამიტომ ჩნდება კითხვა: ვთქვათ, სამშობლოს სიყვარულის სწავლება „მე და საზოგადოებაში“ რით უნდა განსხვავდებოდეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში იმავე საკითხის სწავლებისგან?**

– ქართულ ენასა და ლიტერატურაში და „მე და საზოგადოებაში“ სამშობლოს ცნება სხვადასხვა რაკურსით მუშავდება. ქართული უფრო მეტად ასწავლის სამშობლოს სიყვარულს, „მე და საზოგადოება“ კი – სამშობლოზე ზრუნვას. აქ ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ უნდა იზრუნოს მოსწავლემ საკუთარ ოჯახზე, სკოლაზე, ქვეყანაზე და სხვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ძალიან დროული და აქტუალურია. სამშობლო ყველას უყვარს, მაგრამ ერთეულებმა თუ იციან, როგორ იზრუნონ მასზე. ამ მხრივ, მოქალაქის აღზრდას საფუძველი, რა თქმა უნდა, დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ჩაეყაროს. ამიტომ გაუგებარია პატრიოტიზმის დროში მოსაუბრე ადამიანების მხრივ „მე და საზოგადოებაზე“ გაუთავებელი თავდასხმების მიზეზი. როგორც ჩანს, მათ საგნის არსი მართებულად არ ესმით.





ნატუნა ნატუნანი

# როგორ მოვაგზავროთ მოსწავლეები უცხო ტექსტის ანალიზისთვის

სკოლაში სწავლის სინთეზის ხომ ასეა – არ ვაქცევთ ყურადღებას რომელიღაც დეტალს, რომლის მიჩქმადვაც ჩვენი ამოცანაა ამოხსნა და აქცევთ ყურადღებას სხვა დეტალს, ხოლო რომელიღაც პუნქტს ვაძვინდებთ, რომლის გამოტოვებაც გამოიწვევს მთლიანად სხვა ამოცანას. ანუ, როგორ ვაძვინდებთ ამოცანას, რომლის ამოხსნაც გამოიწვევს სხვა ამოცანას. ანუ, როგორ ვაძვინდებთ ამოცანას, რომლის ამოხსნაც გამოიწვევს სხვა ამოცანას.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ საგამოცდო ციებ-ცხელება უკვე ჩავლილი იქნება. მალე ჩვენი მოსწავლეების ქულებიც დაიდება, ხოლო როდესაც მათ ნაწერებს გადავხედავთ, არა მარტო მოსწავლეების – საკუთარ შეცდომებსაც დავინახავთ, გავიგებთ, რა არ გავითვალისწინეთ გაცვეთილებზე, სადა დავაკელით და რა გამოგვრჩა სწავლებისას, რისი გაცეთება შეგვეძლო უკეთ...

ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხო ტექსტის ანალიზი სავალდებულო კომპონენტია. ორი უცხო ტექსტიდან ერთი ყოველთვის ლექსია, ამიტომაც მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლექსების შესწავლას სათანადო ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ. მე პირადად ლექსების დაზვიანების მომხრე ვარ, რადგან ეს ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი გზაა. მომავალში, როდესაც მოსწავლეს ტექსტის ანალიზის დროს შესაძარებლად დასჭირდება ნასწავლი ლექსი, მაშინვე გაახსენდება საჭირო ციტატა და დროს აღარ დაკარგავს წიგნში ან ინტერნეტში მის მოსაძიებლად. მაგრამ ლექსის შესწავლა რომ დაზვიანებით არ შემოიფარგლება, ფაქტია. ლექსს გაგება უნდა და, ცხადია, უპირ-

ველეს ყოვლისა, სწორედ ამას უნდა ვასწავლიდეთ სკოლაში.

თუ მოსწავლე წლების განმავლობაში არა მარტო იზეპირებდა ლექსებს, არამედ არჩევდა კიდევ და არც ერთ ადგილს არ ტოვებდა ბუნდოვანსა და გაუხსნელს, მას არც დამატებით მომზადება დასჭირდება გამოცდისთვის და, რაც მთავარია, ანალიტიკური უნარებიც იმდენად განუვითარდება, რომ რთული ცხოვრებისეული ამოცანების შესრულებაზეც არ გაუჭირდება. ლექსის ანალიზი ხომ საუკეთესოდ გვასწავლის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალების დანახვას, რომლებიც თურმე უმთავრესია და საკვანძო ელემენტებს წარმოადგენს მწერლის სათქმელის ამოსაცნობად. ცხოვრებისეული სირთულეებიც ხომ ასეა – არ ვაქცევთ ყურადღებას რომელიღაც დეტალს, რომლის მიჩქმალვაც რთულ ამოცანას ამოუხსნელად აქცევს, ხოლო როგორც კი ამ შეუმჩნეველ დეტალს მივაგნებთ, გამოსავალიც გამოჩნდება.

სანამ ლექსის შრეებად დაშლას და ამ შრეებში მწერლის სათქმელის ამოცნობას შევასწავლიდეთ მოსწავლეებს, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ლექსების შესწავლა საინტერესოა ვერსიფიკაციული კუთხითაც. რას

უნდა მივაქციოთ ყურადღება ვერსიფიკაციული ანალიზის დროს და რომელი ტერმინების სწორად გამოყენება უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა მათი ნაწერები მაღალი ხარისხისა იყოს (ამ საკითხებზე გაზეთ „მასწავლებელში“ სხვადასხვა დროს საინტერესოდ წერდა სხვადასხვა ავტორი. მაგალითად მოვიყვანდი ნინო ლომიძის წერილებს. თუმცა აქვე ყველა მასწავლებელს ვურჩევ, გაცნოს ლევან ცაგარელის ნაშრომს „ლიტერატურული ტექსტის ანალიზი“, რომელიც ინტერნეტშიც იძებნება) ქვემოთ მოყვანილ სამწიგნიან ჩამონათვალში (და ამ წერილშიც) ყველა ის ტერმინი, რომლებსაც თავისუფლად უნდა ფლობდნენ მოსწავლეები ანალიზისას, გავამოქმედებ (თუ არ გახსოვთ, როგორ უნდა გამოიყენოთ ეს ტერმინები წინადადებაში სწორად, გირჩევთ, გაცნოთ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თემატურ გამოცემებს ლექსმცოდნეობის შესახებ. ცხრა კრებულში შესული სტატიები მარტო ვერსიფიკაციული ანალიზისთვის საჭირო ტერმინების მნიშვნელობის დადგენასა და მათ გააზრებულად გამოყენებაში კი არ დაგეხმარებათ, არამედ რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსების საინტერესო ინტერპრეტაციებსაც გააცნობთ).



# განათლება - თავისუფლებაა!



www.mastsavlebeli.ge

როგორც ამბობენ, სტუდენტობა ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდია - რომანტიკით შეზავებული წლები. თუმცა ჩემს შემთხვევაში მსგავსი არაფერი ყოფილა. ის ოთხი წელი, სწავლას რომ მოვანდომე, შეიძლება ყველაზე ჯოჯოხეთური არა, მაგრამ ნაკლებად მიმზიდველი უთუოდ იყო ჩემთვის.

თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა სოხუმის უნივერსიტეტში ექსტრენად ჩავაბარე. ეს საკმაოდ მცირე ასაკია საიმისოდ, რომ თვითონ აირჩიო, სად გინდა ჩაბარება და, რაც მთავარია, კონსერვატორულად და პრაგმატულად მოაზროვნე მშობლებთან შენი გაიტანო. მე ვიცოდი, სადაც მინდოდა ჩაბარება: ეს იყო სამხატვრო აკადემია. მთელი ბავშვობა ვხატავდი და ვაქანდაკეობდი. სველი მერგელით (არის ასეთი დანალექი ქანი) ვძერწავდი და საინოვაციო პენოპლასტიკისგან სამართლებლით პატარა ფიგურებს ვთლიდი. მერგელი გამომშობის შემდეგ იზარება და იწლება, ამიტომ დღემდე მხოლოდ პენოპლასტიკის ფიგურები შემომრჩა.

თბილისში რომ გადმოვედი, ჯერ ბიძაჩემთან, შემდეგ კი დეიდაჩემთან ვცხოვრობდი, სანამ ჯიქას ქუჩაზე, დევნილების კორპუსში ვიყიდდი ბინას, უფრო სწორად, მონიშნულ ფართს, რომელსაც მეზობლებისგან გამყოფი ტიხრებიც კი არ ჰქონდა. ორსადარბაზიან კორპუსში წყალი და კანალიზაცია მართლაც არაა, ზოგი იყო გაყვანილი. ორი თუ სამი ოჯახი შვიდსართულიანი სახლის სწორედ ამ მხარეს ვცხოვრობდით.

მე ხატვას და ძერწვას აქაც ვაგრძელებდი, მაგრამ უჩუმრად: მშობლების მოთხოვნით, იურიდიულზე უნდა ჩამებარებინა. როცა დროს მოვიხელთებდი, მოვისროდი სამართლის წიგნს და საყვარელ საქმეს ვუბრუნებ-



ბოდი. ბევრჯერ დაუფიქრებარ ფაქტზე და ბევრი დავიდარაბაც მოჰყოლია ამ ამბავს.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ იურიდიულზე საბუთების შეტანა დამავიანდა. იქვე მიჩიქეს, საბუთები პოლიტოლოგიაზე შემეტანა, რომელიც ახალგაზსნილი იყო და სტუდენტების პირველ ნაკადს იღებდა. ჩემთვის სულერთი იყო, სად ჩავაბარებდი და ასეც მოვიქეცი. ოცდაათი სტუდენტი იყო მისაღები, ჩვენ კი სულ ოცდაორი ვიყავით, ამიტომ მხოლოდ ისტორიის გამოცდა ჩავგაბარებინეს და ყველა ჩავგვიცხეს.

მერე სოფელში წავიდი სექტემბრამდე. მეზობლები მოდიოდნენ და მილოცავდნენ, როგორც ხდება ხოლმე. მე კი ეს ყველაფერი საერთოდ არ მაინტერესებდა. ისევ ვხატავდი და ვძერწავდი, მაგრამ ამჯერად არავინ მეჩხუბებოდა: უკვე სტუდენტი ვიყავი. სექტემბერში დაიწყო მოსაწყენი ოთხწლიანი პერიოდი. იქაური არაფერი მაინტერესებდა, ოთხი წლის განმავლობაში ყველა ჯგუფელის სახელიც კი ვერ დავიმახსოვრე, თუმცა რამდენიმე კარგი მეგობარი შევიძინე.

როცა სოფელში ვცხოვრობდი, სკოლამდე ექვსი კილომეტრის ფეხით

ვავლა მიწვედა. თითქმის არასდროს ვიგვიანებდი. აქ კი ყურის ძირში მქონდა უნივერსიტეტი და პირველ ლექციაზე არასდროს ვყოფილვარ. ვცდილობდი, არ დამეგვიანა, მაგრამ ათ საათს ორი წუთიც რომ გადასცდნოდა, კარისკაცი ცოცხალი თავით არ ავიშვებდა ზევით, ამიტომ ისევ სახლში გბრუნდებოდი. აივნის შეღებული კარიდან ზარის ხმას რომ გავიგონებდი, აივანზე გავიდოდი და უნივერსიტეტს ვაგებდავდი. ჩემს აუდიტორიაში აშლილ ჯგუფელებს რომ დავინახავდი, ისევ მივდიოდი.

თავიდან, მშობლებისადმი პროტესტის ნიშნად, გადავწყვიტე, არც ერთი საგანი არ მესწავლა, მაგრამ ერთი-ორჯერ უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი და გადავიფიქრე. იყო საგნები, რომლებიც მაინტერესებდა და სემინარებზე ვაქტიურობდი. იყო საგნებიც, რომლებსაც, დღემდე წარმოდგენა არ მაქვს, რატომ გვასწავლიდნენ. ძირითადად მაღალი ნიშნები მყავდა. ერთი ლექტორი, რომელიც სიმკაცრითა და სტუდენტების ჩატოვებით იყო განთქმული, ჯგუფში ხუთიანი მხოლოდ მე და ჩემს ძმაც ვიწერდა.

ლექციებზე კარიკატურების ხატვით და იუმორისტული ლექსე-

ბის წერით ვერთობოდი. ეს ერთადერთი შვება იყო. ჩემს ძმაცაც მგონი დღემდე აქვს შენახული მაშინდელი ჩემი ნახატები და ნაწერები.

რამდენიმე ლექტორთან ვმეგობრობდი კიდევ. ყოველ პარასკევს ფეხბურთს ვთამაშობდით ლუღზე. თორმეტი წელი გავიდა, რაც სწავლა დავამთავრე და სოხუმის უნივერსიტეტის წინ, როცა ავტობუსს ველოდები ხოლმე, ზოგიერთი ჩემი ყოფილი ლექტორი დიდი ამბით მესალმება - ახლაც ვახსოვარ.

თანდათან ხატვის სურვილი დავკარგე. ესეც ალბათ ერთგვარი ქვეცნობიერი პროტესტი იყო იმის გამო, რომ მთელი ოთხი წელი ის მკვეთრბინეს, რაც არ მინდოდა, ან შეიძლება ხატვის მიმართ სათანადო ვნება არ აღმომაჩნდა, თუმცა მერჩივნა, ამას თვითონ მივმხვდარიყავი.

ჩემს მშობლებს, ცხადია, კეთილი ზრახვები ამოძრავებდათ და მათი მადლობელი ვარ, მაგრამ ერთ რამეში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული: ჩემს შვილს პროფესიის არჩევანში ხელს არაფრის დიდებით არ შევეუშლი, რომ წლების შემდეგ მანაც ასეთი სევდიანი ტექსტი არ დაწეროს.

დღევანდელ სტატიას ძველი ჩინური თქმით დავიწყებ: „ვისმენ – მავიწყდება, ვხედავ – მახსოვს, ვაკეთებ – ვაცნობიერებ“. რა თქმა უნდა, ეს სწორედ წინა თემის გაგრძელებაა: დიუსის თეორიას ვაგრძელებ: „სწავლა – კეთებით“, ან „სწავლა – გამოცდილებით“. სიცოცხლე ყოველთვის დიალოგია, შეცნობა ყოველთვის უკავშირდება კეთებას, რადგან კეთება – დიალოგია, ურთიერთქმედება და ურთიერთგავლენა. თუ ადამიანი მეორე ადამიანთან, ბუნებასთან, საგნთან, რომელიმე თეორიასთან დიალოგშია და ცვლილებას არ განიცდის, მაშინ ის უბრალოდ ნივთია, დახვსებული და უსარგებლო.

ადამიანი შეიცნობს თავის თავს მხოლოდ მეორე პირის მეშვეობით. ეს მეორე პირი შეიძლება იყოს ადამიანი, ბუნება, წიგნი... ან ნებისმიერი რამ, რასაც ეხები, განიცდი, გრძნობ...

ბახტინის მიხედვით, „ყოფნა ნიშნავს იყო სხვისთვის და სხვისი მეშვეობით საკუთარი თავისთვის. ადამიანს არა აქვს შინაგანი სუვერენული ტერიტორია, ის ყველგან და ყოველთვის ზღვარზეა... როცა თავის თავში იხედება, ის უყურებს თვალში სხვას, ან იზიარებს სხვისი თვალებით“. სწორედ ამიტომ საჭიროა მეორე, როგორც საკუთარი თავი.

„მე ვარსებობ, რამდენადაც მე ჩემს თავს გავცემ“ – ამბობს სარტრი. „თავის გაცემაც“ – დიალოგში შესვლა. „რასაცა ვასცემ, – შენია“ – ამავე აზრის მატარებელია. რადგან შეცნობა – ეს არის შეხებით და ურთიერთქმედებით გამოწვეული მდგომარეობა. ამიტომ ნამდვილი ცოდნა – მხოლოდ კეთებით მიღებული გამოცდილებაა, გამოცდილება, რომელიც გცვლის და გამზადებს სხვა,

ახალი გამოცდილებისთვის, რადგან ცხოვრება არასდროს არ არის მყარი მოცემულობა.


როგორც განიცდი ცხოვრებას, სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მეტაფორით შეიძლება გამოიხატებოდეს. მეტაფორების ლექსიკონი ყოველთვის ვსვამ კითხვას: **მითხარით, თქვენი ცხოვრების მეტაფორა**

**შირა ბარბაქაძე**

# ვაკეთებ – ვაცნობიერებ

„განათლება ცეცხლის გახურებას ჰგავს და არა ჭურჭლის ავისებას“.

სოკრატე



**და გეტყვით, ვინ ხართ და როგორი ხართ თქვენ?**

იმის მიუხედავად, აცნობიერებთ თუ არა, რომ მეტაფორები „გეხებათ“ თქვენ და გმართავთ კიდევ, ეს პროცესი მაინც მიმდინარეობს.

მაგალითად, რომ წარმოვიდგინოთ ასეთი მეტაფორა: ცხოვრება – მწვერვალია და ცხოვრების გზა – ამ მწვერვალზე ამავე ბილიკი. ცხოვრების გაგება ამ მეტაფორით ერთგვარი სპორტია: გარბინარ ფინიშისაკენ. ადვილად ამოიცნობთ ამ მოდელის ადამიანებს: მათ ყოველთვის ექსპარებათ, ისინი მწვერვალს გაჰყურებენ და ზომავენ მანძილს, რომ მოასწონ სიცოცხლის განმავლობაში მწვერვალზე ასვლა... ასეთ შემთხვევაში, თითქოს ყველაფერი წინასწარ იცი:

მიუახლოვდები, უფრო დაგმორდება.. არის ამ მეტაფორაში რაღაც უსასრულო და უსაზღვრო.

**ცხოვრება – თეატრია?**

ჰო, მაშინ შენ სულ თამაშობ, სულ სცენაზე ხარ, სულ სხვა ხარ... თუ ცხოვრება გამოცდაა, აი, მაშინ კი ცხოვრების ნებისმიერ მომენტს იღებ, როგორც გამოცდას. ერთგვარად რელიგიურია ეს კონცეპტი. აბარებ გამოცდებს და ამას არა აქვს დასასრული, რადგან მთელი ცხოვრება გამოცდაა, ვიდრე სიკვდილამდე. და რატომ აბარებ ამდენ გამოცდას და, ბოლოს და ბოლოს, როდის იღებ შედეგს? – რა თქმა უნდა, სიცოცხლის შემდეგ დაჯილდოვდები, ოღონდ იქ ნამდვილად ვერავინ გამოგყვება ამის შესამოწმებლად, სიტყვაზე უნდა ენდო ამ მეტაფორას... ამ

აზრს გამოხატავს გურამიშვილის „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო.“

ეს და სხვა მრავალი კონცეპტი ერთგვარად უნივერსალური მეტაფორებია, რომლებსაც მოირგებენ ხოლმე ადამიანები სამოსივით და მერე მთელი მათი ქმედება სწორედ ამ მეტაფორებიდან გამომდინარეობს.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაღაც ვიცით საგნებზე,

ერთმა სტუდენტმა აღელვებულმა მიაპბო, როგორ შეცვალა მისი ცხოვრება ერთმა მეტაფორამ. მითხრა, რომ მრავალი წლის განმავლობაში აკვიატებული ჰქონდა ერთი მეტაფორა: რომ ცხოვრება საბოლოოდ არაფერია, რაც არ უნდა გააკეთო, რაც არ უნდა შექმნა, როგორც არ უნდა იფიქრო, ბოლოს ყველაფერი ნადგურდება და ქრება... მას შემდეგ, რაც ვაიძულე დაფიქრებულიყო იმაზე, საით მიყავდა მის მმართველ მეტაფორას მისი ცხოვრება, ნამდვილი ტრანსფორმაცია მოხდა. მნიშვნელოვანი იყო, რომ ჯერ ამოეცნო საკუთარი კონცეპტუალური მეტაფორა და მერე, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, შეეცვალა... როგორც სტუდენტმა აღმიწერა: მისი ცხოვრება იყო მთვლემარე, უნიცი-ატევი, მოსაწყენი და უინტერესო, რადგან ის იდეა, რომელიც მართავდა (რომ ცხოვრება არაფერია), მხოლოდ ასეთ ცხოვრებას სთავაზობდა; მაგრამ ერთხელაც, როდესაც გაცნობიერა, სხვა მეტაფორა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძოლისა?“, – მისი ცხოვრება შეიცვალა, გოგონა გახდა აქტიური, მოტივირებული... დაიწყო ისეთი საქმეების კეთება, რასაც მანამდე არასდროს გააკეთებდა და ეს შეძლო მხოლოდ ერთი მეტაფორის გაცნობიერებით, რომელსაც ეფუძნებოდა მისი ყოველდღიური ცხოვრება.

დიუსის თეორიის მთავარი აქცენტი, რომ გამოცდილების მიღება ეს არის არა უბრალოდ თეორია, არამედ ეს არის ურთიერთქმედება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ასე გამოიხატა.



### ნახსენია არაბული

# გოგონის მოვალეობები – გაგონება, შეხედობის გასწორება

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურთიერთქმედება მხოლოდ ადამიანთან არის შესაძლებელი, მაგრამ ეს შეიძლება გამოიწვიოს უსულო საგანმაც, როცა მასზე ფიქრობ, რა თქმა უნდა... ფიქრი – ეს უკვე ურთიერთქმედებაა... და რაიმე საგანზე ან მოვლენაზე ფიქრის შემდეგ ჩვენ უკვე სხვა ვართ, ვიდრე ეს ფიქრამდე ვიყავით. სწორედ ასეთია ცოდნის გზაც – ურთიერთქმედება, სინერგია, დიალოგი. ცნობიერებას აქვს დიალოგური ბუნება.

საკუთარი თავის გაცნობიერებაც მხოლოდ დაპირისპირებისას (დიალოგისას) არის შესაძლებელი. მე ვამბობ მე-ს მხოლოდ ვინმესთან ურთიერთობისას, რომელიც იქნება შენ. სხვაგვარად არცერთი არ არსებობს. ანუ არსებულობს ის, რაც ამ ორის ურთიერთქმედებით მიიღწევა.

ბულგაკოვი წიგნში „სახელთა ფილოსოფია“ მე-ს „ენის ძირს“ უწოდებს, ხოლო შენ ნაცვალ-სახელს განსაზღვრავს, როგორც მეორე მეს. ფილოსოფოსის აზრით, ნაცვალსახელში მე „არ არის არავითარი იდეა, არავითარი სიტყვა, ის მხოლოდ ადასტურებს ყოფიერებას. ის არის ონტოლოგიური ფესტი, რომელშიც ვლინდება სიტყვის ონტოლოგიური რეალობა“ (ბულგაკოვი).

ფრაზაში: „მე შენ მიყვარხარ“ – აღარც მეა და აღარც შენ... არამედ მხოლოდ დამოკიდებულება ორს შორის, რომელიც სულ სხვაა, ვიდრე ეს ორი ობიექტი ცალ-ცალკე. ცოდნაც ამ თვისებისა... ადამიანს ცვლის კეთება და კეთებით მიღებული გამოცდილება.

რა გვასწავლეს? გვასწავლეს, რომ სახლში უფრო ადრე უნდა დავბრუნდეთ, ვიდრე ბიჭები; უფრო თავზაიანები ვიყოთ, დახვეწილი მანერები გვექონდეს. ცუდ სიტყვებს არ ვამბობდეთ, საერთოდ, სიტყვებს სულ უნდა გწონდეთ, რომ ვინმეს ყურში ცუდად არ მოხვდეს, ზედმეტი არ მოგვივიდეს, უხეშობაში არავინ ჩამოგვართავს. ლამაზებიც უნდა ვიყოთ, მოსაწონები, მიმზიდველები, მაგრამ ზედმეტი არ მოგვივიდეს – თვალი არავის მოგჭრათ, ვინმემ ცუდი არ იფიქროს, ჩვენი სილამაზე ცუდად არ შემოგვიტრიალდეს, სასჯელად და ტვირთად არ გვექცეს.

ასჯერ გაგზომოთ და ერთხელ გაგჭრათ. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. რაც მოგივა, ყველაფერი შენი ბრალი იქნება. კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს. კაცის ტვინი მაინც სხვაა. ნამეტანი არაფერი ვარგა. და ათასი სხვა რამ. რა მოხდა მერე:

ასე გაზრდილმა გოგოებმა არასწორ კაცებს დაუკავშირეს ცხოვრება – კაცებს, რომლებიც მათზე გვიან ბრუნდებოდნენ შინ, მათზე ნაკლებ პასუხისმგებლობას იღებდნენ, მათზე ნაკლებად წონიდნენ სიტყვებს და ქცევას; არც უხეშობას მიიჩნევდნენ დანაშაულად და შიგადაშიგ ძალადობაც ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ.

ასე გაზრდილმა გოგოებმა საკუთარი დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყვეს, საკუთარი სურვილების მოსმენა გაუჭირდათ. ზოგს წლები დასჭირდა მოჯადოებული წრიდან გამოსასვლელად, ზოგი დღემდე იტანჯება, ზოგს ძალა გამოეღია, ზოგი მიეწვია, ზოგი მოკლეს, ზოგი შეაჩვენეს, ზოგს დაემუქრნენ.

ასე გაზრდილი გოგოების უკან ის ხალხი დგას, ვინც მათ არასწორ მოვალეობებს ახვევდა თავს, შესაბამისად, მხარდამჭერები არ აღმოაჩნდათ. უახლოსი გარემოცვაში, ოჯახებსა და მეგობრებშიც კი.

ასე გაზრდილი გოგოებს ბევრს ვერაფერს ვშველით ვერც ისინი, ვისაც ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოგვიცდია, ვინც მივხვდით, რომ ამ ყველაფერს უნდა დაეუპირისპირდეთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ფეხზე მყარად დადგეთ და სხვების დაშვებული შეცდომები გავასწოროთ. სხვა პატარა გოგოებს იგივე არ ვუთხრათ, დიდებს ვაჩვენოთ, რომ სხვანაირად ცხოვრებაც შეიძლება.

აქ, ჩვენ გარშემო, გოგოებს ერთმანეთის თანაგრძობა და სოლიდარობა თითქოს დაქვეითებული აქვთ – გინდა, შენ თუ იწვეალე, სხვამაც იწველოს, შენ თუ რალაცამი

ძვირი გადაიხადე, სხვამაც გადაიხადოს ეს ფასი, შენ თუ გაგირთულეს ცხოვრება, დაე, სხვებისთვისაც ნუ იქნება იოლი. იმის გამო, რაც შენ გადაიტანე, შზად ხარ, სხვებიც დაიტანჯონ, თითქოს ამით შენ ტანჯვა შეგიმსუბუქდება, თავს იმით ინუგეშებ, რომ არ ხარ ერთადერთი, ვისაც ისე მოექცნენ, როგორც არ იმსახურებდა. თანაც არ გუმენტებს ეძებ, რატომ მოხდა ასე: იქნებ ბევრი ილაპარაკა, იქნებ იქ არ უნდა ყოფილიყო, სადაც იყო, იქნებ ისე არ მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, იქნებ მართლა გამოიყვანა ვინმე მდგომარეობიდან, აბა, რა ეგონა, ამაზე ადრე უნდა ეფიქრა და ასე დაუსრულებლად.

ასე არაფერი გამოვა. დაკვირვებისაზრთ იმ კანონზომიერებას, მშობლებს რალაც დაუსრულებელი სურვილები რომ აქვთ და ცდილობენ, შვილებს შესთავაზონ ცხოვრების ის მოდელი, რომელიც თვითონ ვერ მოიხრეს? მუსიკოსობა რომ უნდოდათ, მერე ბანკში დაიწყეს მუშაობა, შვილებს კი ჯიუტად ატარებენ მუსიკაზე, იმის უკითხავად, შედის თუ არა ეს მათ ინტერესებში? მეცნიერებად რომ ხედავდნენ თავს, მაგრამ არ გამოუვიდათ და ცდილობენ, შვილი მაინც დაინტერესდეს კვლევებით? თავგადასავლები რომ იზიდავდათ, მერე პროზაული ცხოვრებით მოუწიათ ცხოვრება და ახლა ბავშვებს უბიძგებენ ავანტიურისკენ? სპორტს მისდევდნენ, ტრავმა მიიღეს და ახლა ბავშვმა ივარჯიშოს, იქნებ მას მაინც გამოუვიდეს...

გვეცოდინებათ. ხშირია ასეთი შემთხვევა და ძლიერია ვნება, შენი შვილი შენი სურვილების ასრულების ინსტრუმენტად აღიქვა. გგონია, რაკი შენ გააჩინე, შენ გაზარდე – სამართლიანი იქნება, ისე იცხოვროს, როგორც შენ ეტყვი. ალბათ აჯობებს, ბავშვების კარიერის დაგეგმვის მაგივრად, არასწორი ვალდებულებებისგან მათი დაცვით დავიწყეთ ჩვენს აღზრდაში დაშვებული შეცდომების გასწორება.

თუ ვხედავთ იმას, რაც არ მოგწონს ჩვენ მიერ გავლილ გზაზე, მოდი, დავიცვათ ჩვენზე პატარები, ჩვენზე დამოკიდებული ადამიანები იმავე შეცდომებისგან. ნუ მოვახვევთ თავს იმავე ვალდებულებებს, რომლებიც ჩვენ მძიმე ტვირთად გვექცა, რომლებსაგანაც დღემდე ვცდილობთ გათავისუფლებას და მივცეთ უფრო ლაღად, უფრო ბედნიერად, უფრო მშვიდად ცხოვრების საშუალება. რა მნიშვნელობა აქვს, სპორტით დაინტერესდებიან თუ ხელოვნებით, მოთხოვნად პროფესიას აირჩევენ თუ ეგზოტიკურს, – მთავარია, მყარად იდგნენ მიწაზე და საკუთარი სურვილების მოსმენა, მათი დაცვა შეეძლოს.



ლიანა ანუშიაძე

# საშინაო დაჯავახება და პირველი კლასი

მეთოდებს, ვსვამთ კითხვას – რა მოხდებოდა, ერთმანეთს რომ შეხვედროდა ამ ორი ტექსტის სხვადასხვა პერსონაჟი? გაკვეთილზე ვიწყებთ მსჯელობას, ვანაწილებთ როლებს, ვაკეთებთ ათასგვარ სიტუაციურ სავარჯიშოს, შინ კი დავალებად ვაძლევთ, დახატონ ეს ორი პერსონაჟი და კიდევ ერთი, მესამე, რომელსაც მათ შეახვედრებენ. მოიფიქრონ, რა მოხდება ამ შეხვედრისას და როდესაც გაკვეთილზე მოვლენ, გვიამბონ ამის შესახებ. ამ გაკვეთილის გაგრძელება მარტივი კომიქსის შექმნა იქნება.

## 2. ერთი ნივთი შენი სახლიდან:

დავალეხად ვაძლევთ, დახატონ რომელიმე ნივთი, რომელიც, ვთქვათ, მათ სახლში, ჭურჭლის კარადაში დევს და სამი ისეთი სიტუაცია მოიფიქრონ, რომელიც ამ ნივთს აღწერს. (შეგვიძლია, დავალეხად დავაკონკრეტოთ და ვთხოვოთ, ჩაწერონ ამ ნივთის ფორმა, ფერი და დანიშნულება).

## 3. გზა სკოლიდან სახლში:

მოსწავლეებს ვავალეხთ, დააკვირდნენ მარშრუტს, სანამ სკოლიდან სახლში ბრუნდებიან და რეველში ჩაიწერონ 4 უსულო საგანი, რომელიც გზად შემოხვდათ, 2 სულიერი არსება და სამი მწვანე ფერის ნივთი. (მაგალითად, მანქანა, შუქნიშნის მწვანე ფერი და რომელიმე შემხვედრის მწვანე მაისური)

## 4. მოიტანე საყვარელი წიგნი:

ვავალეხთ, სკოლაში წამოიღონ თავიანთი საყვარელი წიგნი, ხოლო რეველში ამოწერონ მწერლისა და 2 პერსონაჟის სახელი და წიგნის დასახელება. გაკვეთილზე კი მოკლედ გვიამბონ, რატომ წამოიღეს ესა თუ ის წიგნი.

## 5. ანახე შენი ნახატი მშობლებს:

კლასში ვხატავთ ნახატს, რომელიც უკავშირდება პროგრამულ ტექსტს ან რომელიმე

თავისუფალ თემას. ვატანთ შინ და ვთხოვთ, ანახონ ნახატი მშობლებს და ჰკითხონ, რას ხედავენ ამ ნახატზე. მშობელს ევალეხება ერთი წინადადებით ჩაწეროს ის, რასაც შვილის ნახატზე დანიხანავს, ხოლო მოსწავლე თავის მხრივ, ასევე ერთი წინადადებით მიაწერს მშობლის შთაბეჭდილების ქვეშ, სწორად გამოიყენო თუ არა მან ნახატი.

## 6. მოგვებნით „უსახელო“ საგნები, ან

ისეთი საგნები, რომელთა დასახელებაც არ მოგვწონს და ვცადოთ მათთვის სიტყვების მოფიქრება. დავალეხად ძალიან სახალისოა, არარსებული სიტყვების გამოგონებით მხიარულ ფონეტიკურ სავარჯიშოებს ვასრულებთ.

## 7. მოიფიქრე რეცეპტი და მოამზადე

სალათა. მოსწავლეებს ვთხოვთ, მოიფიქრონ 5 ინგრედიენტი, რომელთა საშუალებითაც სალათას მოამზადებენ. საწერი მოდული ამ ხუთი ინგრედიენტის სწორად დაწერა იქნება. შეუძლიათ ინგრედიენტები და სალათა დახატონ, გაკვეთილზე მოსვლისას მოჰყვებიან თავიანთი რეცეპტის შესახებ და თქვენ მათ რეცეპტის აწყობაში დაეხმარებით. (იგულისხმება წერა და ხატვა).

## 8. იპოვე სახლში 3 ნივთი, რომელზეც

ციფრებია გამოსახული, დახატე და ჩაწერე მათი სახელები. გაკვეთილზე კი იმსჯელებთ ამ ციფრების დანიშნულებაზე. (ვთქვათ, ეს იქნება საათი, კალენდარი, სარეცხი მანქანა ან ნებისმიერი სხვა რამ).

ყველა მასწავლებელს თავისი მეთოდი აქვს, მთავარია, წიგნისა და რეველის გარდა, საშინაო დავალებებში ჩართოთ გარემო, ინოვაციები, მულტიმედია, მუსიკა, კერძები და თუნდაც გუგუნა მაცივარი, ისიც საინტერესო ნივთია, თუ დავალებას სწორად მოიფიქრებთ.

დიდი თავსატეხია, მივცეთ თუ არა საერთოდ საშინაო დავალება, რა მოცულობის უნდა იყოს ის, როგორი ტიპის, როგორი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომ მოსწავლე შინ, დამოუკიდებელ მუშაობასაც მიეჩვიოს და, ამავე დროს, რუტინისგან თავმოებზრებულმა სწავლის მოტივაცია არ დაკარგოს. განსაკუთრებით რთული, საპასუხისმგებლო და ფაქიზი ეს პრობლემა პირველ კლასშია, როდესაც პატარა ადამიანებს ისედაც მრავალ სირთულესთან გამკლავება უწევთ – ახალი სივრცე, ახალი ადამიანები, მოვალეობები, დედა შორსაა და ვერაფერს მიშველის...

საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ერთი უმთავრესი რამ გვაგვიწყდება, როდესაც სასწავლო პროცესს ვვგებთ. სწავლის პროცესში ბავშვიც და მასწავლებელიც ბედნიერი უნდა იყოს, სწავლა სიამოვნებაა და არა რუტინა, ახლის შემეცნება ბედნიერებაა და არა დამორჩენილი მოვალეობა. სწავლის სწავლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციით გამოვტენოთ პატარების ტვინები. შესაბამისად, ჩვენ, მშობლებმაც უნდა შევცვალოთ პრიორიტეტები, თუ პირველ კლასელი სხაპასუხით კითხულობს, 100-ის ფარგლებში ანგარიშობს, მაგრამ სკოლაში სიარული აღარ უნდა, მოტივაცია აღარ აქვს, გადაღლილია, რაღაც რიგზე ვერაა.

დავალეხაც ამ მიმართულებით შევადგინოთ, ვცადოთ, რაც შეიძლება მეტად გავახალისოთ, ჩემი აზრით, არცთუ სრულყოფილი სახელმძღვანელოები, დავალეხა უფრო ფერადი და მხიარული გავხადოთ. პირველ რიგში, მოსწავლეებს ჰკითხოთ, რა ტიპის დავალების შესრულება ურჩევნიათ, თანაც დაიმახსოვრეთ, რომ პირველი კლასის მოსწავლე დავალებას ძალიან მალე უნდა ამთავრებდეს, დავალეხა დიდ დროს არ უნდა მოითხოვდეს მისგან. მოტივაციის გასაზრდელად მოიფიქრეთ თავსატეხები, კროსვორდები, თამაშები, მიეცით დავალეხას არასტანდარტული ფორმა. იმ მასალის მიხედვით, რომელსაც ახსნით, სთხოვეთ, თავად მოიფიქრონ საშინაო დავალება, რომელსაც თქვენ, როგორც მოსწავლეს დავალეხებდნენ. როლებსაც გაცვლა შესანიშნავი რამაა, თქვენც ატარეთ თქვენი დავალების რეველი, რომელსაც მოსწავლეებს შეასწორებინებთ-ხოლმე.

აი, მაგალითად, დავალების სახეები პირველი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებისთვის.

### 1. ორი ტექსტის ინტეგრაცია:

ვიღებთ ორ ტექსტს, ერთს განვილილი მასალიდან, მეორეს – ახალს. გარდა იმისა, რომ კითხვისას ვიყენებთ თანამედროვე





სანამ ღიქის  
შინაბარ ღაშღას  
ღა ამ შინაბში  
მხარის სათქმე-  
ღის ამოხრობას  
შეხასხაპრიღთ  
მოსხაპღეებს, არ  
უნღა ღაგვაპიწყ-  
ღის, რომ ღიქს-  
ბის შეხსაპღა  
საინტეინსოა  
პინსიფიკაპიქიღი  
პუთხიღას.

შეგვიღლია მოსწავღეს ვურ-  
ჩიღთ, ვერსიფიკაციული ანალი-  
ზი ან ნაწერის თავში მოაქციღს  
და შემდეგ გადავიღეს პოეტის  
სათქმელის ამოცნობაზე, ან  
ბოლოში დაურთოს, მას შემდეგ,  
რაც ლექსში პოეტის სათქმელს  
ამოიციღობს და ანალიზს დაასრუ-  
ლებს. თუმცა ხღდება ხოლმე, რომ  
ანალიზის დროს ამა თუ იმ სა-  
კითხის გაშღლა ვერსიფიკაციული  
თვალსაზრისიღთ მსჯელობასაც  
მოითხოვს და ამიტომ ნაწერის  
შუაში მისი ჩართვის საჭიროება  
ღგება. ვერსიფიკაციული ანა-  
ლიზის დროს მოსწავღე ავღენს  
ციღდანას და აჩვენებს თავის  
მკითხვეღს, რამღენად კარგად  
ფლობს აკადემიურ ენას.

**1. საღაქსოსხიქიღიღა რიღთა:**

როგორც ვიციღთ, ლექსი ფორმიღთ  
ამოიციღნობა, რადგან ყვეღლა  
ლექსი დაყოფიღლია ტაქეპეზად.  
გამონაკღისიღა ე.წ. შუალეღდურ  
ფორმა პროზასა და პოეზიას  
შორის – ლექსი პროზად და  
რიტმიული პროზა (მოწესრი-

გებულია მეტრულად და აქეს  
დაქტილური მეტრი). ხანღახან  
სალექსო სტრიქონი ცეზური-  
თაა გაყოფიღლი. ცეზურა ტაქეს  
ზოგვეერ თანაბარ, ზოგვეერ კი  
არათანაბარ ნაწიღებად ყოფს.  
არის ისეღთი შემთხვევებიც,  
როცა სალექსო ფრაზა მეორე  
ტაქეპში ან სტროფში გადაღდის. ამ  
მოვღენას ანუ ამბეზმანი ეწოღდება  
და ის იშვიათიღა ქართულ ლექსში,  
თუმცა ორივე მათგანი გვხვეღება,  
მაგალიღთად, თამარის იამბიკოში  
„ცასა ცათასა“. ტაქეპები, ანუ სა-  
ლექსო სტრიქონები, წესისამებრ,  
ირიღებება. თუ ლექსი არ ირიღ-  
მება, მას ვერღიბრს ან ვერზღანს  
ეწოღდებთ. ვერღიბრი (vers  
libre), იგივე თავისუფალი ლექსი,  
ურიღთიღა და ამიღთ წააგავს  
ვერზღანს (vers blanc) ანუ თეღთ  
ლექსს, მაგრამ, ამ უკანასკნელის-  
გან განსხვევებით, მეტრულადაც  
მოწესრიგებელია.

ლექსს რამღენიმე ელემენტი  
აწესრიგებს. ერთი მათგანიღა  
რიღთმა. რიღთმა, იმის მიხეღვით,  
რომელ სარიღთმო მარცვალზეღა  
მახვიღლი, ვაჟურია (ბოლოღდან  
პირვეღლი), ქალური ან ქორეული  
(ბოლოღდან მეორე), დაქტი-  
ლური (ბოლოღდან მესამე) ან  
ზედაქტილური. სარიღთმო სიტყ-  
ვების დაბოლოებებს კადენციღა ან  
კლაუზულა ეწოღდება. ვერსიფი-  
კაციული ანალიზის დროს მოს-  
წავღემ ისიც უნღა აღნიშნოს, რა  
ტიპის რიღთმაა გამოყენებული  
მოცემულ ლექსში. ამისთვის  
ის უნღა დააკვირღდეს, ლექსის  
რომელი ტაქეპები ერიღთმება  
ერთიმეორეს და ამოიციღნოს ან  
პარალელური, ან ჯგვარეღინი,  
ან რკალური რიღთმა. რა თქმა  
უნღა, ამ რიღთმებს სხვა დასა-  
ხეღებებიც აქეს, მაგრამ, ჩემი  
აზრიღთ, ავღობებს, მასწავღებელ-  
მა რომელიღმე ერთი აირჩიღს  
და ის ასწავღლოს მოსწავღეს.  
თუ ერთბაშად ზვერი ტერმინის  
ღამახსოვრებებს მოვთხოვთ,



მოსწავლეებს ისინი ერთმანეთში აერევათ. რითმის სხვა სახეობებიც არსებობს. არსებობს გართიმულ სიტყვებში ბგერების თანხვედრის რამდენიმე სახეობაც (სრულყოფილი, ნაწილობრივი და შედგენილი თავ-თავისი ქვესახეობებით), მაგრამ ამ ყველაფრის ცოდნა სკოლის მოსწავლეს არ მოეთხოვება, განსხვავებით მასწავლებლისგან, რომელსაც უნივერსიტეტში ამ საკითხებზე სრულფასოვანი სალექციო კურსი აქვს გავლილი. თუ მასწავლებელს ბუნდოვნად ახსოვს ეს საკითხები, მას ყოველთვის შეუძლია, ჩახედოს ამ წერილში დასახელებულ ლიტერატურას და გაიხსენოს დავიწყებული საკითხები.

**2. სწორი:** ტაეპები შინაარსობრივად ჯგუფდება სტროფებად. პროზაულ ტექსტებს აზნაუციები აქვს, ხოლო პოეტურ ქმნილებებს – სტროფები. იმისდა მიხედვით, რამდენი ტაეპია სტროფში, განვასხვავებთ მრჩობლედს (ორტაეპიანი სტროფი), ტერციანას (სამტაეპიანი სტროფი), კატრენს (ოთხტაეპიანი სტროფი), მუხამბაზს (ხუთტაეპიანი სტროფი), ოქტავას (რვატაეპიანი სტროფი), სონეტს (თოთხმეტმარცვლიანი სტროფი). ლექსის გარჩევისას მოსწავლეები ამ ტერმინებს უნდა ასხვავებდნენ და იყენებდნენ (მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ თქვან, ტიციან ტაბიძის ლექსში „ლექსი მეწყერო“ პირველი და ბოლო სტროფები ერთნაირია, ავჯობებს, სიტყვა „სტროფი“ „კატრენით“ ჩაანაცვლონ. ამ გზით ისინი ლექსიკურადაც გაამრავალფეროვნებენ ნაწერს და შემფასებელსაც მიახვედრებენ, რომ ნაწერის ავტორი ტერმინებს და პოეტური ანალიზისთვის

საჭირო აკადემიურ ენას ფლობს. თუ მოსწავლე ამ ლექსის აღნიშნულ კატრენებში განსხვავებულ პუნქტუაციასაც შეამჩნევს, კარგი იქნება, ეს მომენტი უყურადღებოდ არ დატოვოს და თავისებურადაც ახსნას. ერთმა ჩემმა მოსწავლემ გაცვეთილზე ლექსის ზეპირი გარჩევის დროს ძალიან საინტერესო მოსაზრება შემოგვთავაზა. მისი აზრით, პირველი კატრენის პირველ ტაეპში მრავალწერტილი იმის ახსნას მოითხოვს, თუ რატომ წერს პოეტს ლექსი, ხოლო ბოლო სტროფში, როდესაც უკვე ყველაფერი გასაგებია, აღარ არის საჭირო მრავალწერტილი და ის მძიმით იცვლება).

**3. საზომი:** მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქართული ლექსი სილაბურ-ტონურია და მისი მეტრული მოდელები ანუ საზომები ტაეპში მარცვალთა ან ტერფთა რაოდენობით განისაზღვრება. ტერფი ტაეპის უმარტივესი რიტმული ერთეულია, რომელიც ერთი მახვილიანი და ერთი ან მეტი უმახვილო მარცვლისგან შედგება. სილაბურ-ტონურ ლექსში რიტმი ემყარება ტაეპში მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მონაცვლეობას, ე.ი. ტერფებად დაჯგუფებული მარცვლების მიმდევრობას. როგორც წესი, ქართულ ლექსში გვხვდება შემდეგი ტერფები: ქორე, დაქტილი ან მეორე პეონი. შესაძლოა, სამივე ერთდროულადაც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ქართული ლექსები უმეტესად მაინც ქორეულ-დაქტილურია.

**ქორე** – ეს არის ორი მარცვლისგან შედგენილი ტერფი, რომლის პირველი მარცვალი მახვილიანია, ხოლო მეორე

– უმახვილო. მაგალითად, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ – ეს ტაეპი ქორეულია და შედგება რვა ქორეული ტერფისგან, საიდანაც პირველი ოთხი და ბოლო ორი სიტყვაა, მეხუთე ერთი ერთმარცვლიანი სიტყვისა და მეორე სიტყვის პირველი მარცვლისგან შედგება, ხოლო მეექვსე სიტყვის მეორე და მესამე მარცვლებისგანაა აგებული. შესაბამისად, ამ ტაეპში შემდეგი ქორეული ტერფებია: „ნახეს“, „უცხო“, „მოყმე“, „ვინმე“, „ჯდამტი“, „რალი“, „წყლისა“ და „პირსა“. თითოეულ ქორეულ ტერფში მახვილი, რა თქმა უნდა, პირველ მარცვალზე მოდის: „ნა“, „უ“, „მო“, „ვი“, „ჯდა“, „რა“, „წყლი“, „პი“, ხოლო მეორე მარცვალი უმახვილოდაა წარმოდგენილი: „ხეს“, „ცხო“, „ყმე“, „ნმე“, „მტი“, „ლი“, „სა“, „რსა“.

**დაქტილი** სამმარცვლიანი ტერფია, რომლის პირველი მარცვალიც მახვილიანია, ხოლო მეორე და მესამე მარცვლები – უმახვილო. მაგალითად, „გათენდა. ცეცხლის მზე აენტო, აცურდა... დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ – ეს ტაეპები დაქტილურია. პირველი მათგანი ოთხი დაქტილისგან შედგება, რომელშიც დაქტილური ტერფები „გათენდა“, „აენტო“ და „აცურდა“ დამოუკიდებელი სიტყვებია; მეორე ორი სიტყვისგან შედგება, საიდანაც მახვილი პირველი სიტყვის პირველ მარცვალს მოუდის („ცე“), ხოლო ამავე სიტყვის მეორე მარცვალი („ცხლის“) და მეორე დამოუკიდებელი სიტყვა („მზე“) უმახვილოა; მეორე მოცემული ტაეპი ოთხი სიტყვისგან შედგება და ოთხივე სიტყვა დაქტილური ტერფია

(„დიდება“, „ხალხისთვის“, „წამებულ“, „რაინდებს“); მესამე ტაეპში ექვსი სიტყვაა, რომელთაგან პირველი ორი („ვინც“, „თავი“) და მეოთხე-მეხუთე („ვინც“, „სისხლი“) სიტყვები თითო დაქტილს ქმნის და მესამე („გასწირა“) და მეექვსე („დაღვარა“) სიტყვებიც დამოუკიდებელი თითო დაქტილია. სავარაუდოდ, დაქტილური საზომითაა დაწერილი გალაკტიონის ლექსიც „მზეო თიბათვისა“.

**პეონი** ოთხი მარცვლისგან შემდგარი ტერფია. განასხვავებენ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე პეონებს იმის მიხედვით, რომელი მარცვლია მახვილიანი. თუ მახვილიანი მარცვალი პირველია, ხოლო მომდევნო სამი – უმახვილო, მაშინ ეს პირველი პეონია; თუ მახვილიანი მარცვალი მეორეა, ხოლო პირველი, მესამე და მეოთხე მარცვლები უმახვილოა, საქმე მეორე პეონთან გვაქვს; მესამე და მეოთხე პეონების შემთხვევაში მახვილი მესამე და მეოთხე მარცვლებზე მოდის, ხოლო უმახვილოა მესამე პეონის შემთხვევაში – პირველი, მეორე და მეოთხე მარცვლები, ხოლო მეოთხის შემთხვევაში – პირველი, მეორე და მესამე. ქართულ ლექსში უმეტესად მეორე პეონი გვხვდება. მაგალითად, „არ გეგონა, არ ელოდი“ – ორი მეორე პეონისგან შედგება, რომლებშიც მახვილი პირველი და მეორე პეონების მეორე მარცვალს („გე“ და „ე“), ანუ მეორე და მეოთხე სიტყვების პირველ მარცვალს მოუდის, ხოლო დანარჩენი ექვსი მარცვალი („არ“, „გო“, „ნა“, „არ“, „ლო“, „დი“) უმახვილოა. ტაეპში „ეს მქუხარე ნახევარი საუკუნე ისე განვლევ“ ოთხი მეორე პეონია, საიდანაც მეორე და მესამე ოთხმარცვლიანი დამოუკიდებელი სიტყვებია – „ნახევარი“ და

„საუკუნე“, ხოლო პირველი და მეოთხე ორ-ორი სიტყვისგან – „ეს მქუხარე“ და „ისე განვვლე“ შედგება.

დაქტილურ-ქორეული ან ქორეულ-დაქტილური საზომით შესრულებული ლექსებით ქართული პოეზია საკმაოდ მდიდარია. საინტერესოა, რომ ბესიკურ საზომში, რომლითაც გამართულია ბარათაშვილის „მერანიც“, ერთ ტაქტში ქორეს, დაქტილის, მეორე პეონის, ქორესა და დაქტილის მონაცვლეობა შეინიშნება.

როგორც აღვნიშნე, ქართულ ლექსში ძირითადად სამი ტიპის ტერფი (ქორე, დაქტილი და მეორე პეონი) გვხვდება, მაგრამ პოეტური ძიებისა და ექსპერიმენტების პროცესში ზოგიერთმა პოეტმა სხვა ტიპის ტერფებიც გამოიყენა (მეოცე საუკუნის დასაწყისში – ალექსანდრე აბაშელმა, შემდეგ – გალაკტიონ ტაბიძემ და სხვა პოეტებმა). მაგალითად, ანაპესტი („ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის“), როცა ტერფში პირველი და მეორე მარცვლები უმახვილოა, ხოლო მახვილი მესამე მარცვალს მოუდის, ანდა ამფიბრაქი („ეს მე ვარ, ქარი, ეს მე ვარ, ქარი“), როცა სამმარცვლიან ტერფში პირველი და მესამე უმახვილოა („ეს“ და „ვარ“), ხოლო მეორე – მახვილიანი („მე“). ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის პირველი ტერფიც ამფიბრაქი უნდა იყოს.

აღბათ შეამჩნიეთ, რომ რამდენიმე ადგილას, ტაქტის ვერსიფიკაციული ანალიზის დროს, წერილში ვიხილავთ სიტყვები: „ჩემი აზრით“ და „სავარაუდოდ“. ეს იმიტომ, რომ ქართულ ლექსში ცოდნეობაში განსხვავებული

მოსაზრებებიც არსებობს. და-პირისპირება ქართული ლექსის შესწავლისას მაშინ გამწვავდა, როდესაც გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც უკუაგდო ქართული ლექსის ტერფოვნების თეორია და უარყო მახვილის როლი ვერსიფიკაციული ანალიზისას. მან ქართული ლექსის ტაქტის ნახევარტაქტებად და მუხლებად დაყოფა შემოგვთავაზა. აკაკი გაწერელიამ ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაზე დაყრდნობით გააკრიტიკა გიორგი წერეთელი და ქართული ლექსი სილაბურ-ტონურად ლექსად გამოაცხადა. მისი აზრით, ქართულ ლექსში რიტმის საფუძველია ძლიერმახვილიანი და სუსტმახვილიანი მარცვლების კანონზომიერი მონაცვლეობა. აკაკი ხინთიბიძე ქართული ლექსის სილაბურობას ემხრობოდა და აღნიშნავდა, რომ ქართული მახვილი იმდენად სუსტია, არ შეუძლია არც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების და არც ტერფების შექმნა. აპოლონ სილაგაძის აზრით კი, სულაც არ არის აუცილებელი, ქართული ლექსი რომელიმე დათქმულ მოდელს ერგებოდეს, ამიტომ ის არც სილაბურია, არც ტონური – ის ორიგინალური ბუნებისაა.

ასეა თუ ისე, ჩვენი მოვალეობაა, ავუხსნათ მოსწავლეს ამ წერილში ჩამოთვლილი ტერმინები, არც ერთ ლექსზე მუშაობა არ ჩავუთვალოთ დასრულებულად, თუ ვერსიფიკაციულ საკითხებსაც არ შეეხო. ამის შემდეგ შეგვიძლია წყნარად შევხედოთ საგამოცდო პერიოდს და დაველოდოთ, როგორ მიიღებენ ჩვენი მოსწავლეები დამსახურებულ ქულას.



<b>Считалка:</b> 2 12 46, 48 3 06. 33 1 102, 8 30 32.	<b>Марш:</b> 18 17! 18 16! 115 13 3006! 90 17! 90 16! 240 110! 526!	<b>Есенин:</b> 14 126 14 132 17 43... 16 42 511 704 83, 170! 16 39 514 700 142... 612 349 17 114 02.
<b>Пушкин:</b> 17 30 48 140 10 01 126 138 140 3 501.	<b>Маяковский:</b> 2 46 38 1 116 14 20! 15 14 21 14 0 17.	
<b>Веселый стих:</b> 2 15 42 42 15 37 08 5 20 20 20!	<b>Грустный стих:</b> 511 16 5 20 337 712 19 2000047.	<b>Импровизация:</b> 3 4 2 1 46 17 300 10 900 57 16

დანართი 1

**P.S.** ერთხანს ფეისბუქზე მომხმარებელი სახალისო ცხრილს (დანართი 1) ავრცელებდა. თუ რუსული ენა კარგად იცით და რუსულ პოეზიაშიც ერკვევით, არ გაგიჭირდებათ მოცემული ფორმულისმაგვარი ნაწყვეტებით ამა თუ იმ რუსი პოეტის ლექსის სტროფის ამოცნობა.

ამ ცხრილის მიხედვით, თუ ზოგიერთი რუსი პოეტის, სვედიანი და სახალისო ლექსების, მარშისა და გათვლების სიტყვებს რუსული რიტმითი სახელებით ჩავანაცვლებთ, ადვილად ამოვიცნობთ თავდაპირველ ტექსტს. მოსწავლეების გახალისების მიზნით გაკვეთილზე ჩვენც ჩავანაცვლებთ ქართული ლექსები ქართული რიტმითი სახელებით (თუმცა ქართული სიტყვების შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხანდახან ხელს გვიშლის). მოლოდინმა გამართლა – მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა თავად იმტვირის თავი, რომელი რიტმითი სახელი უკეთ გამოხატავდა ამა თუ იმ ტერფს, მათ ბევრად უფრო გაუადვილდათ მეტრიკის საკითხების შესწავლა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონი <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/3/1>



ქეთევან ოსიაშვილი

# ბავშვების კონფლიქტები – გამოწვევები მიზნები და დაძლევის გზები

ვფიქრობ, საკამათო არ არის, რომ ჩვენი ცხოვრება, განსაკუთრებით კი სასკოლო, კონფლიქტების გარეშე წარმოუდგენელია. სკოლაში მეტისმეტად ბევრი პირობაა საიმიხოდ, რომ კონფლიქტებმა იჩინოს თავი: სხვადასხვა ასაკის, სოციალური სტატუსის, ღირებულებების, მიზნების, სხვადასხვა როლის მქონე ადამიანების ერთად ყოფნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელსაყრელ

ნიადგავს ქმნის კონფლიქტური სიტუაციების აღმოცენებისთვის. განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ბავშვების კონფლიქტი.

ბავშვები ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები არიან, უჭირთ საკუთარი ემოციებისა და ქცევის მართვა, ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ კონფლიქტების მართვაში დაეხმარება. თუ

გავითვალისწინებთ ადამიანური ურთიერთობების თავისებურებებს, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტები გარდაუვალია. ეს ტრაგედია არ არის, თუმცა, თუ მართვის სადავეები ხელიდან გავუშვით, ადვილი შესაძლებელია, დაპირისპირება ტრაგედიაშიც გადაიზარდოს.

იმისთვის, რომ კონფლიქტების მართვა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილება



**ბავშვებს  
 შონის  
 კონფლიქტის  
 შეამთხვევაში,  
 ვეცადოთ,  
 შევინარჩუნოთ  
 სიმშვიდე და  
 ბავშვკვირით  
 სიტუაციაში,  
 ბავშვანალიზით  
 შეაქმნილი  
 ვითარება.**

შევძლოთ, უნდა ვიცოდეთ მათი მიზეზები.

ბავშვებს შორის კონფლიქტის მიზეზებია:


- ლიდერობის სურვილი და რომელიმე თანატოლის აღქმა მეტოქედ, დაბრკოლებად მიზნისკენ მიმავალ გზაზე;
- ბრძოლა აღიარებისთვის, თანატოლთა შორის სასურველი ადგილის დამკვიდრებისთვის;
- თანაკლასელისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება, მისდამი უარყოფითი დამოკიდებულების დემონსტრირება;
- წყენის არდავიწყება და დიდი ხნის განმავლობაში ამ გრძნობით ურთიერთობა თანატოლთან;
- უპასუხო გრძნობა – ბავშვს ძალიან მოსწონს, უყვარს თანაკლასელი, მაგრამ ის იმავე გრძნობით არ პასუხობს;
- რომელიმე თანაკლასელთან მეგობრობის სურვილი, რაც მეორე თანაკლასელისთვის მოსაწონი და მისაღები არ არის;

- მასწავლებლის მიერ რომელიმე ბავშვის მუდმივი ქება და მისაბაძად წარმოჩენა – ადვილი შესაძლებელია, ეს ამ მოსწავლესთან თანაკლასელების მუდმივი კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ბავშვები ხანდახან დაუნდობლები არიან, შესაძლოა, ძლიერიც ისევე არ მოსწონდეთ, როგორც სუსტი;
- მასწავლებლის უარყოფითი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ, მისი მიუღებლობა. ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებში ჩართული აღმოჩნდებიან ხოლმე როგორც მასწავლებლების საყვარელი მოსწავლეები, ასევე ისეთებიც, რომლებიც მუდმივად საყვედურებს იღებენ პედაგოგებისგან.

მართალია, კონფლიქტური სიტუაციები სკოლაში გარდაუვალია, მაგრამ თუ მათ სწორ მიმართულებას მივცემთ, შესაძლოა, განსაზღვრული სარგებელიც მივიღოთ. ცალკეულ სიტუაციებში კონფლიქტმა შესაძლოა ბავშვის სოციალურ

განვითარებას და განსაზღვრული უნარ-ჩვევების (მოსმენის, კამათის, განსხვავებული აზრის აღიარების და სხვ.) ჩამოყალიბებასაც კი შეუწყოს ხელი. თუმცა ეს ყველაფერი უფროსების დაუნმარებლად ვერ მოხერხდება.

- რეკომენდაციები პედაგოგებისა და მშობლებისთვის ბავშვებს შორის კონფლიქტის სამართავად:
- უპირველეს ყოვლისა, ვეცადოთ, თავად არ შევუწყოთ ხელი კონფლიქტს. ვერიდოთ ცალკეული ბავშვის როგორც ძაგებას, ასევე ზედმეტ ქებას და ამ გზით მათ გამოყოფას თანაკლასელებისაგან;
- თუ არ გვინდა, ბავშვი საკუთარ თავში ჩაიკეტოს, გულში ჩაიხვიოს წყენა ყველასა და ყველაფრის მიმართ, გახდეს აგრესიული და ადრე თუ გვიან კონფლიქტში ჩართულ მხარედ მოგვევლინოს, ვერიდოთ მის გაკიცხვას და საყვედურებს სხვების თანდასწრებით, მაშინაც კი, როცა ის მართალი არ არის;





თუ არ გვინდა, გავფვი საკუთარ თავში ჩივიკეთს, გუღში ჩიხვიკოს  
ხყენა ყვედასა და ყვედაფინს მიმართ, გახედს აზრისიუდი და ადრე  
თუ გვიან კონფლიქტში ჩართუდ მხარედ მოგვევიკინოს, ვერიღოთ  
მის გაკისხვას და საყვედურებს სხვების თანდასწრებით, მაშინაც  
პი, როცა ის მართალი არ არის.



იფიქროს, რომ ის არაფერს  
წარმოადგენს ჩვენთვის.  
ამასთან, ჩვენ მიერ ცხელ  
გულზე მიკერებული იარ-  
ლიყების სისტემატურად  
გამოყენების შემთხვევაში,  
ის შესაძლოა მართლა გახ-  
დეს ისეთი, როგორც ამ  
იარლიყებით ვახასიათებთ  
და როგორც ნამდვილად  
ალარ მოგვეწონება;

● ნუ შევეცდებით, „ვუწინას-  
წარმეტყველოთ“ ბავშვს  
მომავალი: „არასოდეს  
შეიცვლები“; „გაგიჭირდება  
ასეთი ხასიათით ცხოვრება“  
და ა.შ. ასეთი მტკიცებუ-  
ლებები მხოლოდ დაგვაშო-  
რებს საწყის პრობლემას,  
რომლის მოგვარებაც  
დავისახეთ მიზნად;

● ვერიღოთ პრობლემის  
მოგვარების მზამზარეული  
რეცეპტების მიწოდებას. უმ-  
ჯობესია, ბავშვთან ერთად  
გავაანალიზოთ ვითარება,  
მოვისმინოთ მისი აზრი  
მომხდარის შესახებ და  
დავუტოვოთ უფლება, თა-  
ვად გააკეთოს არჩევანი და  
მიიღოს გადაწყვეტილება.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ,  
რომ ძალიან ხშირად ბავშვებს  
დამოუკიდებლად, უფროსების  
დაუხმარებლადაც უეჭოლიათ  
მოავგარონ თანატოლთან  
უთანხმოება. ამდენად, კარგი  
იქნება, თუ მათ გარკვეულ  
საზღვრებში დამოუკიდებლად  
მოქმედების უფლებას მივცემთ.  
თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხ-  
ვევაშია მისაღები და შესაძლე-  
ბელი, თუ სიტუაცია უმნიშ-  
ნელო მიზეზის გამო დაიძაბა  
და მოზარდს მისი მოგვარების  
უნარი შესწევს.

● ბავშვებს შორის კონფლიქ-  
ტის შემთხვევაში, ვეცადოთ,  
შევინარჩუნოთ სიმშვიდე  
და გავერკვიოთ სიტუაცი-  
აში, გავაანალიზოთ შექმ-  
ნილი ვითარება;

● გავითვალისწინოთ, რომ  
კონფლიქტის დროს თითქ-  
მის არასოდეს არის ერთი  
მხარე სრულიად უდანაშა-  
ულო და მეორე – ბოლომდე  
დამნაშავე. უმეტესად  
სიმართლე სადღაც შუაშია.  
ნუ გამოვიტანთ ნაჩქარევ  
დასკვნებს. ვერიღოთ „სა-  
სამართლოს“ მოწყობას და  
მტყუან-მართლის გამოვ-  
ლენას. უკეთესი იქნება, თუ  
მოვახერხებთ და კონფ-  
ლიქტში ჩართულ მხარეებს  
მივიყვანოთ იქამდე, რომ  
თავიანთი წილი პასუხისმ-  
გებლობა საკუთარ თავზე  
აიღონ;

● სწორად შევარჩიოთ  
ბავშვთან საუბრის დრო. გა-  
ლიბიანებულ, წონასწორო-  
ბადაკარგულ მოზარდთან

საუბარი ხშირად უშედეგოდ  
მთავრდება. მივცეთ მას  
დამშვიდების, ემოციური  
წონასწორობის აღდგენის  
საშუალება და მხოლოდ  
ამის შემდეგ დაველაპარა-  
კოთ მომხდარზე;

● ბავშვთან საუბრისას  
ვილაპარაკოთ მხოლოდ  
კონკრეტულ პრობლემებზე.  
ნუ განვაგრცობთ საკამათო  
საკითხს. არ ღირს წარსუ-  
ლიდან მისი ცუდი, ჩვენთ-  
ვის მიუღებელი ქცევის  
გახსენება. ამან შესაძლოა  
იქამდე მიგვიყვანოს, რომ  
მოზარდმა ჩვენი მოსმენის  
სურვილიც კი დაკარგოს;

● ვერიღოთ განზოგადებებს.  
ნუ გამოვიყენებთ ბავშვთან  
საუბრისას ისეთ ფრაზებს,  
როგორცაა: „შენ ყოველთ-  
ვის...“, „შენ არასდროს...“.  
წინააღმდეგ შემთხვევაში  
ჩვენ ყურადღებას გადა-  
ვიტანთ პრობლემიდან,  
რომლის მოგვარებასაც  
ცვდილობთ;

● ნუ ვეცდებით მიზნის  
მიღწევას ბავშვის სტატუსის  
დამცრობის ხარჯზე. ისეთი  
არგუმენტები, როგორცაა:  
„მე შენზე დიდი და გამოც-  
დილი ვარ, მე უკეთესად  
ვიცი, რა არის კარგი და რა -  
ცუდი“, - ზოგჯერ აიძულებს  
ბავშვს, დაგვეთანხმოს და  
გაჩუმდეს, მაგრამ პრობლე-  
მის მოგვარებაში ნამდ-  
ვილად ვერ დაგვეხმარება.  
მოზარდს ჩვენგან უფრო  
გონივრული არგუმენტები  
სჭირდება;

● მოვუსმინოთ, რას ამბობს  
ბავშვი. თუ კარგი, აქტიური  
მსმენელი ვიქნებით, ბავშვს  
ვაგრძობინებთ, რომ მის  
აზრს ვაფასებთ, ჩვენდამი  
მისი ნდობა გაიზრდება და  
მისი ცაუზნდება მოსმენისა  
და ჩვენი აზრის გათვალის-  
წინების სურვილი;

● ნუ გამოვიყენებთ იარლი-  
ყებს: „ზარმაცი“, „უპასუ-  
ხისმგებლო“, „გაუგონარი“.  
ამით ვაიძულებთ ბავშვს,





მარიამ ბოლუკიძე

# კითხვის სწავლა-სწავლების საკვანძო მიზანი – კოდირება და დეკოდირება

„იმისათვის, რომ ნედლი სიტყვები, ბოლოს და ბოლოს, ხილული გახდეს, სულ უნდა ვთხაროთ, რათა გაირღვეს დიდი სიჩუმე და გაიშიფროს“.

*რაიმონდ ფედერმანი, „ცნობა“ (To whom it may concern)*


ორაზროვან სათაურთან ერთად, რაიმონდ ფედერმანის ეს სიტყვები ჩვენი გონების მიერ გაშიფვრას ანუ დეკოდირებას მოითხოვს იმის მისახვედრად, რომ ენაში დამარხული ნედლი სიტყვები, რომელთა ძირითადი ღერძი ბგერებია, განძია. ის ჩვენი გონების მეშვეობით ამავე ენის წიაღიდან მუდმივად სამზეოზე გაგვაქვს ხოლმე. ენის გაგება უმთავრეს ცნებებს: კოდირებასა და დეკოდირებას, – უკავშირდება. კოდირების (encoding) პროცესის დროს მეხსიერებაში ფორმირდება მენტალური რეპრეზენტაციები. მეხსიერების ნებისმიერი ფორმა მოითხოვს სამი სახის მნიშვნურ მოქმედებას: აღბეჭდვას ანუ კოდირებას, შენახვასა და აღდგენას, ხოლო დეკოდირება უკვე აღბეჭდილი ინფორმაციის გაშიფვრას ან გარდაქმნას ნიშნავს.

## აღბეჭდვა ანუ კოდირება

მეხსიერებაში კოდირების საშუალებით იქმნება წარმოდგენები გარე სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების შესახებ. წარმოდგენები, რომლებიც ჩვეულებრივი წარმოდგენების ანალოგიურია. მათში შენახულია წარსული გამოცდილების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, განვიახლოთ, წარმოვიდგინოთ წარსული გამოცდილება.

კოდირების პროცესის განხილვისას მნიშვნელოვანია კოდირების სპეციფიკურობა, რიგში ადგილმდებარეობის ეფექტი და გადამუშავების დონეების თეორია. კოდირების სპეციფიკურობას უწოდებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, თუ

სქემა 1.





თანამედვერუდარ  
სქამასური  
უხნაური  
ურთიერთობა  
ენასა და წიგნებს  
შორის, თუ ხდება  
როგორღე ენის  
კომპონენტების,  
მაგალითად,  
ფონოლოგიური,  
ლექსიკური,  
მორფოლოგიური,  
გრამატიკური,  
სინტაქსური და  
პრაგმატიკური  
უნარიების  
განვითარება,  
მაშინ „კოდის“  
სხვადასხვა ხელს  
უწყობს სიტყვის  
ბეჭდვითად  
გადაცემას. ეს  
თანისთანად  
შინძობა იქცევა  
კლასიფიკაციად,  
როგორც  
საფუძვლიან  
შედეგად  
შედეგად  
სადიეტარატი  
ენა.

დახსოვებისა და აღდგენის პროცესში ერთი და იგივე მიმნიშვნელობები მოქმედებს, აღდგენილი ინფორმაციის რაოდენობა იმატებს. პირველად 1973 წელს ენდელ ტულვინგმა და დონალდ ტომპსონმა აჩვენეს კოდირების სპეციფიკურობის მნიშვნელობა, როცა მოგონებასა და ცნობას შორის ჩვეული ურთიერთდამოკიდებულების საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს. ცდისპირებმა მხოლოდ 54%-ის გახსენება შეძლეს. ხოლო მაშინ, როდესაც წყვილის პირველი წევრი დაუსახელეს, 61% აღიდგინეს. რატომ იყო მოგონება უკეთესი, ვიდრე ცნობა? ტულვინგისა და ტომპსონის მიხედვით, ამის მიზეზი კონტექსტის შეცვლაა. ცდისპირებისთვის, რომლებმაც ვაგონის კონტექსტში სიტყვა „შავი“ დაიხსომეს, ძნელი იყო მისი აღდგენა, როცა კონტექსტი სიტყვა „თეთრით“ შეიცვალა.

მეხსიერებაზე კონტექსტის საკმაოდ ძლიერ გავლენას მოწმობს ერთ-ერთი ექსპერიმენტი, რომლის მონაწილე მყვინთავებიც სწავლობდნენ სიტყვათა მწკრივის ზღვის ნაპირზე და წყალქვეშ, მერე კი ამავე სიტყვათა შემოწმება ამ კონტექსტში (ნაპირზე და წყალქვეშ) ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ დახსოვება 50%-ით ეფექტიანი იყო, როდესაც კოდირება და აღდგენა ერთნაირ პირობებში, ერთ კონტექსტში ხდებოდა, თუმცა თვით მასალას საერთო არაფერი ჰქონდა არც ნაპირთან და არც ყვინთვასთან. ასევე, დახსოვება უკეთესია, როდესაც მასალის აღდგენისას თანმხლები მუსიკა იგივეა, რაც დახსოვებისას.

გარდა ამისა, ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი სხვადასხვა სურნელის გამოყენებით. ერთ შემთხვევაში ეს იყო ცდისპირებისთვის სრულიად უცხო, უჩვეულო სუნის მქონე ოსმანტუსი (აზიური წარმოშობის კენკროვანი მცენარე), ჩვეულებრივი, ნაცნობი სუნი, მაგრამ უჩვეულო კვლევითი ლაბორატორიისთვის (ვანილი), დაბოლოს, ლაბორატორიისთვის ჩვეული (ფიჭვის) სუნი. ჰიპოთეზის მიხედვით, მხოლოდ ორი სუნი მიიპყრობდა ყურადღებას თავისი სიახლითა და უჩვეულობით და კოდირების პროცესში ჩაერთვებოდა. ჰიპოთეზა დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ კოდირებასა და აღდგენას შორის 48 საათი გავიდა, ცდისპირები გაცილებით მეტ სიტყვას იხსომებდნენ (20-სიტყვიანი მწკრივიდან), როცა აღდგენის დროს ოთახში იგივე სუნი იყო, რაც აღბეჭდვისას, მაგრამ ეს მხოლოდ ოსმანტუსს

და ვანილს ეხებოდა. დახსოვების ეფექტიანობა უფრო მაღალი იყო, როცა დახსოვება და აღდგენა შოკოლადის სუნის ფონზე მიმდინარეობდა. სუნსა და კონტექსტის ეფექტს შორის ურთიერთკავშირზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გამოავლინა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სუნი სხვადასხვა გავლენას ახდენს კონტექსტის ეფექტზე.[1]

მაშასადამე, შესასწავლი მასალის საფუძვლიანი დახსოვებისთვის მნიშვნელოვანია იმავე სენსორული სტიმულატორების არსებობა, რომლებიც პირველად აღბეჭდვისას/კოდირებისას არსებობდა. ამგვარად მეტ ძალას იძენს სწავლებისადმი მულტიმოდალური მიდგომა, რომელსაც ჩვენ ერთ წერილში პირობითად „ცოცხალი რვაფუნას მეთოდი“ დავარქვით[2].

### კოდი როგორც ინტეგრირებული

თანმიმდევრულად სქემატურია უცნაური ურთიერთობა ენასა და წიგნებს შორის. თუ ხდება რომელიმე ენის კომპონენტების, მაგალითად, ფონოლოგიური, ლექსიკური, მორფოლოგიური, გრამატიკული, ტექსტური და პრაგმატიკული უნარების განვითარება, მაშინ „კოდის“ სწავლება ხელს უწყობს სიტყვის ბეჭდვითად გადაცემას. ეს თავისთავად შეიძლება იქცეს პლატფორმად, რომლის საფუძველზეც შემდგომ შემუშავდება სალიტერატურო ენა. ამ შემთხვევაში კოდი არის ინტერფეისი ენასა და წიგნიერებას შორის და მოითხოვს, მოსწავლეებმა შეიმუშაონ დამატებითი უნარები, რათა შეძლონ კოორდინირება და მანიპულირება ბეჭდური ენის მეშვეობით.

ბავშვები ენას ადრეულ ასაკში სწავლობენ, მაგრამ წერითი ცნობიერება ნელა უვითარდებათ. 6 წლისთვის ისინი ასეულობით სიტყვას იყენებენ მეტყველებისას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს თუ კითხულობენ. მდიდარი ზეპირი ენა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მათთვის ნაცნობი სიტყვები წერილობითაც დაისწავლონ. მომდევნო წლებშიც ბავშვის ზეპირი ენა უფრო მდიდარია, ვიდრე მისი წერითი კულტურა. კვალიფიციურ და კომპეტენტურ მკითხველად ის მხოლოდ 13 წლისთვის ყალიბდება, 15-დან 17 წლამდე კი უკვე კარგად ეუფლება წერით ენობრივ უნარებს. ამ ეტაპზე მოსწავლე უკეთ ახერხებს კომპლექსური იდეების შესწავლას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ



აქვს აკადემიური ენის ძლიერი კორპუსი. განვითარების ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსწავლეები სულ უფრო მეტად ვითარდებიან, იწყებენ ენის შრეებში უშფოთველად გადაადგილებას და საკუთარ იდეებსაც ადვილად გამოთქვამენ ლიტერატურული ენით.

- გვახსოვდეს, კოდირებისთვის მნიშვნელოვანია:
- სიტყვის ზეპირი გამეორება;
  - სიტყვის დანაწევრება მარცხელებად და ფონემებად (ფონემატური ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის);
  - შესაფერისი ფონემების, მარცხელების, სიტყვების ან ფრაზათა ბარათების ამოცნობა (შესაძლოა, სათანადო სურათ-ხატებით);
  - მართლწერის შემოწმება ხმოვანი ცოდნის საფუძველზე;
  - მართლწერის შემოწმება სიტყვის ჩვეულებრივი დამარცხლის წინააღმდეგ (განსაკუთრებით – უცხო ენებში), რასაც ახლავს დისკუსიის პლატფორმა საერთო სქემების განხილვისთვის;
  - ხშირად დაფუძრულად სიტყვის მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობის გამოყენებას კონტექსტში.

მხოლოდ ანბანის გახსენებას, ასევე მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაში/ენებში არსებული ყველა შესაძლო ფონემის გამეორება, რადგან სხვაგვარად მათ ვუბიძგებთ ფონემატური ანბანის დავიწყებისკენ. ამ მხრივ აუცილებელია სქემა 2-ის მსგავსი შაბლონების ხშირი გამოყენება. ამდენად, კოდირების მთავარი პრინციპი ხშირი გამეორებაა.

ჩვენში ამბობენ, გამეორება ცოდნის დედააო. გამოდის, ეს დეკოდირებული აზრია იმ გაგებით, რომ აზროვნების დაბალ საფეხურზე აღბეჭდვა/კოდირება სწორედ გამეორების საფუძველზე გადაიქცევა წარუშლელ ცოდნად. გამეორების საშუალებით, თუ ის წერილობითაც (და, შესაძლოა, ბეჭდურადაც) მყარდება, მოსწავლე უფრო სწრაფად ვითარდება. ამ გზით უფრო სწრაფად მუშავდება ინფორმაცია, რადგან სიტყვები მთლიან ერთეულებად ერთიანდება, მერე კი გონებაში კვლავ ნაწევრდება და ასე მზადდება ნიადაგი გაშიფვრის ანუ დეკოდირებისთვის.

ამდენად, დეკოდირება კითხვის სწავლა-სწავლების საკვანძო მიზანია. ეს არის დაწერილი ტექსტის როგორც ცალკეული ნაწილებისგან შედგენილი მთლიანი კოდის გაშიფვრა, ხოლო

**ფენიშენები:**

1. გერიგი, რ., ზიმბარდო, ფ., *ფსიქოლოგია და ცხოვრება*. თბილისი, თსუ, 2009
2. ფარჯანაძე, დ., *მეხსიერების ფსიქოლოგია*. თბილისი, შპს „თათა სოლუმენი“, 2008
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=14891>
4. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი, 2015

სქემა 2.

### Alphabet (uppercase & lowercase - 26 items)

A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	Ch	Sh
a	b	c	d	e	f	g	h	i	j	k	l	m	ch	sh
N	O	P	Qu	R	S	T	U	V	W	X	Y	Z	Th	Wh
n	o	p	qu	r	s	t	u	v	w	x	y	z	th	wh

### Phonemes (consonant & vowel - 46 items)

/b/	/ch/	/d/	/t/	/g/	/v/	/j/	/k/	/l/	/m/	/n/	/ng/	/p/	/kw/	/r/	/s/	/sh/	/t/	/th/	/v/	/w/	/xw/	/ks/	/y/	/z/
/x/	/z/	/z/	/z/	/t/	/t/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/	/z/

უცხოური ენის სწავლების ზოგიერთი მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ბავშვს შეუძლია, ამოიცნოს ანბანის ყველა ელემენტი და მას ვთხოვთ

სიტყვის დეკოდირებას ზოგჯერ სიტყვის ცნობას ან იდენტიფიცირებასაც უწოდებენ.





ანა ჭაღიაშვილი

# მოსწავლა და მასწავლებელი — უნიტარობის ათიკა

ბუღინგის  
მსხვერპლად  
თანაბრად  
შეიძლება იქცნენ  
მასწავლებელიც  
და მოსწავლეს,  
ამიტომ დიდი  
სიფრთხილია  
საჭირო, რათა არს  
ერთი მხარე არ  
აღმოჩნდეს არს  
მრავალმხრივი და არს  
დაჩაბრული.

მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სასურველია, ჰარმონიული იყოს, მაგრამ ხშირად მათ შორის უთანხმოებაც წარმოიშობა. ამას მრავალი მიზეზი აქვს. სკოლა ცხოვრების ნაწილია და სარკესავით ირეკლავს ყოველივე იმას, რაც ქვეყანაში, საზოგადოებრივ ყოფაში ხდება. ბუღინგის მსხვერპლად თანაბრად შეიძლება იქცნენ მასწავლებელიც და მოსწავლეს, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა არც ერთი მხარე არ აღმოჩნდეს არც მჩაგვრელი და არც დაჩაბრული.

სხვადასხვა რეგულაცია, ეთიკის კოდექსი, ფსიქოლოგთა რჩევები, ერთი სიტყვით, დაწერილი და დაუწერელი კანონები არსებობს იმისთვის, რომ სასკოლო უთანხმოებანი აღმოიფხვრას, თუმცა ყოველჯერზე პედაგოგი თვითონ აკეთებს არჩევანს და აგროვებს პირად გამოცდილებას, რომელიც სასწავლო პროცესის ნაყოფიერად წარმართვაში დაეხმარება. დღეს სოციალურ ქსელებში მშობლების არაერთ კომენტარს წაიკითხავთ მასწავლებლის შეფუერებელ საქციელზე. ყოველთვის, როდესაც რაიმე კონფლიქტს განვიხილავთ, რა თქმა უნდა, კარგად უნდა გავანალიზოთ მთელი სიტუაცია. უმთავრესია არა დამნაშავეს ძიება, არამედ გამოსავლის პოვნა, იმის აღიარება და გაცნობიერება, რომ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაც ისეთივე რთული და მრავალმნიშვნელოვანი ფენომენია, როგორც სხვა ყოველივე ამქვეყნად. მართლაც, რამ შეიძლება აიძულოს ჩამოყალიბებული პიროვნება — პედაგოგი, გამოვიდეს წყობიდან, უყვიროს მოსწავლეს ან

უხეზად მისცეს შენიშვნა, ირონიულად შეხედოს, სიტყვიერად შეურაცხყოს, დაამციროს? ეს არ გაგვივირდება, თუ გავიხსენებთ, რომ ე.წ. „სიძულვილის ენა“ ახლა მთელი მსოფლიოს პრობლემაა. უამრავი კვლევა ტარდება ამ მიმართულებით. ევროპის ქვეყნებში, ამერიკისგან განსხვავებით, სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია. მოსწავლეს და მასწავლებელს სოციალური ქსელებისა თუ ელექტრონული მედიის აქტიური მომხმარებლები არიან, ამიტომ, ბუნებრივია, ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ურთიერთობის აგრესიული ფორმა საკლასო ურთიერთობებზეც ახდენს გავლენას. ევროპის საბჭომ ამასთან დაკავშირებით კამპანიაც კი წამოიწყო 2013 წელს — „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, რომელსაც საქართველოც შეუერთდა.

მოსწავლეებს სახლში ხშირად მოაქვთ მასწავლებლის აგრესიის ამბები. მაგალითად, როცა მამამ ნიკას ჰკითხა, რა ხდებოდა სკოლაში, ბავშვმა დაიჩივლა, რომ მასწავლებელმა უყვირა იმის გამო, რომ კალმის წაღება დაავიწყდა, თან იდიოტი უწოდა, ამან კი მთელი კლასი ახარხარა. მამას, რასაკვირველია, ბრავი მოერია, თავი ვერ მოთოკა, მასწავლებელს დაურეკა და ბუღინგში დაადანაშაულა. პედაგოგს ამის შემდეგ ფარული აგრესია გაუჩნდა ამ მოსწავლის მიმართ, რამაც კლასში ჩაუშქრალი ვულკანის მსგავსი დაძაბულობის კერა გააჩინა.

უამრავი კვლევა არსებობს იმის თაობაზე, რატომ არ უნდა მოსწავლეთა უმეტესობას სკოლაში

წასვლა ან რატომ ახარებს გაკვეთილის გაცდენა. ხანდახან ამის მიზეზი მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაცაა. თავისი სიმართლე ყოველთვის ორივეს აქვს. არსებობენ ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც სკოლაში თავს კომფორტულად გრძნობენ და ისეთებიც, რომლებთან ყოფნაც კომფორტულია. ასე რომ, პედაგოგმა, რაკი ასეთი რთული და საპასუხისმგებლო პროფესია აირჩია (გაბრიელა მისტრალი სწავლებას ღვთისმსახურებას ადარებდა), თავიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ მის გარშემო კი არ უნდა იტრიალოს მოსწავლემ, არამედ, პირიქით, ცენტრად მოსწავლე და მისი ინტერესები უნდა აქციოს.

თუ ინტერესთა სწორად ჩამოყალიბებას თვითონვე შეუწყობს ხელს, აღარ იქნება ძნელად ასატანი „პერიფერიზე“ ყოფნა.

უპირველეს ყოვლისა, პედაგოგისთვის სკოლა არ უნდა იყოს ერთგვარი ტრამპლინი ან მოსაცდელი



სხვა, მისი აზრით, მისთვის უფრო მეტად შესაფერის, უფრო პრესტიჟულ თუ შემოსავლიან საქმეზე გადასასვლელად. თუ მასწავლებელს აწუხებს თავისი როლი, მაშინ თავს გერაფერს მოუხერხებს და აგრესიას გამოავლენს, რაც მასა და მოსწავლეს შორის უთანხმოების მიზეზად იქცევა.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის ერთნაირი განწყობილებით ვერ მივა სკოლაში. მთავარია, უფრო ფუნდამენტური განცდა-განწყობა ჰქონდეს ჯანსაღი. ფსიქოლოგთა აზრით, განწყობა და განწყობილება იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ პირველი უფრო ღრმაა, სტერეოტიპებსა და შაბლონურ შეხედულებებს ეყრდნობა. ის ხანგრძლივად ყალიბდება და მისი შეცვლაც დროს მოითხოვს. განწყობილება კი უფრო ზედაპირული და სწრაფად ცვლებადია. შესაბამისად, პედაგოგს სკოლის მიმართ განწყობა (გონივრული მოლოდინებით, სხვა პედაგოგთა გამოცდილებაზე დაყრდნობით) იქ სამუშაოდ მისვლამდე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. ამ შემთხვევაში უარყოფითი განწყობილება ვერ გახდება სერიოზული უთანხმოების საფუძველი.

მასწავლებლისთვის მოსწავლე ერთგვარი „სამუშაო მასალაა“. ის საკლასო ოთახში ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე ძერწავს საკუთარ თავს, მოსწავლეებსა და ურთიერთობებსაც. ამიტომ შემოქმედებითობის, ურთიერთპატივისცემის, აღიარების, დაფასების გარემოს შექმნაზე უნდა იზრუნოს, რათა მოსწავლეებს უხაროდეთ მასთან შეხვედრა. ბავშვებმა უნდა იგრძნონ, რომ მასწავლებელს ესმის მათი. განურჩევლად იმისა, რას გრძნობს პედაგოგი რომელიმე მოსწავლის მიმართ, განურჩევლად იმისა, როგორ იქცევა თუ სწავლობს ის, მაინც კეთილგანწყობა უნდა



სხვადასხვა  
ჩემბერსა,  
ეთიკის  
კორექსი,  
ფსიქოლოგთა  
ჩრვაები, ერთი  
სიტყვით,  
ღაწერილი და  
ღაუწერილი  
კანონები  
ანსაბობს  
იმიტომის,  
რომ სასკოლო  
უთანხმოებაანი  
ალმოიფხვრას,  
თუმცა ყოველ  
ჭაჩვა პედაგოგი  
თვითონ  
აპაითებს  
ანჩევანს და  
აბროვებს ჰინაღ  
ბამოსდრიებას,  
როგაღის  
სასწავლო  
პროცესის  
ნაყოფიერად  
ბანიბართვაში  
ღაეხმანიება.

შეინარჩუნოს. მაგალითად, ერთ კლასში მასწავლებელმა ხმამაღლა წააკითხა ბავშვებს მასალა. როცა რიგი ლელაზე მიდგა, ნათიამ წამოიძახა: „ოღონდ მაგან არა, საშინელი ხმა აქვს!“ მასწავლებელმა ურეაქციოდ არ უნდა დატოვოს „სიძულვილის ენის“ ამგვარი გამოხატულება, მაგრამ როგორ მოიქცეს – ამის მზა რეცეპტს ვერსად ამოიკითხავს და ვერც ვერავინ მისცემს. თავი უნდა შეიკავოს, მოუთოკავ რეაქციას ლაგამი ამოსდოს და ცალკე დაელაპარაკოს როგორც „თავდამხმელს“, ასევე „შეურაცხყოფილსაც“. გარკვიოს, ხომ არ უძლოდა ამ უთანხმოებას წინ რაიმე კონფლიქტი. არაფერი უნდა მიიჩნიოს უმნიშვნელოდ და ამგვარ სიტყვიერ, ერთი შეხედვით, ზედაპირულ დაპირისპირებებს სიღრმემდე ჩასდინოს. ეს, რა თქმა უნდა, დიდ ძალას, ენერგიას, დროსა და გულწრფელობას მოითხოვს. უამისოდ მცირე უთანხმოებაც კი შეიძლება ისეთ ქარიშხალში გადაიზარდოს, როგორც არაერთ მხატვრულ ნაწარმოებშია აღწერილი. მაგალითად, გირჩევთ, მოსწავლეებთან ერთად ნახოთ და განიხილოთ ფრანგი რეჟისორის, ჟან-პოლ ლილიენფელდის ფილმი „ბოლო გაკვეთილი“ იზაბელ აჯანის მონაწილეობით.


სასურველია, მასწავლებელს სკოლის შემდეგ უამრავი ისეთი საქმე არ ჰქონდეს გასაკეთებელი, როგორცაა რვეულების გასწორება ან გეგმების წერა. რა თქმა უნდა, ყველაფერს სკოლაში ვერ დაასრულებს, მაგრამ უნდა ეცადოს, თავისუფალი დრო არასასკოლო საქმეებისთვისაც მოიტოვოს. გაკვეთილს მუდმივად დალილი და გადატვირთული არ უნდა იწყებდეს – ეს უსათუოდ წარმოშობს ახალ უთანხმოებებს.

გაკვეთილიც ერთგვარი „სცენაა“, რომელსაც მოსწავლეთა სახით სხვადასხვა ტიპის მაყურებელი ჰყავს. არც საექტაკლი იქნება ყოველთვის ერთი და იმავე ხარისხისა. მაყურებლის უმრავლესობა აქაც სანახაობას არის დახარბებული, ამიტომ რეჟისორმა – მასწავლებელმა თამამად უნდა აღიაროს, რომ ვერც როლები გაანაწილა შესაფერისად და ვერც გაკვეთილის სტრუქტურა დაგეგმა, მარცხს თვითირონით შეხვდეს და ყველაფე-

რი თავიდან დაიწყოს. ასეთ დროს დამნაშავეს ძებნა „მაყურებელში“ კი არ უნდა დაიწყოს, არამედ სტრატეგია შეცვალოს. მაგალითად, ქართული ენის გაკვეთილზე, კითხვაზე: „რომელი დროა „ვბანაობ“?“ – თუ რომელიმე მოსწავლემ სამასხაროდ ხმამაღლა უპასუხა, ზაფხულია, კვირა, შუადღეო, მასწავლებელმა არ უნდა შეიცხადოს, ბავშვებთან ერთად თვითონაც გაიცინოს. ოღონდ აგორებულ გუნდას „მთად“ გადაქცევის საშუალება არ უნდა მისცეს და მთელი გაკვეთილი არ შესწიროს. ამგვარი წამოძახილები თანამდევნი რეპლიკებით ხშირად ჯაჭვურ რეაქციას იწვევს და მასწავლებელს დიდი ტაქტი და მოქნილობა სჭირდება, რომ მისი შენიშვნა ხმამაღალ გაკიცხვასა და აგრესიაში არ გადაიზარდოს. ბავშვები ხომ სიცილისა და მხიარულებისკენ ბუნებრივად არიან მიდრეკილნი, ამიტომაც ხანდახან სიტუაციის განსამუხტად მასწავლებელმა შეიძლება თავად გაიხსენოს რაიმე სასაცილო ამბავი, კომიკური სიტუაცია, რომელშიც საკუთარი მიუხედავადობისა თუ უგერგილობის გამო აღმოჩნდა. ამგვარად ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს, უბოროტოდ გაიცინონ მასზე, სხვა დროს კი ისინი უფრო იოლად შეხვდებიან ერთმანეთის მოზომილსა თუ მოუზომავ ხუმრობას.

ძნელია საკუთარი შეცდომების ჯერ დანახვა, მერე გაცნობიერება და აღიარება, მაგრამ აუცილებელი, რათა მასწავლებელმა შემოქმედებითი ზრდა და განვითარება არ შეწყვიტოს. მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებასა თუ ემოციას ვერ აღმოფხვრის, მაგრამ უნდა ეცადოს, თვითონვე არ იქცეს ამგვარი განწყობილებების ერთგვარ „ვირუსულ“ გადამტან-გამავრცელებლად.





გიორგი ნოშვილი

# ჩაკონკრეტებული პრაქტიკული პრაქტიკის კვლევის დაგეგმვისა და წარმართვისთვის

ცნობილია, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მხოლოდ მოსწავლეების ან სკოლის წინაშე წამოჭრილი სიძნელების დროს კი არ არის საჭირო, არამედ მასწავლებლის:

- ძლიერი მხარეებისა და პოტენციალის აღმოსაჩენად;
- ძალების გასაძლიერებლად;
- ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად;
- საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

თუმცა, ვინაიდან პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს სკოლებსა და საკლასო ოთახებში ვარკვევთ, რა ხდება და რა შედეგი მოაქვს პედაგოგიურ ჩარევას, რათა პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ გამოკვლეულ სასკოლო გარემოში საგანმანათლებლო ცვლილებებზე, უფრო აქტუალურად ისეთი კვლევების ჩატარება გვესახება, როდესაც მასწავლებელი კლასისა და სკოლის საჭიროებებით ხელმძღვანელობს.

პედაგოგიური პრაქტიკის ასეთი კვლევის დამახასიათებელი ნიშნებია:

- მყისიერად წარმოშობილ პრობლემასა და მის გადაჭრაზე ფოკუსირება;
- თეორიის ჩამოყალიბებისა და მასშტაბური განზოგადებების თავიდან აცილება;
- პრაქტიკის ან სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე ორიენტაცია;

- მცირე ძალისხმევით, რესურსებისა და ფინანსების საჭიროება;
- მკვლევარ-პედაგოგის პირად პრაქტიკაზე დაყრდნობა;
- თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციას, სასკოლო პერსონალს, პედაგოგ კოლეგებს, მოსწავლეებსა და მათ შშობლებს შორის;
- პროცესის დინამიკურობა;
- სამოქმედო გეგმის არსებობა;
- კვლევის გაზიარება.





მასწავლებლებს  
 ხშირად უჭირთ,  
 გამოკვეთონ  
 კვლევის თემა და  
 მიზანი კლასისა  
 და სკოლის  
 საშირობებიდან  
 გამომდინარე,  
 საქმეს ვერც  
 დამხმარე  
 კითხვების  
 მიწოდება

მასწავლებლებს ხშირად უჭირთ, გამოკვეთონ კვლევის თემა და მიზანი კლასისა და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საქმეს ვერ შევლის ვერც დამხმარე კითხვების მიწოდება:

- 🍏 რამ გაამართლა/რა გამოგივიდათ სწავლებისას და რა – არა?
- 🍏 ვინ სწავლობს და ვინ ჩამორჩა?
- 🍏 რა ხარისხით იძლევა სასწავლო გეგმა სწავლის საშუალებას?
- 🍏 როდის გრძნობთ, რომ სიტუაციაზე კონტროლი დაკარგეთ?
- 🍏 როგორ უნდა დაეხმაროთ მოსწავლეებს, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს?
- 🍏 რა მოხდებოდა, რომ გემოქმედათ ასე: ...?

უფრო ეფექტიანი იქნება, თუ მასწავლებლები შეავსებენ ცხრილს:

ცხრილის შევსება მასწავლებლებს ეხმარება სხვადასხვა საკითხის გაცნობიერებაში, რაც ხელს უწყობს როგორც მათ პროფესიულ განვითარებას, ასევე სკოლის განვითარებასაც. იმისთვის, რომ სკოლისა და კლასის წინაშე არსებული გამოწვევები დაუკავშირდეს მათ პროფესიულ განვითარებას, მიზანშეწონილია, შეავსონ კიდევ ერთი ცხრილი:

კვალიფიკაცია ისე, რომ იმავდროულად კლასის ან სკოლის წინაშე მდგარ გამოწვევებსაც უპასუხო. მათი მიგნებები საკვლევი კითხვების საშუალებით შეიძლება განისაზღვროს. ასეთი საკვლევი კითხვების მაგალითებია:

- 🍏 გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას მრავალფეროვანი არასტანდარტული

თქვენი პროფესიული ძლიერი მხარეები	თქვენი პროფესიული სუსტი მხარეები
1.	1.
2.	2.
3.	3.

ამ ცხრილის გულწრფელად შევსების შემდეგ მასწავლებლებისთვის ნათელი გახდება, რა მხრივ უნდა აიმაღლონ

დავალებები მათემატიკაში მე-10 კლასში?  
 🍏 მოსწავლეთა დასწრების მოთხოვნის გამკაცრება

პრობლემები/გამოწვევები თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში	პრობლემების სავარაუდო მიზეზები	დასახელებული მიზეზების განეიტრალების სავარაუდო გზები და საშუალებები
1.	1. 2. 3.	1. 2. 3. 4. 5.
1.	1. 2. 3.	1. 2. 3. 4. 5.
1.	1. 2. 3.	1. 2. 3. 4. 5.



ვინაიდან  
 პედაგოგიური  
 კრიტიკის  
 კვლევის დროს  
 სკოლებსა და  
 საკლასო  
 ოთახებში  
 ვაჩვენებთ, რა  
 ხდება და რა  
 შედეგი მოაქვს  
 პედაგოგიური  
 ჩარევას, რათა  
 კოგნიტიური  
 გავლენა  
 მოვახდინოთ  
 გამოკვლეულ  
 სასკოლო  
 განხორციელებულ  
 განმანათლებლო  
 სვლითა და  
 უფრო  
 აქტუალური  
 ისეთი  
 კვლევების  
 ჩატარება გვესა-  
 ხება, როდესაც  
 მასწავლებელი  
 კლასისა და  
 სკოლის საშინო-  
 ებებით ხელმძღ-  
 ვანობს.

მოახდენს კეთილისმყოფელ გავლენას ტესტირების შედეგებზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მე-9 კლასში?

- თანამშრომლობით ჯგუფებში მეტი მეცადინეობა და ეხმარება მოსწავლეებს მაღალი დონის საზოგადოებრივი უნარების განვითარებაში მე-4 კლასში?
- ყოველკვირეული ქვიზები გააუმჯობესებს სახელმძღვანელოზე მუშაობას და მასალის ათვისების ხარისხს ბიოლოგიაში მე-11 კლასში?
- რა გავლენას მოახდენს ინტეგრირებული გაკვეთილები მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე ისტორიაში მე-6 კლასში?
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სასწავლო ცენტრები მე-2 კლასში წერის უნარის განვითარებისთვის?
- გაუმჯობესდება თუ არა გეოგრაფიის სწავლა მე-7 კლასში, თუ გამოვიყენებთ პროექტებით სწავლის მეთოდს?
- რა მოუვა წერის ხარისხს მე-8 კლასში ინგლისური ენის გაკვეთილებზე, თუ მოსწავლეები შეამოწმებენ ერთმანეთის ნამუშევრებს?
- რა გავლენას ახდენს კომპიუტერების გამოყენება მე-4 კლასში წერის უნარის განვითარებაზე?
- რა მოხდება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ბუნებისმეტყველებაში მე-5 კლასში ჰეტეროგენულ თანამშრომლობით ჯგუფებად მუშაობის შემთხვევაში?

**შენიშვნა:** ამ ტიპის საკვლევი კითხვების ზოგადი ფორმულა ასეთია: რა გავლენას მოახდენს X მოსწავლეების სწავლაზე?

- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ველი მოიცავს აგრეთვე შემდეგ საკითხებს:
  - გადაწერის პრაქტიკის არსებობა;
  - წიგნიერებისა და სხვა გამჭოლი უნარების განვითარება;
  - პუნქტუალურობა;
  - შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შედგენა მოსწავლეებთან ერთად;
  - მოსწავლეთა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება;
  - მოსწავლეთა შორის კონფლიქტების არსებობა;
  - ჯგუფური მუშაობის მართვა.
- გაგაცნობთ რეკომენდაციებს იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოსადეგია კვლევის ინიცირებისა და წარმართვისთვის:
  - დაწერეთ, რაც გოცნებთ (ურვეულოა, მოულოდნელია, პრობლემურია), ესაუბრეთ ამის შესახებ კოლეგებს, ჩამოაყალიბეთ საკვლევი კითხვა, გამოკვეთეთ შესასრულებელი მოქმედებები.
  - დაიწყეთ ლიტერატურის კითხვა და ჩანაწერების შესრულება შერჩეული საკითხის შესახებ.
  - დაიწყეთ მონაცემების შეგროვება ერთი ნაცნობი (ჩვეული) და ერთი ახალი (თქვენთვის აქამდე უცნობი) ინსტრუმენტის საშუალებით.

- მონაცემთა ანალიზისას შეცადეთ, სხვადასხვაგვარად წარმოადგინოთ მონაცემები – თვალსაჩინოდ და ლაკონურად.
- ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა მიმართებაა მისთვის და შესწავლილი იმასთან, რასაც კითხულობთ საკითხის შესახებ ლიტერატურაში.
- დააკვირდით და აღრიცხეთ შესრულებული მოქმედებების ზეგავლენა (ეფექტი).
- დარწმუნდით, რომ საკმარისი მონაცემები გაქვთ თქვენი დებულებების დასასაბუთებლად.
- მოამზადეთ კვლევის ანგარიშის პროექტი.

- შენიშვნა:**
1. კვლევას რომ დაიწყებთ, იცოდეთ: ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემას შესაძლოა დღეები და კვირებიც კი დასჭირდეს! ამ პასუხებმა შესაძლოა ახალი კითხვებიც გააჩინოს და ახალი აქტივობების შესრულებაც მოითხოვოს.
  2. თქვენი ამოცანაა, მთავრად გადადგმული ნაბიჯები სასწავლო წლის რეალობებსა და შეზღუდვებს.
  3. დროულად გადადით მონაცემების შეგროვებიდან მათ ანალიზსა და ანგარიშის წერაზე. ცნობილია, რომ მონაცემების შეგროვებამ ჩათრევად და გატაცება იცის; მთელ დროს წაიღებს, რაც აღარ მოგცემთ მათი გაზრდისა და კოლეგებისთვის გაზარდის საშუალებას. ასე რომ, იყავით მკაცრი საკუთარი თავის მიმართ და თქვით: „კმარა მონაცემების შეგროვება!“





ნანა ჯანაიდიძე

# სურათიანი წიგნების ბავშვებისთვის პირველი შეხება ლიტერატურასთან, ბექდურ სამყაროსთან და ზოგადად წიგნიერებასთან. შესაბამისად, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის პოლისტური განვითარებისთვის. ასაკობრივად შესაბამისი წიგნები ხელს უწყობს ბავშვის მეტყველებისა და კომუნიკაციის, სენსორულ, სოციალურ-ემოციურ და შემეცნებით განვითარებას, წიგნიერების საწყისი უნარებისა და წიგნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი

დაწესებულებებისთვის შევარჩიოთ ხარისხიანი და ასაკობრივად შესაბამისი წიგნები.

ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ, საქართველოში, სამწუხაროდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვების დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება საბავშვო წიგნებზე არც სახლში და არც საბავშვო ბაღში. 2017 წელს ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით 3-5 წლის ბავშვების 41%-ს სახლში 3 წიგნიც არ აქვს. სამწუხაროდ უღარიბესი ბავშვებისა და სოფელში





მცხოვრები ბავშვების ოჯახებში კიდევ უფრო ნაკლებად აქვთ საბავშვო წიგნები. უღარიბესი ბავშვების მხოლოდ 36% აქვს რამდენიმე საბავშვო წიგნი სახლში. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული გარემო და რესურსები, რომელსაც შეუძლია სახლში წიგნიერი გარემოს დანაკლისის დაბალანსება. თუმცა, როგორც სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევამ (2017) აჩვენა, საბავშვო ბაღებშიც უკიდურესად მცირეა საბავშვო წიგნების რაოდენობა, რადგან დაწესებულებები მინიმალურ თანხებს ხარჯავენ საბავშვო წიგნებზე. მუნიციპალიტეტების 62% საშუალოდ ერთ ბავშვზე წლის განმავლობაში 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს საგანმანათლებლო რესურსებისთვის (სათამაშოები, სახატავი და სხვა სამუშაო მასალა, წიგნები), წიგნებისთვის კი ხშირ შემთხვევაში თანხა საერთოდ არ არის გამოყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ საბავშვო ბაღის აღმზრდელები, პედაგოგები და დირექტორები აცნობიერებდნენ საბავშვო სურათებიანი წიგნების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში, შეეძლოთ ხარისხიანი და ასაკობრივად შესაბამისი წიგნების შერჩევა და მოითხოვონ ან უზრუნველყონ წიგნებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოპოვება საბავშვო ბაღების ან ადგილობრივი ბიბლიოთეკებისთვის, საიდანაც ბაღები წიგნებით სარგებლობას შეძლებენ.

### ნა აჩის სურათებიანი წიგნი?

სურათებიანი წიგნები ბავშვებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენთვის ჩვენი „დიდური“, „სერიოზული“ ლიტერატურა – მოგონილი ამბები, ისტორიები და ვიზუალები. ადრეულ ასაკში, ანუ დაბადებიდან 8 წლამდე „სერიოზული ლიტერატურა“ სწორედ სურათებიანი წიგნია. მარტივად რომ ვთქვათ, სურათებიანი წიგნი აერთიანებს სურათსა და ტექსტს. ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით სურათებიანი წიგნებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ილუსტრაციას უჭირავს, ხოლო ტექსტი შედარებით მცირეა. რაც უფრო პატარებისთვისაა გამოიზნული წიგნი, მით მეტი წონა აქვს ილუსტრაციას, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად



ეტაპობრივად მეტ დატვირთვას იძენს ტექსტი. სურათებიანი წიგნების უმრავლესობა გამიზნულია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, რომლებმაც ჯერ კითხვა არ იციან (უფროსები უკითხავენ) ან ახალი დაწყებული აქვთ კითხვა. სურათებიანი წიგნები ასაკის მიხედვით სამ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: ჩვილებისთვის, 1-2 წლის ბავშვებისთვის და 3-დან 8 წლამდე ბავშვებისთვის.

### წიგნები 1 წლამდე ბავშვებისთვის

წიგნები არასოდეს არის ადრე. ჩვილებს 3-4 თვიდან შეგვიძლია შევთავაზოთ ე.წ. ტაქტილური ან სენსორული წიგნები. ტაქტილური წიგნები ნაჭრისგან ან მუყაოსგან მზადდება და მასში ჩაკერებულია (ან ჩაწებებულია) სხვადასხვა ტიპის მასალის (ჭრაჭუნა, ხრამუნა, მოუხეშავი, პრილა, ფაფუკი, რბილი და ა.შ.) მკვეთრი ფერისა და ფორმების სურათები. ეს წიგნები მნიშვნელოვანია 1 წლამდე ბავშვების სენსორული განვითარებისთვის: ჩვილები ეხებიან, პირით მოსინჯავენ, უსმენენ უფროსებს ნახატების აღწერისას და ჩვენებისას, იწყებენ გამოსახულებების აღქმას, უვითარდებათ თვალისა და ხელის კოორდინაცია და ეცნობიან წიგნთან მოქცევის ელემენტარულ წესებს (დაჭერა, გადაფურცვლა, დახურვა, შენახვა). თუმცა, როგორც რვა თვის ბიჭუნას დედას, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ასაკში ბავშვებს წიგნების გემო ყველაზე მეტ სიამოვნებას ანიჭებთ!

სურათებიანი წიგნები ილუსტრაციისა და ტექსტის ერთობლივობას ქმნიან. წიგნი ერთიანი პროექტია, რომელიც ბავშვებს მხატვრული ტექსტისა და ვიზუალის ჰარმონიური შეთავსებით ახალ საგყაროს აქნობს.

### 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის

1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის გამოიზონულ წიგნებში უკვე ჩნდება მარტივი ტექსტიც. სწორედ ამ პერიოდში იწყებენ ბავშვები მეტყველებას, იწყებენ წიგნიერების საწყისი უნარების ჩამოყალიბებას, ბეჭდური ტექსტისა და მეტყველების დაკავშირებას, ვიზუალური წიგნიერების



განვითარებას, წიგნთან ურთიერთობის ფორმების შესწავლას. უფროსების მიერ ბავშვებისთვის წიგნის კითხვა სასიამოვნო, ემოციებით და შთაბეჭდილებებით სავსე პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვსა და აღმზრდელს შორის დადებითი მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. ადრეულ ასაკში ბავშვებს უყვართ ერთი და იმავე წიგნის ბევრჯერ წაკითხვა, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს აღმოაჩინონ წიგნის მიერ შემოთავაზებული სამყაროს ახალ-ახალი დეტალები.

ამ ასაკის ბავშვებისთვის გამოიზონულ წიგნებში უმთავრესი კვლავ ილუსტრაციაა, თუმცა გვხვდება მარტივი ტექსტიც, როგორცაა სურათზე მოცემული საგნების, ცხოველების, ფერების, მოქმედების და სხვათა სახელდებები, მოკლე და მარტივი წინადადებები. ტექსტი ხშირად გართმული და მუსიკალურია. ამ ასაკის ბავშვების ნატიფი მოტორიკის განვითარების გათვალისწინებით წიგნები, როგორც წესი, სქელი მუყაოსგან მზადდება, რათა

ბავშვებს გაუმარტივდეთ წიგნის დამოუკიდებლად დათვალიერება ფურცლების დაზიანების (დახვევის) გარეშე. 3 წლამდე ბავშვების წიგნებში ილუსტრაციები ინარჩუნებს ფერებისა და ფორმების სიმკვეთრესა და კონტრასტულობას. რაც შეეხება ტექსტს, ჩნდება სხვადასხვა ჟანრი: მარტივი საბავშვო ლექსები ან რითმები, ცნებები და კატეგორიები (მაგ. წიგნი ფერებისა და შინაური ცხოველების შესახებ), სიტყვებით თამაში (მაგ., გამეორებული ფრაზები ან სიტყვები, რომლებიც ბავშვს მოლოდინს უქმნის ან ამზადებს შემდეგი გვერდისთვის), მარტივი სიუჟეტის მქონე ამბავი და სხვა. შესაბამისად, ეს წიგნები ბავშვებს წარმოსახვით, ზოგჯერ პოეტურ სამყაროში უძღვება, სადაც ისინი ახალ ცოდნასაც იძენენ.

### 3-დან 8 წლამდე ასაკისთვის

3-დან 8 წლამდე ბავშვებისთვის შექმნილ სურათებიან წიგნშიც ილუსტრაცია მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა შედარებით გაზრდილია ტექსტის წილიც: თუკი უმცროსებისთვის თითო გვერდზე ერთი-ორი სიტყვა ან მოკლე წინადადება გვხვდება, ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილ წიგნებში ერთ გვერდზე შესაძლოა მცირე ზომის აბზაციც იყოს. ამ ასაკობრივი ჯგუფში შესაძლოა შეგვხვდეს წიგნები, რომლებიც ტექსტისა და ლექსიკის სირთულით უფრო დაბალ (3-5 წლის) ან უფრო მაღალ (6-7 წლის) ასაკის ბავშვებისთვის არის გამოიზონული. თუმცა, ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე შესაძლებელია წიგნების გამოყენება სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან: გამარტივება უმცროსებისთვის, უფროსების შემთხვევაში კი- განსხვავებული პერსპექტივიდან ტექსტისა და ილუსტრაციების დანახვაში დახმარება და სხვა.

სურათებიან წიგნში ილუსტრაცია და ტექსტი ერთ მთლიანობას ქმნიან. წიგნი ერთიანი პროდუქტია, რომელიც ბავშვებს მხატვრული ტექსტისა და ვიზუალის ჰარმონიური შეთავსებით ახალ სამყაროს აცნობს. სურათებიან წიგნში ტექსტი არ არის უბრალოდ ილუსტრაციის აღწერა, და არც ილუსტრაცია გადმოსცემს მხოლოდ იმას რაც ტექსტშია. ისინი ერთმანეთს ავსებენ. მეტიც, კარგი ხარისხის სურათებიან წიგნებში

ილუსტრაციები თავადაც ყვებიან ისტორიას, ისე რომ საშუალებას აძლევს ბავშვს სურათების „წაკითხვით“ და ინტერპრეტაციით ისიამოვნოს. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სურათებიანი წიგნების ესთეტიკურ მხარესაც, წიგნის დიზაინს, ტექსტისა და ილუსტრაციის ვიზუალურ ურთიერთმიმართებას (როგორ არის განლაგებული ტექსტი ილუსტრაციასთან მიმართებით).

უფრო ადრეული ასაკის ბავშვების წიგნებთან შედარებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სურათებიანი წიგნების ილუსტრაციები უფრო დეტალიზებულია, ფერებითა და ფორმებით შედარებით ნაკლებად კონტრასტული. კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება ტექსტი: ჩნდება გმირები, ვითარდება სიუჟეტი, გამოყენებულია იუმორი (ტექსტში ან ილუსტრაციაში, ან ორივეგან) და სხვა.

სურათებიანი წიგნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვები ახალ, წარმოსახვით, მხატვრულ სამყაროში შეჰყავს. წიგნების ეს როლი თავისთავად მნიშვნელოვანი და ღირებულია ადამიანებისთვის და შესაბამისად ბავშვებისთვის (ჩვენი გონებით ხომ ძირითადად წარსულისა და მომავლის წარმოსახვით სამყაროში ვცხოვრობთ: რა მოხდა? რა იქნებოდა ეს რომ არ მომხდარიყო? რა მოხდება?). ამავდროულად სურათებიანი წიგნები მნიშვნელოვანია წიგნიერების-წერისა და კითხვის-საწყისი უნარების, მეტყველების, სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის, ფონემური ცნობიერების განვითარებისთვის, ბეჭდური ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის, ახალი ცოდნის შექმნისთვის, წიგნის მიმართ დადებითი ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის, რაც შემდგომში სწავლისთვის და სკოლაში წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

## როგორ შევარჩიოთ ხანისხიანი სურათებიანი წიგნები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის?

დღეს საქართველოში სურათებიანი წიგნები საბავშვო ენციკლოპედიური ტიპის წიგნებთან შედარებით ნაკლებად პოპულარულია. სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებას კი, როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ სურათებიანი წიგნები შეესაბამება ყველაზე მეტად (თუმცა ასაკობრივად შესაბამისი ენციკლოპედიებიც, რა თქმა უნდა, აინტერესებთ ბავშვებს). ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა და გამოიცა ქართველი ავტორების სურათებიანი წიგნები, ასევე ითარგმნა სხვადასხვა ქვეყანაში პოპულარული სურათებიანი წიგნები. თუმცა, ბუნებრივია, ყველა მათგანი თანაბრად ხარისხიანი არ არის. მართალია, ჯერ-ჯერობით წიგნების მალაზიებში სურათებიანი წიგნების სასურველი ფართო არჩევანი არ არის, მაგრამ წიგნების ბავშვებისთვის შერჩევისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

**ის, რაც ბავშვებს აინტერესებთ:** თქვენ კარგად იცნობთ ბავშვებს, რომლებიც თქვენს ჯგუფში არიან. წიგნების შერჩევისას დაფიქრდით, დააინტერესებთ თუ არა წიგნის შინაარსი? ილუსტრაციები? ან შეძლებთ თუ არა თქვენ ისე მიაწოდოთ, რომ მათში ინტერესი გააღვივოთ ამ წიგნის მიმართ? ბავშვებს აინტერესებთ ამბები ბავშვების შესახებ, ან ცხოველებისა და დიდების შესახებ, რომლებიც რაღაცით ბავშვებს გვანან. შეარჩიეთ ისეთი წიგნები, რომელშიც გადმოცემული ამბები ახლოსაა ბავშვების გამოცდილებასთან, პრობლემებთან, სურვილებთან. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არ ესმით და არ აინტერესებთ წიგნები აბსტრაქტულ საკითხებსა და ცნებებზე (მაგალითად, სამშობლოსთვის თავგანწირვაზე ან კულტურული ძეგლების ღირსშესანიშნაობაზე); მათ აინტერესებთ, როგორ შეიძლება დაუმეგობრდეს პატარა გოგონა მეზობლებს, რომლებიც მას არ ეთამაშებიან, საიდან ჩნდება წიწილები და რატომ ეცვლებათ ყვითელი ღუნღუნა ბუმბული როცა იზრდება, რა ხდება სიბნელეში როცა გვიძინავს და რატომ არ უნდა შეგვეშინდეს? და სხვა.

**ასაკობრივად შესაბამისი ტექსტი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შექმნილ წიგნში ლექსიკა, წინადადებების სირთულე და სიგრძე უნდა იყოს ასაკობრივად შესაბამისი. ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი ტექსტის შემთხვევაში, ბავშვებს შესაძლოა



## სურათებიანი

## წიგნები

ბავშვებისთვის

პირველი შეხება

ლიტერატურასთან,

ბეჭდურ

სამყაროსთან და

გოგაქვს

წიგნიერებასთან.

შესაბამისად, მათ

ღირს მნიშვნე-

ლობა აქვთ

ბავშვის ჰომოს-

ტური განვითა-

რებისთვის.

ასაკობრივად

შესაბამისი

წიგნები ხელს

უწყობს ბავშვის

მეცნიერებისა და

კომუნიკაციის,

სენსორულ, სოცია-

ლურ-ემოციურ და

შეგნებებით

განვითარებას,

წიგნიერების

საწყისი უნარებისა

და წიგნის

მიმართ დადებითი

დამოკიდებულების

ჩამოყალიბებას.



ინტერესი წიგნის მიმართ მალევე დაკარგონ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ წიგნი, სადაც ბავშვებისთვის უცხო, ახალი სიტყვებია, აუცილებლად გვერდზე უნდა გადავდოთ. პირიქით ლექსიკისა და ზოგადად მეტყველების განვითარებისთვის კარგია, როდესაც სურათებიან წიგნში გვხვდება უცხო სიტყვები, რომლებიც კონტექსტიდან გამომდინარე გასაგებია (ილუსტრაციით, ტექსტით) ან მცირე განმარტებას საჭიროებს უფროსის მხრიდან. სურათებიან წიგნში მოცემული ამბავი არ უნდა იყოს ზედმეტად კომპლექსური და ერთ მთავარ ამბავს უნდა ყვებოდეს. ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ ტექსტისა და ამბის ასაკობრივად შესაბამისობა არ ნიშნავს ზედპირულ სწორზნობვებასა და სიმარტივეს. ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე შეუძლიათ გაიგონ, რომ კეთილი გმირი, სულ კეთილი, სათნო და მოწესრიგებული როდია. მას თავისი სისუსტეები აქვს, რომლებიც რაღაც მიზნის მიღწევაში ხელს უშლის. ბოროტ გმირებს კი თავისი სიქველეები აქვთ, რომელიც არ უნდა დავუკარგოთ.

**მრავალფეროვანი:** მნიშვნელოვანია, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე შეექმნათ წარმოდგენა ტექსტის და ბეჭდური მასალის ვიზუალური მრავალფეროვნების შესახებ, გაცნონ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს, ისიამოვნონ სხვადასხვა სტილის ილუსტრაციებით, ტიპოგრაფიითა

და წიგნის დიზაინით. ამიტომ, შეარჩიეთ მრავალფეროვანი სურათებიანი წიგნები: იუმორისტული, პოეტური, სიუჟეტური, რითმული განმეორებადი ტექსტებით, ზღაპრის ტიპის, ცნებების შესახებ, სხვადასხვა ფერთა გამითა და ტონალობებით, ილუსტრაციების მრავალფეროვანი სტილითა და შესრულებული ტექნიკით, სხვადასხვა სტილის, ფორმისა და ზომის ასობით და ა.შ.

**სტერეოტიპებისგან თავისუფალი:** ბავშვების ირგვლივ არსებული გარემო სამწუხაროდ სავსეა სხვადასხვა ტიპის გაუმართლებელი სტერეოტიპებით, ამიტომ მნიშვნელოვანია, მათ ადრეული ასაკიდანვე ჰქონდეთ ალტერნატიულ შეხედულებებთან და შესაძლებლობებთან შეხება. სამწუხაროდ, წიგნის ბაზარზე მრავლად არის საბავშვო წიგნები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სტერეოტიპებს აღვივებს, მაგალითად, ქმნის მოლოდინებს, რომ გოგონები აუცილებლად ლამაზები, უმწიფონი და პასიურები უნდა იყვნენ, ბიჭები კი - მამაცები, უხეშები და აქტიურები. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემატურია საპეციალურად გამოცემული წიგნები, რომელთა სახელდებაცა და შინაარსიც სტერეოტიპებით სავსეა (მაგ. წიგნები პრინცესებზე/პრინცებზე/ გოგონებისთვის/ბიჭებისთვის და ა.შ.). აგრეთვე, შეიძლება შეგვხვდეს სტერეოტიპული დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების, სხვადასხვა რასის, კულტურის ან სოციალურ-ეკონომიკური ფენის წარმომადგენელი ადამიანების მიმართ. სურათებიანი წიგნების შერჩევისას, ჩვენ რა თქმა უნდა შეგვიძლია არ ავირჩიოთ მკვეთრად გამოხატული სტერეოტიპებზე აგებული წიგნები (მაგ., წიგნი მხოლოდ პრინცესებისთვის), მაგრამ ამავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ გაგვიჭირდება სტერეოტიპებისგან სრულიად თავისუფალი წიგნების პოვნა. ამიტომ, წიგნებში მოცემული ასეთი საკითხები ბავშვებთან ერთად მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. იფიქრეთ და იმსჯელოთ ბავშვებთან ერთად წიგნში გადმოცემულ ამა თუ იმ სტერეოტიპულ მახასიათებლებსა თუ სიტუაციებზე: რატომ ტრიალებს პატარა

ლილის დედა სულ სამზარეულოში და მამა სულ სამსახურშია? ყველას დედა ასეა? და ა.შ.

**თემატური:** ბავშვებს სკოლამდელ ასაკში მრავალფეროვანი თემატიკა აინტერესებთ. პაწაწინა მწერები თუ გიგანტური ცხოველები, დინოზავრები და ვეშაპები, ცისარტყელები და ქექა-ქუხილი, სიბნელე და სინათლე, ტყე და ქალაქი, მშობლები და უცხოები, ნაყინის გამყიდველები და მეზოვეები, ფეხსაცმელები და ქუდები, ჭანჭიკები და რობოტები. მათთვის ყველაფერი ახალი და საინტერესოა! შეარჩიეთ წიგნები, რომლებიც თემატურად ბავშვების ინტერესებსა და საბავშვო ბაღში მიმდინარე პროგრამას შეესაბამება. აგრეთვე, სურათებიანი წიგნები საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ისეთ თემატიკაზე განყენებულად მსჯელობისთვის, რომლებიც ბავშვების პრობლემებს, მათ ცხოვრებისეულ გამოწვევებს, სტრესსა (მაგ. მშობლების განქორწინება) და ზოგ შემთხვევაში ტრაგედიებს (მაგ. საყვარელი შინაური ცხოველის ან ახლობელი ადამიანის გარდაცვალება) ეხმარება და ეხმარება ბავშვებს მათთან გამკლავებაში.

**ლამაზი:** დღეს წიგნების მაღაზიებში მრავლად არის უგემოვნოდ დასურათებული სურათებიანი წიგნები, ჭყეტელა და „შხამიანი“ შეუხამებელი ფერებით, ერთმანეთის მსგავსი „ბრტყელი“ გმირებით, რომლებიც ხშირად კომპიუტერული პროგრამების მარტივი შაბლონებით იხატება, დარღვეული კომპოზიციითა და დაუხვეწავი დიზაინით. ეს წიგნები ხელს უშლის ბავშვების მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას. ვინაიდან ვიზუალურ მხარეს სურათებიანი წიგნში წამყვანი ადგილი უჭირავს, მნიშვნელოვანია, შევარჩიოთ თვალისთვის სასიამოვნო ფერებითა და ილუსტრაციებით დასურათებული წიგნები.

**ადვილად გამოსაყენებელი და გამძლე:** სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან, განსაკუთრებით საბავშვო ბაღში, სასურველია დიდი ფორმატის სურათებიანი წიგნების გამოყენება. დიდი ზომის წიგნების ჯგუფურად წაკითხვა და დათვალიერება უფრო ადვილია, რადგან აღმზრდელისგან ოდნავ მოშორებით მჯდომ ბავშვსაც შეუძლია ილუსტრაციებს

დააკვირდეს. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ წიგნებს, სასურველია, ჰქონდეს სქელი ყდა, რადგან წიგნი ნაკლებად ცვეება და ბავშვებიც უფრო ადვილად ათვალიერებენ მას დამოუკიდებლად. თუმცა, სქელყდიანი წიგნები უფრო ძვირიც ღირს და წიგნის შერჩევისას ხანდახან შესაძლოა პრიორიტეტი მივიანიჭოთ ზემოაღნიშნული სხვა საკითხების გათვალისწინებას.

## „მოსიარულე წიგნები“

როგორც კვლევამ აჩვენა საქართველოში ბავშვების დიდ ნაწილს ოჯახში არ აქვს საბავშვო წიგნები. საბავშვო წიგნების ნაკლებობა შესაძლოა განპირობებული იყოს, როგორც მწირი ეკონომიკური შესაძლებლობებით, ასევე შესაძლებელია ოჯახის წევრებს არ ჰქონდეთ ინფორმაცია ან ვერ აცნობიერებდნენ ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ასაკობრივად შესაბამისი სურათებიანი წიგნების მნიშვნელობას. ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში ან ძილის წინ მშობლებთან ერთად წიგნის კითხვის სასიამოვნო პროცესთან ზიარება. ამისათვის, საბავშვო ბაღს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთოს: პირველ რიგში, შეიძინეთ საბავშვო ბაღისთვის მრავალფეროვანი სურათებიანი წიგნები. დაამკვიდრეთ საბავშვო ბაღიდან ბავშვებისთვის წიგნის შინ გატანების პრაქტიკა. თითოეულ ბავშვს რამდენიმე დღით გაატანეთ წიგნი შინ, რათა ოჯახის წევრებმა შეძლონ ბავშვთან ერთად წიგნის წაკითხვა, დათვალიერება, მასზე მსჯელობა. რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვი აბრუნებს წიგნს და მიაქვს ახალი. წინასწარ მოამზადეთ მშობლები: ესაუბრეთ მათ ამ ახალ ინიციატივაზე, სთხოვეთ, მოუფრთხილდნენ წიგნებს, რათა სხვა ბავშვებმაც ისარგებლონ მომავალშიც ამ წიგნებით, ესაუბრეთ მათ მათი შვილებისთვის წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე, წიგნის წაკითხვის სტრატეგიებზე. დაეხმარეთ მათთვის საინტერესო წიგნების შერჩევაში. უპასუხეთ მათ კითხვებს და თუ მზა პასუხები არ გექნებათ, ნუ მოგერიდებთ, რომ პასუხის გარკვევა სხვაგან სცადოთ და მოგვიანებით დაუბრუნდეთ მათ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul, A.W. (2009). Writing Picture Books. Cincinnati: Writer's Digest Books.
2. გაეროს ბავშვთა ფონდი. (2018) მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017. [http://unicef.ge/uploads/WMS\\_brochure\\_unicef\\_geo\\_web.pdf](http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf)
3. გაეროს ბავშვთა ფონდი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. [http://unicef.ge/uploads/Pre-school\\_quality\\_study-ge.pdf](http://unicef.ge/uploads/Pre-school_quality_study-ge.pdf)
4. Matulka, D.I. (2008). A Picture Book Primer. Understanding and Using Picture Books. Westport: Greenwood Publishing Group.





ინა კახუიაშვილი

# ბავშვების ბედნიერებისთვის

შვილების ღირსეულობა აღსაზრდელად მშობლები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. თუმცა, არსებობს უნიკალური და მარტივი ფორმულები იმისათვის, რომ ბავშვებმა თავი ბედნიერად და ფსიქოლოგიურად ჯანსაღად იგრძნონ.

იყავი საინტერესო – როგორც კი თქვენ თვითონ შეწყვეტთ განვითარებას, ბავშვი დაუყოვნებლივ დაკარგავს ინტერესს თქვენს მიმართ. ამ თვალსაზრისით, ბავშვებისათვის უფროსები არიან საუკეთესო პედაგოგები და მოტივატორები. ამიტომ ვეცადოთ, დაუზარელად ვუპასუხოთ ბავშვებს მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე, ერთად შევიცნოთ სამყარო, გავაძლიეროთ ჩვენი ცოდნა, ერთად ჩავერთოთ დისკუსიაში. თქვენ უნდა იყოთ ბავშვისთვის ავტორიტეტი, განსაკუთრებით მისთვის რთულ – მოზარდობის ასაკში.

რა არის საერთოილო გარდამავალ ასაკში? მოზარდები იზიდავენ ავტორიტეტები და თუ ასეთებს სახლში ვერ იპოვიან, სხვაგან დაიწყებენ ძებნას. ავტორიტეტი არ უნდა დავიმსახუროთ დასჯით,

სიმკაცრით, არამედ ბავშვებთან კომუნიკაციით, გულწრფელობით, ღიაობით, უპირობო სიყვარულითა და სანდო, მათთვის უსაფრთხო სივრცის ფორმირებით. თუ ბავშვის თვალში მშობლის ავტორიტეტი დაეცა, ის უბრალოდ „მიატოვებს“ ოჯახს.

გახდით ინფორმაციის წყარო – ბავშვებს სჭირდებათ ახალი ინფორმაცია. ამიტომაც აინტერესებთ ლექტოპები, სმარტფონები. მშობლებსაც უხარიათ – გაჯეტები მნიშვნელოვნად უმარტივებენ მშობლებს ცხოვრებას, ბავშვები აღარ საჭიროებენ მათ ყურადღებას. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები სწრაფად ხდებიან ტექნიკაზე დამოკიდებულები. მათთვის ამ არხებიდან ინფორმაციის მიღება გამარტივებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცოდნის ღირებულებაც ნომინალურია. გაჯეტებზე დამოკიდებული ბავშვებისთვის სამყარო ვიწროვდება. თანაც, ეს ვირტუალური, რეალობას მოწყვეტილი სამყაროა.

ინფორმაციაზე ბედმეტი ხელმისაწვდომობა კლავს ბავშვის

ინტერესს. გავიხსენოთ, რაში მდგომარეობდა ცოდნის ღირებულება ასი წლის წინათ? ინფორმაციის მიღება მარტივი არ იყო. ინფორმაციის მისაღებად საჭირო იყო მისი მოძიება, მუშაობა, ბიბლიოთეკაში სიარული, მოცულობითი ლიტერატურის გაცნობა, კვლევა, გააზრება. ახლა კი საკმარისია ბავშვმა მაუსზე ორჯერ დააწკაპუნოს თითი და ყველანაირ ინფორმაციას მიიღებს.

მცირე ძალისხმევითა და რესურსების ხარჯვით ბავშვი ეჩვევა იმას, რომ სამყარო მარტივად აწვდის ინფორმაციას. ის ხდება მომხმარებლური სისტემის ნაწილი. თუ ინფორმაციაზე ან თავის რაიმე მოთხოვნაზე უარს მიიღებს, მისი ენერჯია აგრესიად გარდაიქმნება, რაც მოზარდებში მშობლებთან კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამიტომ უფროსი თაობა და არა პლანშეტი უნდა იქცეს ბავშვისათვის ახლისა და საინტერესოს წყაროდ. გაუფართოვეთ ბავშვის ცნობიერება პირდაპირი კონტაქტებით, პირდაპირი შეხებით. ეს ჩამოუყალიბებს კომუნიკაციის უნარებს. ასწავლის სამყაროსთან უნისონში მოქმედებას.

ემოციური ინტელექტის განვითარება – მაშინაც კი, როდესაც ბავშვი პატარაა, საჭიროა ვასწავლოთ საკუთარი სურვილების და მოთხოვნების სიტყვიერად გამოხატვა, გამოთქმა. სკოლამდელი ასაკის ბავშვს აუცილებლად უნდა ვესაუბროთ ემოციებზე, მოვეხმაროთ გრძნობების და განცდების გამოხატვაში, მაგალითად, ბავშვმა უნდა თქვას: „სევდიანი ვარ“, „შშია“, „დავიღალე“, „ბედნიერი ვარ“. თუ ბავშვი თამაშის დროს დაეცემა, ნუ იჩქარებთ მის გულში ჩახუტებას. აცალეთ გამოხატოს რას გრძნობს, თქვას რა ეტკინა. მის პატარა ცხოვრებაში წაქცევა დიდი მოვლენაა. ასე თქვენ კომუნიკაციას ასწავლით.

ისწავლეთ იგრძნოთ ბავშვთან ერთად. არ არის საკმარისი მულტფილმების ჩართვა, მულტფილმი ერთად უნდა ნახოთ. დააკვირდით ბავშვს, მონაწილეობა მიიღეთ სიუჟეტის

განცდის პროცესში. რამდენიმე ხანში შეგიძლიათ დაუბრუნდეთ დისკუსიას, შეისწავლოთ ბავშვის ემოციური რესურსი. გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება: „მე შემეშინდა, როდესაც ბავშვობაში პირველად ვნახე ეს მულტფილმი“.

ბავშვისათვის ემოციების გამოხატვის სწავლება მშობლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. შეიძლება უსიამოვნო აღმოჩენა გავაკეთოთ: ყველაფერი ვერ მიიღწევა მანიპულირების საშუალებით და ეს იწვევს უსუსურობის განცდას, მსხვერპლის ცნობიერების ფორმირებას („ჩემი არავის ესმის“, „მთელი სამყარო ჩემ წინააღმდეგა“).

ჩვენ ხშირად გვგონია, რომ მთავარია ბავშვი მშვიდ-მწყურვალე და ჩაცმულ-დახურული იყოს, რომ ასეთი ბავშვი ბედნიერია. ეს ანაქრონიზმია. უნდა შევწყვიტოთ მხოლოდ სხეულის უსაფრთხოების და კომფორტის სისტემაში ცხოვრება. სულიერ სენსორული სფეროს უგულვებელყოფას იქამდე მივყავართ, რომ მოზარდს აღარ ესმის, ვინ არის ის და რა არის მისთვის საინტერესო.

ამ დროს მშობლები ფსიქოლოგებთან გარბიან, ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ თავის დროზე ბავშვს არავინ მოუსმინა, არ მისცა გრძნობების გამოხატვის საშუალება, არ დაინტერესდა მისი აზრით, არ მიეცა გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. მშობლებს უნდათ, რომ ბავშვი მოულოდნელად და უმტკივნეულად გახდეს ზრდასრული და





ამოხიური  
ინტელექტის  
ბანვითარება  
– მაშინას კი,  
ჩოქასას ბავშვი  
პაქანაა, საჭირია  
ვასწავლოთ  
საკუთარი  
სურვილას და  
მოთხოვნას  
სიტყვიერად  
ბამოსაქვა,  
ბამოქქა.

ჯადოსნური წესით ისწავლოს ყველა სიკეთე, მაგრამ თუ ამასში შრომა არ ჩაიდო, ასე არ ხდება.

ნურაფრით ჩაანაცვლებთ სულიერებას – თანამედროვე მშობლები ბავშვებთან დროს არ ატარებენ და ამის კომპენსირებას ცდილობენ მატერიალურ ნივთების ჩუქებით: ახალი ბოტასებით, ტაბლეტებით, სათამაშოებით. ბავშვისათვის ასეთი ურთიერთობა ნორმად იქცევა. და თუ ვერ იღებს სასურველ ნივთებს, ფიქრობს: „მე მშობლებს აღარ ვუყვარვარ“. გამიჯნეთ ერთმანეთისგან გრძნობები და მატერიალური საჭიროებები.

არც ის არის აუცილებელი, რომ 24 საათი ბავშვთან ერთად ატაროთ. მნიშვნელოვანია, რომ მან იგრძნოს ყურადღება, თუნდაც მცირედი დობით. შეიძლება ეს დღეში ერთი, მაგრამ მშვენიერი საათი იყოს.

მოუსმინეთ ბავშვს – ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მას მოუსმენენ და გაუგებენ. მაშინაც კი, თუ ოჯახში შვიდი შვილია, ყველას უნდა ჰქონდეს დრო დედასთან პირადი კომუნიკაციისთვის, კვირაში მინიმუმ საათი. უწოდეთ ამ დღეს „დედის დღე“ ან „დედის საათი“ (მამის). ასე ბავშვი ცხოვრების დაგეგმვას სწავლობს: „შემიძლია ამ დროს ყველაფერი ვუთხრა მშობლებს და რჩევაც მივიღო“. ეს ტრადიცია მოზარდობის ასაკშიც უნდა გაგრძელდეს.

არ უნდა ესაუბროთ ბავშვს თქვენი საქმეების კეთების პარალელურად: სამზარეულოში, დასუფთავების, დაუთოვების, კომპიუტერის ყურების

დროს. ამ შემთხვევაში, თქვენს შვილთან ზუგმექცევით დგახართ/ზიხართ, რაც ირიბად ნიშნავს, რომ მისი პრობლემები თქვენთვის მეორე პლანზეა. საუბრის დროს სასურველია ერთმანეთის პირისპირ იყოთ, არ ელაპარაკოთ „ზემოდან-ქვემოთ“. რაც არ უნდა მოხდეს, მხედველობითი კონტაქტი „თვალიდან-თვალში“ უზრუნველყოფს სანდობას.

ყველაფერს, რასაც გრძნობთ მის მიმართ, პირველი პირით დააფიქსირეთ: „მე ვწუხვარ, რომ შენ ავად ხარ“, არ უთხრათ: „შე საბრალო, უბედურო ავადმყოფო“, რადგან ასეთი მიმართვით ბავშვი შექმნილი სიტუაციიდან სარგებელის მიღების შესაძლებლობას ხედავს.

არ უთხრათ „შენ ცუდი ხარ“, უთხრათ: „შენმა საქციელმა გული დაწყვიტა არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ მეც“. უთხრათ: „ეს არის აზრს მოკლებული სიტყვები“ და არ უთხრათ: „რა სისულელეს ლაპარაკობ“. შეაფასეთ ბავშვის ქმედება და არა თავად ბავშვი. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაუშვას შეცდომები, მოიპოვოს გამოცდილება. ბედნიერი ბავშვის ამოცნობა შეიძლება იმით, თუ როგორ უშიშრად უშვებს შეცდომებს, ეძებს მათი გამოსწორების ვარიანტებს და გზებს ენთუზიანზმითა და ცნობისმოყვარეობით, შიშის გარეშე, რომ დასცინებენ ან დაამცირებენ. ამ პრობლემების მოგვარება კი მხოლოდ უფროსების გულისხმიერი თანადგომით შეიძლება.

მაგალითად, ფინეთის პედაგოგები, როდესაც ხედავენ, რომ ბავშვმა რაღაც შეცდომა

დაუშვა, ამობობენ: „რა მშვენიერი შეცდომაა“. შეცდომაც გამოცდილებაა.

სიტყვა არ გატეხოთ – ბავშვის ცემა რომ არ შეიძლება, ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის, მაგრამ თუ ბავშვს ტყუილად ემუქრებით, მუქარა თავის ძალას კარგავს. თუ ჩარჩოები განსაზღვრეთ, ეცადეთ, ბავშვი ამ ჩარჩოებიდან არ გამოვიდეს. ერთხელ თქვით და მეორე ჯერზე – გააკეთეთ.

უბრალოდ გიყვარდეთ – ნუ გეყვარებათ ბავშვი იმის გამო, რომ ის ინტელექტუალური, კულტურული, ჭკვიანი და აქედან გამომდინარე, კომფორტული შვილია. ასეთი მიდგომა ბავშვის მიმართ აყალიბებს სამყაროს ნეევროტულ აღქმას, დაბალ თვითშეფასებას. ბავშვი სულ ფიქრობს: „ვიმსახურებ კი სიყვარულს/კანფეტს?“ საბოლოოდ, ეს იწვევს არასრულფასოვნების კომპლექსს და სხვადასხვა პრობლემას.

